

ეფენ იონესკო



მელოტი მოგღერალი ქალი



გაკვეთილი



სკამები

EUGÈNE IONESCO

LA CANTATRICE CHAUVÉ

LA LEÇON

LES CHAISES

Gallimard

უკუნ იონესკო

მელოცი დიდგებული ქალი

გაქვეთილი

სკამენი



ეუენ იონესკო
სამი პიესა
თარგმანი ფრანგულიდან

მელოტი მომღერალი ქალი
თარგმნა შორენა ციცავმა

გაკვეთილი
თარგმნა ქეთევან კვანტალიანმა

სკამები
თარგმნა ნინო ლეუავამ

ყდის დიზაინი და დაკაბადონება: ნეიკო ნეიძე

Traduit du Français par:

Choréna Tsitsagui
Kétévan Kvantaliani
Nino Lçjava

ყველა უფლება დაცულია
Tous droits réservés


© გამომცემლობა „ჯეოპრინტი“ 2006

LA CANTATRICE CHAUVE, © Éditions Gallimard,
1970

LA LESON, © Éditions Gallimard, 1970

LES CHAISES, © Éditions Gallimard, 1996

ISBN 99940-47-11-6




K 60.542
2


წიგნი გამოიცა საფრანგეთის
საგარეო საქმეთა სამინისტროს,
საქართველოში საფრანგეთის საელჩოსა და
თბილისის ალექსანდრე დიუმას სახელობის
ფრანგული კულტურის ცენტრის ხელშეწყობით
მერაბ მამარდაშვილის სახელობის
საგამომცემლო დახმარების
პროგრამის ფარგლებში

Ouvrage réalisé dans le cadre du programme d'aide
à la publication Mérab Mamardachvili
avec le soutien
du Ministère français des Affaires Étrangères,
de l'Ambassade de France en Géorgie et
du Centre culturel français
Alexandre Dumas de Tbilissi

მელოდი მოძღვრული ქალი



ანტიპიესა?



მოქმედი პირები:

ბატონი სმითი	კლოდ მანსარი
ქალბატონი სმითი	პოლეტ ფრანსი
ბატონი მარტინი	ნიკოლა ბატაი
ქალბატონი მარტინი	სიმონ მოზე
მერი, მოსამსახურე	ოდეტ ბარუა
მეხანძრეთა კაპიტანი	ანრი-ჟაკ უე

„მელოტი მომღერალი ქალი“ პირველად
ნიკოლა ბატაიმ დადგა ნოქტამბულის თეატრში
1950 წლის 11 მაისს.

სცენა I

ინგლისური ბურჟუაზიული ინტერიერი ინგლისური სავარძლებით. ინგლისური სალამო. ინგლისურ ფლოსტებში გამონყობილი ინგლისელი ბატონი სმითი ინგლისურ სავარძელში ზის, ინგლისურ ჩიბუხს ეწევა და ინგლისურ ბუხართან ინგლისურ გაზეთს კითხულობს. ინგლისური სათვალე უკეთია და პატარა ქაღარა უღვაშიც ინგლისურად მოუშვია. მის გვერდით, მეორე ინგლისურ სავარძელში, ინგლისელი ქალბატონი სმითი ინგლისურ წინდებს აკერებს. ინგლისური დუმილის ხანგრძლივი მონაკვეთის შემდეგ ინგლისური საათი ინგლისურად ჩამოკრავს ჩვიდმეტს.¹

ქ-ნი სმითი: ნახე, უკვე ცხრა საათია. ეს-ესაა გეახელით ნვნიანს, თევზს, კარტოფილს ღორის ქონით და ინგლისურ სალათას. ბავშვებმა ინგლისური წყალი დალიეს. ამ სალამოს კარგად ვივახშმეთ იმიტომ, რომ ლონდონის მახლობლად ვცხოვრობთ და გვარად სმითები ვართ.

ბ-ნი სმითი, კითხულობს და ენას ატკაცუნებს.

ქ-ნი სმითი: რა გემრიელია კარტოფილი ღორის ქონით, არც სალათის ზეთი ყოფილა

მძალე. კუთხის მაღაზიაში გაცილებით უკეთესი ხარისხის ზეთს ყიდიან, ვიდრე მოპირდაპირე და დაღმართის ბოლოში მდებარე მაღაზიებში. თუმცა, უნდა ითქვას, რომ არც მათი ზეთია ცუდი.

ბ-ნი სმითი, კითხულობს და ენას ატკაცუნებს.

ქ-ნი სმითი: მაგრამ ყველას მაინც კუთხის მაღაზიის ზეთი სჯობს.

ბ-ნი სმითი, კითხულობს და ენას ატკაცუნებს

ქ-ნი სმითი: მერის ამჯერად კარგად მოუხარშავს კარტოფილი. ამასწინათ კარგად არ მოხარშა, მე კი მხოლოდ კარგად მოხარშული კარტოფილი მიყვარს.

ბ-ნი სმითი, კითხულობს და ენას ატკაცუნებს.

ქ-ნი სმითი: თევზი ახალი იყო. ლამის თითები ჩავატანე. ორჯერ დავიმატე, არა, სამჯერ. ტუალეტში წასვლა მომანდომა. შენც სამჯერ დაიმატე, მაგრამ მესამეჯერ გაცილებით უფრო ნაკლები, ვიდრე პირველად და მეორეჯერ, მე კი - გაცილებით მეტი⁴. ამ საღამოს მე შენზე უკეთ ვჭამე. კი, მაგრამ რატომ? როგორც წესი, შენ ჭამ ყველაზე მეტს. მადა ნამდვილად არ გაკლია.

ბ-ნი სმითი ენას ატკაცუნებს.

ქ-ნი სმითი: ნენიანი, მე მგონი, ოდნავ მლაშე იყო. მას შენზე მეტი მარილი ჰქონდა. აჰ, აჰ, აჰ. პრასიც ზედმეტი ჰქონდა, ხახვი კი — აკლდა. როგორ ვწუხვარ, მერის რომ არ ვურჩიე, ცოტა ვარსკვლავებიანი ანისულაც დაემატებინა. არა უშავს, მომავალში გავითვალისწინებ.

ბ-ნი სმითი კითხვას და ენის ტკაცუნს აგრძელებს.

ქ-ნი სმითი: ჩვენს ბიჭუნას ლუდის დაღვევა უნდოდა, რომ გაიზრდებოდა, კარგად გამოთრობა ეყვარება, სულ შენა გგავს. შეამჩნიე, მაგიდასთან ბოთლს როგორ უთვალთვალე? მე კიდევ ავდექი და ჭიქაში გრაფინის წყალი დავუსხი. სწყუროდა და დალია. ელენი მე მგავს: კარგი დიასახლისია, მომჭირნეა და ფორტეპიანოზე უკრავს. ის არასოდეს მოგთხოვს ინგლისურ ლუდს, ისევე როგორც ჩვენი პატარა გოგონა, რომელიც რძისა და ფაფის მეტს არაფერს მიირთმევს. გასაგებიცაა, ის ხომ მხოლოდ ორი წლის არის. სახელად პეგი ჰქვია.

ტორტი კომპიტა და ლობიოთი შესანიშნავი იყო. ალბათ, კარგი იქნებოდა დესერტად ჭიქა ავსტრალიური ბურგუნდიული ღვინო დაგვეყვოლებინა, მაგრამ ღვინო სუფრაზე არ მოვიტანე, ბავშვებისთვის მსუნაგობის მაგალითი რომ არ მიმეცა. მათ ხომ სისადავე და ზომიერება უნდა ვასწავლოთ ცხოვრებაში.

ბ-ნი სმითი კითხვას აგრძელებს და ენას ატკაცუნებს.

ქ-ნი სმითი: მისტერ პარკერი ერთ რუმინელ ბაყალს იცნობს, სახელად პოპესკო როზენფელდს¹, რომელიც ეს-ესაა კონსტანტინოპოლიდან ჩამოვიდა. ის იოგურტის დიდი სპეციალისტია. ადრიანოპოლისის იოგურტის მენარმეთა სკოლის დიპლომს ფლობს. ხვალ წავალ და ერთ დიდ ქოთან რუმინულ ფოლკლორულ იოგურტს ვუყიდი. აქ, ლონდონის მახლობლად, მსგავს რამეებს იშვიათად თუ იშოვი.

ბ-ნი სმითი კითხვას აგრძელებს და ენას ატკაცუნებს.

ქ-ნი სმითი: იოგურტი ნამდვილი მისწრებაა კუჭისთვის, თირკმელებისთვის, აპენდიციტისა და აპოთეოზისათვის. ასე მითხრა ექიმმა მაკკენზი-კინგმა⁶, რომელიც ჩვენი მეზობელი ჯოუნსების ბავშვებს მკურნალობს. ნამდვილად კარგი ექიმია, ენდობა კაცი. არასოდეს გამოგინერს წამალს, რომელიც საკუთარ თავზე არ გამოუცდია. მანამ პარკერს ოპერაციას გაუკეთებდა, მან ჯერ თვითონ გაიკეთა ლვიძლის ოპერაცია, სრულიად ჯანმრთელმა.

ბ-ნი სმითი: მაშ, როგორ ავხსნათ, რომ ექიმი გადარჩა, პარკერი კი — მოკვდა?

ქ-ნი სმითი: როგორ და, ოპერაცია წარმატებული აღმოჩნდა ექიმისთვის, პარკერისთვის კი — არა.

ბ-ნი სმითი: ვერ ყოფილა მაკკენზი კარგი ექიმი. ოპერაციას ან ორივესთვის კარგად უნდა ჩაეწყო, ან კიდევ, ორივენი უნდა მომკვდარიყვნენ.

ქ-ნი სმითი: რატომ?

ბ-ნი სმითი: ნამდვილი ექიმი ავადმყოფს თუ ვერ განკურნავს, მასთან ერთად უნდა მოკვდეს. გემის კაპიტანი ხომ გემთან ერთად იღუპება ტალღებში, მასთან ერთად კვდება.

ქ-ნი სმითი: კი, მაგრამ ავადმყოფს ხომ გემს ვერ შევადარებთ?

ბ-ნი სმითი: ვითომ რატომ ვერ შევადარებთ? გემის დაავადებებიც ხომ არსებობს; სხვათა შორის, შენი ექიმი ხომალდივით ჯანმრთელია; აი, კიდევ რატომ უნდა დაღუპულიყო ავადმყოფ-

თან ერთად, როგორც ექიმი და მისი ხომალდი.

ქ-ნი სმითი: ოჰ! ამაზე კი აღარც დავფიქრებულვარ... შეიძლება მართალიც იყო... ესე იგი, შენი აზრით...

ბ-ნი სმითი: ...ყველა ექიმი შარლატანია და მეტი არაფერი. და ყველა ავადმყოფიც. ინგლისში მხოლოდ ფლოტია პატიოსანი.

ქ-ნი სმითი: ოღონდ მეზღვაურები – არა.

ბ-ნი სმითი: ბუნებრივია.

პაუზა.

ბ-ნი სმითი, ისევ გაზეთით: ერთი რაღაც ვერაფრით ვერ გამიგია. გაზეთების სამოქალაქო რუბრიკაში ყოველთვის აქვეყნებენ გარდაცვლილების ასაკს და არასოდეს მიუთითებენ ახალშობილებისას. ეს ხომ სრული უაზრობაა.

ქ-ნი სმითი: აი, ამაზე კი არასოდეს დავფიქრებულვარ!

ისევ დუმილი. საათი შეიძვერ ჩამოკრავს. დუმილი. საათი სამჯერ რეკავს. დუმილი. საათი აღარ რეკავს.

ბ-ნი სმითი, ისევ გაზეთს ჩასცქერის: უი, გაიგე? ბოზი ვატსონი მომკვდარა.

ქ-ნი სმითი: ღმერთო ჩემო, საცოდავი, როდის?

ბ-ნი სმითი: კი მაგრამ, რატომ გაგიკვირდა? ხომ იცოდი. ორი წლის წინ არ გარდაიცვალა? არ გახსოვს, წლინახევრის წინ დაკრძალვაზეც ვიყავით⁷.

ქ-ნი სმითი: ჰო, რა თქმა უნდა, მახსოვს. მაშინვე გამახსენდა, მაგრამ არ მესმის, შენ თვითონ რატომ გაგიკვირდა გაზეთში ამის ამოკითხვა.

ბ-ნი სმითი: გაზეთში არ ამომიკითხავს. მის გარდაცვალებაზე ჯერ კიდევ სამი წლის წინ ლაპარაკობდნენ. ეს ამბავი ჩემი ფიქრების ასოციაციამ გამახსენა.

ქ-ნი სმითი: ო, როგორ ვწუხვარ! ის ხომ ისე კარგად გამოიყურებოდა.

ბ-ნი სმითი: ეს იყო დიდი ბრიტანეთის ყველაზე ლამაზი ცხედარი. გაცილებით ახალგაზრდა ჩანდა. საბრალო ბობი, უკვე ოთხი წლის მკვდარი ისევ თბილი იყო. ნამდვილი ცოცხალი ცხედარი. მერე რას მხიარულობდა!

ქ-ნი სმითი: საბრალო ქალი.

ბ-ნი სმითი: შენ გინდოდა გეთქვა, „საბრალო კაცი“, არა?

ქ-ნი სმითი: არა, მის ცოლს ვგულისხმობ. მასაც ბობი ერქვა, ბობი ვატსონი. ერთნაირი სახელების გამო ერთმანეთისგან ვერ ვარჩევდით, როცა ერთად იყვნენ. მხოლოდ მისი სიკვდილის შემდეგ მივხვდით, რომელი რომელი იყო. თუმცა, დღემდე, ზოგს ის მიცვალებულში ერევა და სამძიმარს ეუბნება. შენ იცნობ, არა?

ბ-ნი სმითი: მხოლოდ ერთხელ ვნახე, ისიც შემთხვევით, ბობის დაკრძალვაზე.

ქ-ნი სმითი: მე კი არასოდეს მინახავს. ლამაზია?

ბ-ნი სმითი: სწორი ნაკვთები აქვს, მაგრამ ვერ იტყვი, რომ ლამაზია. ძალიან მაღალია და ჩასხმული. სწორი ნაკვთები არა აქვს, თუმცა, შეიძლება ითქვას, რომ ლამაზია. ზედმეტად

დაბალი და გამხდარია. სიმლერის მასწავლებელია.

საათი ხუთჯერ რეკავს. ხანგრძლივი დუმილი.

ქ-ნი სმითი: დაქორწინებას როდის აპირებს ეს წყვილი?

ბ-ნი სმითი: ყველაზე გვიან, მომავალ გაზაფხულზე.

ქ-ნი სმითი: უეჭველად უნდა წავიდეთ მათ ქორწილში.

ბ-ნი სმითი: საქორწილო საჩუქარიც უნდა გავუკეთოთ. რა ვაჩუქოთ?

ქ-ნი სმითი: ერთი ვერცხლის ლანგარი ხომ არ გვეჩუქებინა იმ შვიდიდან, ქორწილში რომ გვაჩუქეს და არაფერში გვარგია?

ხანმოკლე დუმილი. საათი ორჯერ რეკავს.

ქ-ნი სმითი: რა საწყენია მისთვის, ასე ადრე რომ დაქვრივდა.

ბ-ნი სმითი: კიდევ კარგი, შვილები რომ არ ჰყავთ.

ქ-ნი სმითი: ესლა აკლდათ! შვილები! საბრალო ქალი, როგორ მოუვლიდა მათ!

ბ-ნი სმითი: არა უშავს, ჯერ ახალგაზრდაა. კიდევ გათხოვდება. თავისუფლად. ძაძები ძალიან უხდება.

ქ-ნი სმითი: გათხოვდება? მერე ბავშვებს ვინ მოუვლის? ხომ იცი, ქალ-ვაჟი ჰყავთ. რა ჰქვიათ?

ბ-ნი სმითი: ბობი და ბობი, როგორც მშობლებს. ბობი ვატსონის ბიძა, მოხუცი ბობი

ვატსონი მდიდარია, თან ბიჭიც ძალიან უყვარს. ის სიამოვნებით იტვირთებდა ბობის აღზრდას.

ქ-ნი სმითი: რაც სრულიად ბუნებრივიც იქნებოდა. და თავის მხრივ, ბობი ვატსონის ბიცოლაც, მოხუცი ბობი ვატსონიც მშვენივრად შეძლებდა ბობი ვატსონის ქალიშვილის აღზრდას. ამგვარად, ბობი ვატსონის დედა, ბობი, ისევ გათხოვდებოდა. არის ვინმე მის ცხოვრებაში?

ბ-ნი სმითი: დიახ, ბობი ვატსონის ბიძაშვილი.

ქ-ნი სმითი: ვინ? ბობი ვატსონი?

ბ-ნი სმითი: რომელ ბობი ვატსონზე ამბობ?

ქ-ნი სმითი: ბობი ვატსონზე, ანგარდაცვლილი მეორე მოხუცი ბიძის, ბობი ვატსონის, შვილზე.

ბ-ნი სმითი: არა, ეს ის არ არის, სხვაა; ეს ბობი ვატსონი ანგარდაცვლილი ბიცოლა ბობი ვატსონის შვილია.

ქ-ნი სმითი: შენ კომივოიაჟერ ბობი ვატსონს გულისხმობ?

ბ-ნი სმითი: ყველა ბობი ვატსონი კომივოიაჟერია.

ქ-ნი სმითი: რა რთული პროფესიაა! მაგრამ ძალიან სარფიანიც არის.

ბ-ნი სმითი: ჰო, მაშინ, როცა კონკურენცია არ არის.

ქ-ნი სმითი: და როდის არ არის ხოლმე კონკურენცია?

ბ-ნი სმითი: ორშაბათობით, ხუთშაბათობით და სამშაბათობით.

ქ-ნი სმითი: ოჰ! კვირაში სამი დღე? და რას აკეთებს ბობი ვატსონი კვირის ამ სამი დღის განმავლობაში?

ბ-ნი სმითი: ისვენებს, სძინავს.

ქ-ნი სმითი: კი, მაგრამ რატომ არ მუშაობს ამ დღეებში, თუკი კონკურენცია არ არის?

ბ-ნი სმითი: ყველაფერი მე რატომ უნდა ვიცოდე? როგორ შეიძლება ყველა იდიოტურ კითხვაზე მე გიპასუხო?

ქ-ნი სმითი, შეურაცხყოფილია: ჩემი დამცირება გინდა, არა?

ბ-ნი სმითი: ხომ იცი, რომ არა.


ქ-ნი სმითი: არა, ყველა კაცი ერთნაირია! ან მთელი დღე პირში სიგარეტგაჩრილი დგახართ, ან პუდრს ისვამთ და ტუჩებს იღებავთ დღეში ორმოცდაათჯერ, ან კიდევ გაუჩერებლად სვამთ.

ბ-ნი სმითი: საინტერესოა, რას იტყვოდი, კაცებიც რომ ქალებივით მთელი დღე ეწეოდნენ, იპუდრებოდნენ, ტუჩებს იღებავდნენ და ვისკის სვამდნენ?

ქ-ნი სმითი: აი, მე ეს სულ ფეხებზე მკიდია! მაგრამ შენ თუ ასე იმიტომ ლაპარაკობ, რომ მე გამაბრაზო, მშვენივრად იცი, რომ ასეთი ხუმრობა არ მიყვარს.

წინდება ძალიან შორს ისვრის,
კბილებს კრიჭავს და დგება.

ბ-ნი სმითი, ფეხზე წამოდგება და ნაზად მიემართება მეუღლისკენ: ოჰ, ჩემო შემწვარო წინილავ, რატომ აფრქვევ ცეცხლს! ხომ იცი, რომ ვიხუმრე (წელზე ეხვევა და კოცნის). რა სასაცილო მოხუცი შეყვარებულებივით ვიქცევით! წამოდი, შუქი ჩავაქროთ და ნანა ვქნათ!



სცენა II

იგივენი და მერი

მერი, შემოდის: მე მოსამსახურე ვარ. ძალიან სასიამოვნოდ გავატარე ნაშუადღევით. კინოში ვიყავი მამაკაცთან ერთად და ფილმი ვნახე ქალებთან ერთად. კინოდან რომ გამოვედი, არყისა და რძის დასალევად წავედი, შემდეგ კი გაზეთი წავიკითხეთ.

ქ-ნი სმითი: იმედი მაქვს, ნაშუადღევით სასიამოვნოდ გაატარეთ, კინოშიც ნახვედით მამაკაცთან ერთად და რძე და არაყიც დალიეთ.

ბ-ნი სმითი: და გაზეთი?!

მერი: კართან ქალბატონი და ბატონი მარტინები იცდიან, თქვენი სტუმრები. მე მელოდებოდნენ, მარტონი შემოსვლას ვერ ბედავდნენ. ამ საღამოს თქვენთან უნდა ესადილათ.

ქ-ნი სმითი: ო, დიას. ველოდეთ, ველოდეთ და მოგვშივდა. რაკი არ გამოჩნდნენ, სადილობა მათ გარეშე დავაპირეთ. მთელი დღეა, არაფერი გვიჭამია. სად იყავით!

ქ-ნი სმითი: კი, მაგრამ წასვლის ნება ხომ თქვენ დამრთეთ.

ბ-ნი სმითი: ძალით არ გვინდოდა!

მერი (*ჯერ სიცილი წასკდება, შემდეგ ტირის და ბოლოს იღიმება*): ღამის ქოთანი ვიყიდე ჩემთვის.

ქ-ნი სმითი: ჩემო ძვირფასო მერი, გთხოვთ, კარი გააღოთ და შემოიყვანოთ ქალბატონი და ბატონი მარტინები. მანამდე ჩვენ გამოვიცვლით.

ქ-ნი და ბ-ნი სმითები მარჯვნივ
გადიან. მერი ალებს მარცხენა კარს
და შემოდიან მარტინები.

სცენა III

მერი და მარტინების წყვილი

მერი: სად იყავით აქამდე! ეს რა უზრდელო-
ბაა. დროზე ვერ მოხვედით? ახლა აქ დასხედით
და დაიცადეთ.
გადის.

სცენა IV

მარტინები

ქ-ნი და ბ-ნი მარტინები უსიტყვოდ
სხდებიან ერთმანეთის პირისპირ და
მორცხვად უღიმიან ერთმანეთს.

ბ-ნი მარტინი (მიმდინარეობს განელილი
მონოტონური დიალოგი, ლაპარაკობენ უემო-
ციოდ და წამლერებით) მაპატიეთ, ქალბატონო,
მაგრამ, თუ არ ვცდები, სადღაც უკვე მინახიხ-
ართ.

ქ-ნი მარტინი: მეც ასე მგონია, ბატონო. ასე მგონია, რომ სადღაც უკვე მინახიხართ.

ბ-ნი მარტინი: მანჩესტერში ხომ არა, შემთხვევით?

ქ-ნი მარტინი: ადვილი შესაძლებელია. მე ხომ წარმოშობით მანჩესტერიდან ვარ! მაგრამ, რომ არაფერი მახსოვს, ჩემო ბატონო, ვერ გეტყვით, გნახეთ იქ თუ არა.

ბ-ნი მარტინი: ღმერთო ჩემო, რა საინტერესოა! მეც ხომ მანჩესტერიდან ვარ წარმოშობით, ქალბატონო.

ქ-ნი მარტინი: რა საინტერესოა!

ბ-ნი მარტინი: რა საინტერესოა!... ოღონდ, მე, ქალბატონო, მანჩესტერი დაახლოებით ხუთი კვირაა, რაც დავტოვე.

ქ-ნი მარტინი: რა საინტერესოა! რა საოცარი დამთხვევაა! მეც დაახლოებით ხუთი კვირის წინ წამოვედი მანჩესტერიდან.

ბ-ნი მარტინი: ჩაგჯექი მატარებელში, რომელიც დილის რვიდან ნახევარი საათის შემდეგ გადის და ლონდონში ხუთი საათის შესრულებამდე თხუთმეტი წუთით ადრე შემოდის, ქალბატონო.

ქ-ნი მარტინი: რა საინტერესოა! რა საოცარია! და რა დამთხვევაა. მეც იმავე მატარებლით ვიმგზავრე, ბატონო, მეც.

ბ-ნი მარტინი: ღმერთო, რა საინტერესოა! მაშ, შეიძლება მატარებელში გნახეთ, ქალბატონო.

ქ-ნი მარტინი: შესაძლებელია, გამორიცხული არ არის, დასაშვებია და, ბოლოს და ბოლოს, რატომაც არა!... მაგრამ, რომ არაფერი მახსოვს, ჩემო ბატონო?

ბ-ნი მარტინი: მე მეორე კლასით ვმგზავრობ ხოლმე, ქალბატონო. ინგლისში მეორე კლასი არ არსებობს, მაგრამ მე მაინც მეორეთი ვმგზავრობ ხოლმე.

ქ-ნი მარტინი: რა უცნაურია, რა საინტერესოა და როგორი დამთხვევაა! მეც, ბატონო, მეც მეორე კლასით ვიმგზავრე.

ბ-ნი მარტინი: რა საინტერესოა! იქნებ სწორედ მეორე კლასის ვაგონში შევხვდით, ჩემო ძვირფასო ქალბატონო.

ქ-ნი მარტინი: სრულიად შესაძლებელია და გამორიცხული არ არის. მაგრამ კარგად რომ არ მახსოვს, ძვირფასო ბატონო?

ბ-ნი მარტინი: მე მერვე ვაგონის ბილეთი მქონდა, მეექვსე კუბეში, ქალბატონო!

ქ-ნი მარტინი: რა საინტერესოა! ჩემი ბილეთიც მერვე ვაგონის მეექვსე კუბის იყო, ძვირფასო ბატონო!

ბ-ნი მარტინი: რა საინტერესოა და რა საოცარი დამთხვევაა! იქნებ სწორედ მეექვსე კუბეში შევხვდით, ძვირფასო ქალბატონო.

ქ-ნი მარტინი: სრულიად შესაძლებელია, ბოლოს და ბოლოს! მაგრამ არაფერი მახსოვს, ძვირფასო ბატონო.

ბ-ნი მარტინი: სიმართლე რომ გითხრათ, არც მე მახსოვს რამე, ძვირფასო ქალბატონო, მაგრამ შესაძლოა, ერთმანეთი სწორედ იქ შევამჩნიეთ და თუ კარგადაც დავფიქრდები, ეს ძალიანაც შესაძლებელია!

ქ-ნი მარტინი: ოჰ, ნამდვილად, რა თქმა უნდა, ნამდვილად, ბატონო.

ბ-ნი მარტინი: რა საოცარია! მე მესამე ადგილი მქონდა, ფანჯარასთან ახლოს, ძვირფასო ქალბატონო.

ქ-ნი მარტინი: ო, ღმერთო ჩემო, რა საოცარია და რა უცნაური! მე მეექვსე ადგილი მქონდა, ფანჯარასთან, თქვენს პირდაპირ, ძვირფასო ბატონო.

ბ-ნი მარტინი: ო, ღმერთო ჩემო, რა საოცარია და რა დამთხვევაა!... მაშ, ერთმანეთის პირისპირ ვისხედით, ძვირფასო ქალბატონო; აი, სად უნდა შევხვედროდით!

ქ-ნი მარტინი: რა საინტერესოა! დასაშვებია, მაგრამ არ მახსოვს, ბატონო.

ბ-ნი მარტინი: სიმართლე რომ გითხრათ, ქალბატონო, არც მე მახსოვს, თუმცა, ადვილი შესაძლებელია, რომ სწორედ ამ შემთხვევის წყალობით შევხვდით ერთმანეთს.

ქ-ნი მარტინი: მართალია, მაგრამ ბოლომდე დარწმუნებული არა ვარ, ბატონო.

ბ-ნი მარტინი: თქვენ არ იყავით, ძვირფასო ქალბატონო, ჩემოდნის თაროზე შემოდება რომ მთხოვეთ, მაღლობა გადამიხადეთ და მონევის ნება დამრთეთ?

ქ-ნი მარტინი: ო, დიახ, მე უნდა ვყოფილიყავი, ბატონო! რა საინტერესოა, რა საინტერესო და როგორი დამთხვევაა.

ბ-ნი მარტინი: რა საინტერესოა და რა უცნაური დამთხვევაა! მაშ, ესე იგი, ამ მომენტში გავიცანით ერთმანეთი, არა, ქალბატონო?

ქ-ნი მარტინი: რა საინტერესოა და რა დამთხვევაა! სრულიად შესაძლებელია, ძვირფასო ბატონო! მაგრამ არაფერი მახსოვს.

ბ-ნი მარტინი: არც მე, ქალბატონო.

დუმილი. საათი რეკავს 2 - 1.

ბ-ნი მარტინი: ლონდონში ბრომფილდის ქუჩაზე დავბინავდი, ძვირფასო ქალბატონო.

ქ-ნი მარტინი: რა საინტერესოა და რა უცნაური! რაც ლონდონში ჩამოვედი, მეც ბრომფილდის ქუჩაზე ვცხოვრობ, ძვირფასო ბატონო.

ბ-ნი მარტინი: რა საინტერესოა, მაშ იქნებ, მაშ იქნებ ბრომფილდის ქუჩაზე შევხვდით, ძვირფასო ქალბატონო.

ქ-ნი მარტინი: რა საინტერესოა, რა საოცარია! ეს შესაძლებელია, ბოლოს და ბოლოს! მაგრამ არ მახსოვს, ძვირფასო ბატონო.

ბ-ნი მარტინი: მე ცხრამეტ ნომერში ვცხოვრობ, ძვირფასო ქალბატონო.

ქ-ნი მარტინი: რა საინტერესოა, მეც ცხრამეტ ნომერში ვცხოვრობ, ძვირფასო ბატონო.

ბ-ნი მარტინი: მაშინ იქნებ, მაშინ იქნებ, მაშინ იქნებ, მაშინ იქნებ, მაშინ იქნებ სწორედ ამ სახლში შევხვდით, ძვირფასო ქალბატონო?

ქ-ნი მარტინი: სრულიად შესაძლებელია, მაგრამ არ მახსოვს, ძვირფასო ბატონო.

ბ-ნი მარტინი: მე მეხუთე სართულზე ვცხოვრობ, მერვე ბინაში, ძვირფასო ქალბატონო.

ქ-ნი მარტინი: რა საინტერესოა, ღმერთო ჩემო, რა უცნაურია! და რა დამთხვევაა! მეც მეხუთე სართულზე ვცხოვრობ, მერვე ბინაში, ძვირფასო ბატონო.

ბ-ნი მარტინი, ჩაფიქრებული: რა საინტერესოა, რა საინტერესოა, რა საინტერესოა და რა

დამთხვევაა! იცით, ჩემს საძინებელში ერთი სა-
წოლი დგას. საწოლზე მწვანე გადასაფარებელია
და ეს ოთახი თავისი მწვანეგადასაფარებლიანი
საწოლით დერეფნის ბოლოშია, ტუალეტსა და
ბიბლიოთეკას შორის, ძვირფასო ქალბატონო!

ქ-ნი მარტინი: რა დამთხვევაა, ღმერთო ჩემო,
რა დამთხვევა! ჩემს საძინებელშიც ერთი საწო-
ლია მწვანე გადასაფარებლით და ისიც დერე-
ფნის ბოლოშია, ძვირფასო ბატონო, ტუალეტსა
და ბიბლიოთეკას შორის.

ბ-ნი მარტინი: რა უცნაურია, საინტერესო,
და საოცარი! მაშ, ქალბატონო, გამოდის, რომ
ჩვენ ერთსა და იმავე ოთახში ვცხოვრობთ და
ერთ საწოლში გვძინავს. ძვირფასო ქალბატო-
ნო, იქნებ სწორედ იქ შევხვდით!

ქ-ნი მარტინი: რა საინტერესოა და რა
დამთხვევაა! შესაძლებელია, რომ სწორედ იქ
შევხვდით, შეიძლება ეს გასულ ღამესაც იყო,
მაგრამ რომ არ მახსოვს, ძვირფასო ბატონო!

ბ-ნი მარტინი: მე პატარა გოგონა მყავს, ჩემი
გოგონა ჩემთან ცხოვრობს, ძვირფასო ქალბა-
ტონო. ორი წლისაა, ქერა, ცალი თვალი თეთრი
აქვს, მეორე კი — წითელი, ძალიან ლამაზია და
აღისა ჰქვია, ძვირფასო ქალბატონო.

ქ-ნი მარტინი: რა საოცარი დამთხვევაა! მეც
მყავს პატარა გოგონა, ორი წლის არის, ერთი
თვალი თეთრი აქვს, მეორე — წითელი, ძალ-
იან ლამაზია და მასაც აღისა ჰქვია, ძვირფასო
ბატონო!

**ბ-ნი მარტინი, ისევ განუღიღი, მონოტონური
ხმით:** რა საინტერესოა და რა დამთხვევაა! რა

საოცარია! იქნებ ეს ერთი და იგივე გოგონაა, ძვირფასო ქალბატონო!

ქ-ნი მარტინი: რა საინტერესოა! სრულიად შესაძლებელია, ბატონო.

ხანგრძლივი დუმილი... საათი
ოცდაცხრაჯერ ჩამოკრავს.

ბ-ნი მარტინი, დიდი ფიქრის შემდეგ ნელა დგება და აუჩქარებლად მიემართება ქალბატონი მარტინისკენ, რომელიც ბ-ნი მარტინის საზეიმო სახით გაოცებული ასევე ნელა წამოდგა. ბ-ნი მარტინს ისევ ისეთი უცნაური და მონოტონური ხმით: მაშ, ძვირფასო ქალბატონო, ვფიქრობ, არანაირი ეჭვი აღარ არსებობს, ჩვენ ერთმანეთს უკვე შევხვედრივართ და თქვენ ჩემი საკუთარი მეუღლე ხართ... ელიზაბეტ, ისევ გიპოვნე!

ქ-ნი მარტინი, ბ-ნი მარტინს აუჩქარებლად უახლოვდება, ერთმანეთს ყოველგვარი ემოციის გარეშე გადაეხვევიან. საათი ერთხელ ძლიერად ჩამოკრავს. ისე ძლიერ, რომ მაყურებელს შეაკრთობს. მარტინებს მისი ხმა არც კი ესმით: დონალდ, ეს შენ ხარ, დარლინგ!

ერთ სავარძელში სხდებიან და გადახვეულებს ჩაეძინებათ. საათი კიდევ ბევრჯერ რეკავს. სცენაზე ფეხისწვერებზე შემოდის ტუჩებზე თითმიდებული მერი და მაყურებელს მიმართავს.

სცენა V

იგივენი და მერი

მერი: ელიზაბეტი და დონალდი ახლა ზედმეტად ბედნიერნი არიან იმისთვის, რომ ჩემი ხმა გაიგონონ. მაშ, შემოიძლია, ერთი საიდუმლო გაგიმხილოთ. ელიზაბეტი არ არის ელიზაბეტი და დონალდი არ არის დონალდი. აი, დამადასტურებელი საბუთიც: ბავშვი, რომელზეც დონალდი ლაპარაკობს, ელიზაბეტის შვილი არ არის, ისინი ერთი და იმავე ადამიანზე არ ლაპარაკობენ. დონალდის შვილს ცალი თვალი თეთრი აქვს, მეორე კი — წითელი; ისევე როგორც ელიზაბეტისას, მაგრამ თუკი დონალდის გოგონას თეთრი თვალი მარჯვნივ აქვს და წითელი მარცხნივ, ელიზაბეტისას წითელი თვალი მარჯვნივ აქვს და თეთრი — მარცხნივ! ამდენად, დონალდის არგუმენტთა მთელი სისტემა მცდარია ამ ზემოთაღნიშნული დაბრკოლების გამო, რომელიც ბოლოს უღებს მთელს მის თეორიას. მიუხედავად იმ უჩვეულო დამთხვევებისა, რომლებიც საბოლოო ნივთმტკიცებებად შეგვეძლო ჩაგვეთვალა, დონალდი და ელიზაბეტი, იმდენად, რამდენადაც არ არიან ერთი ბავშვის მშობლები, არ არიან დონალდი და ელიზაბეტი. ის სულ ტყუილად ფიქრობს, რომ დონალდია და ქალიც ცდება, თუ ჰგონია, რომ თვითონ არის ელიზაბეტი, ის კი — დონალდი. ორივე მწარედ ცდება. მაგრამ ვინ არის ნამდვილი დონალდი? რომელია ნამდვილი ელიზაბეტი? ვის აინტერ-

ესებს ამ გაუგებრობის გაგრძელება? არაფერი მესმის. ნურც ვეცდებით რამის გაგებას. ყველაფერი ისე დავტოვოთ, როგორც არის. (რამდენიმე ნაბიჯს დგამს კარისკენ, შემდეგ უკან ბრუნდება და მაყურებელს მიმართავს.) ჩემი ნამდვილი სახელია შერლოკ ჰოლმსი⁸.

გადის.

სცენა VI

მარტინები

საათი იმდენჯერ რეკავს, რამდენჯერაც მოესურვება. კარგა ხნის შემდეგ, ქალბატონი და ბატონი მარტინები ერთმანეთს შორდებიან და ისევ სავარძლებში სხდებიან.

ბ-ნი მარტინი: დავივიწყოთ, ძვირფასო, ყველაფერი, რაც ჩვენს შორის არ მომხდარა და ახლა, როცა ისევ შევხვდით, ვეცადოთ ერთმანეთი აღარასოდეს დავკარგოთ და უწინდებურად ვიცხოვროთ.

ქ-ნი მარტინი: დიახ, დარლინგ!

სცენა VII

მარტინები და სმითები

მარჯვნიდან ქალბატონი და ბატონი სმითები შემოდიან, ტანსაცმელი არ გამოუცვლიათ.

ქ-ნი სმითი: სალამო მშვიდობისა, ძვირფასო მეგობრებო! მოგვიტევეთ, ასე დიდხანს რომ გალოდინეთ. გვინდოდა, თქვენთვის საკადრისი პატივი მოგვეგო. როცა გავიგეთ, რომ ნება იბოძეთ, ჩვენთვის სიამოვნება მოგენიჭებინათ და გაუფრთხილებლად გვწვეოდით, საზეიმო სამოსში გამოსაწყობად გავეშურეთ.

ბ-ნი სმითი, გაბრაზებული: მთელი დღეა, არაფერი გვიჭამია. უკვე ოთხი საათია, რაც გელოდებით. ასე რატომ დაიგვიანეთ?

სმითები სტუმრების პირისპირ სხდებიან. საათის მეტნაკლები ძალით რეკვა თითქოს ხაზს უსვამს მათ რეპლიკებს.

მარტინებს, განსაკუთრებით კი — ქალს, შეცბუნებული და დამორცხვებული სახე აქვთ. სიტყვების პოვნა უჭირთ და საუბარს ძლივს აბამენ. ხანგრძლივი დუმილი.

ყველა ყოყმანობს.

- ბ-ნი სმითი: ჰმ.
- ქ-ნი სმითი: ჰმ, ჰმ. დუმილი.
- ქ-ნი მარტინი: ჰმ, ჰმ, ჰმ. დუმილი.
- ბ-ნი მარტინი: ჰმ, ჰმ, ჰმ, ჰმ. დუმილი.
- ქ-ნი მარტინი: ოჰ, მართლაც. დუმილი.
- ბ-ნი მარტინი: ყველანი გაციებულები ვართ. დუმილი.
- ბ-ნი სმითი: თუმცა, სულ არ ცივა. დუმილი.
- ქ-ნი სმითი: ნიავიც კი არ იძვრის. დუმილი.
- ბ-ნი მარტინი: ო, არა, საბედნიეროდ. დუმილი.
- ბ-ნი სმითი: ოჰ, ოჰ, ოჰ, ოჰ, ოჰ. დუმილი.
- ბ-ნი მარტინი: მოიწყინეთ? დუმილი.
- ქ-ნი სმითი: არა, მომბეზრდა. დუმილი.
- ქ-ნი მარტინი: ოჰ, ბატონო, თქვენს ასაკში არ გეკადრებათ. დუმილი.
- ბ-ნი სმითი: გული ხომ არ ბერდება. დუმილი.
- ბ-ნი მარტინი: მართალს ბრძანებთ. დუმილი.

ქ-ნი სმითი: ასე ამბობენ.

დუმილი.

ქ-ნი მარტინი: პირიქითაც ამბობენ.

დუმილი.

ბ-ნი სმითი: ნაწილობრივ ორივე მართალია.

დუმილი.

ბ-ნი მარტინი: მართლაც.

დუმილი.

ქ-ნი სმითი, მიმართავს მარტინების წყვილს: თქვენ იმდენს მოგზაურობთ, ალბათ, ბევრი რამ გაქვთ ჩვენთვის მოსაყოლი.

ბ-ნი მარტინი, თავის მეუღლეს: გვითხარი, ძვირფასო, რა ნახე დღეს?

ქ-ნი მარტინი: არ ღირს, მაინც არ დამიჯერებთ.

ბ-ნი სმითი: თქვენს კეთილსინდისიერებას ეჭვქვეშ როგორ დავაყენებთ?!

ქ-ნი სმითი: ჩვენ თქვენ ამის გაფიქრებითაც კი შეურაცხგვყოფთ.

ბ-ნი მარტინი, თავის მეუღლეს: ძვირფასო, შენ მათ ამის გაფიქრებითაც კი შეურაცხყოფ.

ქ-ნი მარტინი, მედიდურად: მაშ, კარგი. იცით, დღეს მეტად უჩვეულო ამბავს შევესწარი, დაუჯერებელ ამბავს.

ბ-ნი მარტინი: ჩქარა მოყევი, ძვირფასო.

ბ-ნი სმითი: ოჰ, მგონი, გავერთობით.

ქ-ნი სმითი: როგორც იქნა.

ქ-ნი მარტინი: დღეს, ბაზარში რომ მივდიოდი ბოსტნეულის საყიდლად, რომელიც სულ უფრო და უფრო ძვირდება...

ქ-ნი სმითი: აბა, რა გამოვიდა!

ბ-ნი სმითი: ნუ აწყვეტინებ, ძვირფასო, საძაგელო.

ქ-ნი მარტინი: ქუჩაში, კაფესთან ერთი შესაფერისად ჩაცმული კაცი დავინახე. იქნებოდა, ასე, ორმოცდაათიოდე წლის, არც კი, და...

ბ-ნი სმითი: და.....

ქ-ნი სმითი: და.....

ბ-ნი სმითი, მეუღლეს: ნუ აწყვეტინებ, ძვირფასო, რა საძაგელი ხარ.

ქ-ნი სმითი: ძვირფასო, პირველმა შენ გააწყვეტინე, თავხედო.

ბ-ნი მარტინი: ჩუ. (თავის მეუღლეს) რას აკეთებდა ის ბატონი?

ქ-ნი მარტინი: ოჰ, არ დამიჯერებთ. ცალი მუხლი მიწაზე დაედო და დახრილიყო.

ბ-ნი მარტინი, ბ-ნი სმითი, ქ-ნი სმითი: ოჰ!

ქ-ნი მარტინი: დიახ, დახრილი იყო.

ბ-ნი სმითი: შეუძლებელია.

ქ-ნი მარტინი: დიახ, დახრილი. მივუახლოვდი, რომ მენახა, რას აკეთებდა...

ბ-ნი სმითი: მერე?

ქ-ნი მარტინი: ფეხსაცმლის თასმები გახსნოდა და იკრავდა.

დანარჩენი სამი: საოცარია!

ბ-ნი სმითი: თქვენ რომ არა, არ დავიჯერებდი.

ბ-ნი მარტინი: ვითომ რატომ არა? თუ დადიხარ, უფრო გასაოცარ რამეებსაც ნახავ კაცი. აი, დღეს მეტროში საკუთარი თვალით ვნახე, სკამზე ჩამომჯდარი ბატონი როგორ მშვიდად კითხულობდა გაზეთს.

ქ-ნი სმითი: რა ორიგინალურია!

ბ-ნი სმითი: იქნებ იგივე კაცი იყო!

შემოსასვლელ კარზე ზარის ხმა ისმის.

ბ-ნი სმითი: ნახეთ, კარზე ზარია.

ქ-ნი სმითი: ვილაც უნდა იყოს. ნავალ, ვნახავ. (მიდის, კარს აღებს და ბრუნდება). არავინ არის.

ჯდება.

ბ-ნი მარტინი: ერთსაც გეტყვით...

ისევ ზარია.

ბ-ნი სმითი: კარზე რეკავენ.

ქ-ნი სმითი: ვილაცაა. ნავალ, ვნახავ. (მიდის, კარს აღებს და ბრუნდება). ისევ არავინაა.

თავის ადგილზე ბრუნდება.

ბ-ნი მარტინი, დაავინყდა, რას ამბობდა: ეეე!

ქ-ნი მარტინი: ამბობდი, ერთსაც გეტყვითო.

ბ-ნი მარტინი: ო, დიახ.

ზარი.

ბ-ნი სმითი: კარზე რეკავენ.

ქ-ნი სმითი: აღარ გავაღებ.

ბ-ნი სმითი: კი, მაგრამ ვინმე რომ იყოს?

ქ-ნი სმითი: პირველად რომ დარეკეს, არავინ იყო, არც მეორეჯერ და რატომ გგონია, რომ ახლა იქნება ვინმე?

ბ-ნი სმითი: იმიტომ, რომ დარეკეს.

ქ-ნი მარტინი: ეგ საკმარისი მიზეზი არ არის.

ბ-ნი მარტინი: რაო? თუ კარზე ზარია, ეს იმას ნიშნავს, რომ ვიღაც მოვიდა და იმიტომ რეკავს, რომ გავულოთ.

ქ-ნი მარტინი: ყოველთვის ასე არ არის. ახლა არ ნახეთ?

ბ-ნი მარტინი: დიახ, მაგრამ უმრავლეს შემთხვევაში ასეა.

ბ-ნი სმითი: მე პირადად, როცა ვინმესთან მივდივარ, კარზე ვრეკავ, რომ გამიღონ. მგონი, ყველა ასე იქცევა და ყოველთვის, როცა კარზე ზარია, ესე იგი, ვიღაც მოვიდა.

ქ-ნი სმითი: თეორიულად ასეა, მაგრამ პრაქტიკულად ყველაფერი სულ სხვანაირად ხდება. ამ წუთას არ ნახე?

ქ-ნი მარტინი: თქვენი ცოლი მართალს ამბობს.

ბ-ნი მარტინი: ოჰ, ეს ქალები სულ ერთმანეთის დაცვაში ხართ!

ქ-ნი სმითი: კარგი, ნავალ და ვნახავ. დარწმუნდები, რომ არავინ არის და ველარ მეტყვი ჯიუტი ხარო! (მიდის, კარს აღებს და ხურავს). ხომ ხედავ, არავინ არის.

თავის ადგილზე ბრუნდება.

ქ-ნი სმითი: ოჰ, ეს კაცები. უნდათ, რომ სულ მართლები იყვნენ, არადა, სულ ტყუიან.

კარზე ისევ ზარია.

ბ-ნი სმითი: ნახე, ზარია, ვილაც მოვიდა.

ქ-ნი სმითი, ძალიან ბრაზდება: აღარ გამიშვა კარის გასაღებად. ხომ ნახე, რომ აზრი არა აქვს. გამოცდილება გვიჩვენებს, რომ თუ კარზე ზარია, ესე იგი, არავინ მოსულა.

ქ-ნი მარტინი: მართალია.

ბ-ნი მარტინი: მთლად დარწმუნებულები მაინც ვერ ვიქნებით.

ბ-ნი სმითი: უფრო მეტიც, თქვენ ცდებით. უმრავლეს შემთხვევაში, როცა კარზე რეკავენ, ესე იგი, ვილაც მოვიდა.

ქ-ნი სმითი: აბა, თავისას როგორ დაიშლის?!

ქ-ნი მარტინი: ჩემი ქმარიც ძალიან ჯიუტია.

ბ-ნი სმითი: ვილაც მოვიდა.

ბ-ნი მარტინი: დასაშვებია.

ქ-ნი სმითი, თავის მეუღლეს: არა-მეთქი.

ბ-ნი სმითი: კი-მეთქი.

ქ-ნი სმითი: არა-მეთქი. ყოველ შემთხვევაში, მე ნულარაფერზე შემაწუხებ. თუ გნებავს, მიბრძანდი და თვითონ ნახე!

ბ-ნი სმითი: ახლავე.

ქ-ნი სმითი მხრებს იჩეჩავს. ქ-ნი მარტინი თავს აქნევს.

ბ-ნი სმითი, კარს აღებს: ოჰ! How do you do!
(გადახედავს ქ-ნი სმითს და მარტინების წყვილს. ყველანი გაოცებულები არიან.) მეხანძრეთა კაპიტანი მოსულა!

სცენა VIII

იგივენი და მეხანძრეთა კაპიტანი

მეხანძრე, (ფორმაში გამონყობილს თავზე, რა თქმა უნდა, უზარმაზარი პრიალა ჩაფხუტი აფარია): გამარჯობა, ქალბატონებო და ბატონებო. (საყოველთაო გაოცება. გაბრაზებულნი სმითი თავს აბრუნებს და მისალმებას არ პასუხობს.) გამარჯობა, ქალბატონო სმით, რა გაბრაზებული სახე გაქვთ?!

ქ-ნი სმითი: ოჰ!

ბ-ნი სმითი: იცით, ჩემი ცოლი თავს, ცოტა არ იყოს, შეურაცხყოფილად გრძნობს, იმიტომ, რომ მტყუანი აღმოჩნდა.

ბ-ნი მარტინი: საქმე იმაშია, ბატონო მეხანძრეთა კაპიტანო, რომ ქალბატონი და ბატონი სმითები დაობდნენ, რომ...

ქ-ნი სმითი ბ-ნ მარტინს: ეს თქვენ არ გეხებათ! (ბ-ნ სმითს) ძალიან გთხოვ, გარეშე პირებს ჩვენს ოჯახურ კინკლაობაში ნუ ჩარევ.

ბ-ნი სმითი: ო, ძვირფასო, ისეთი რა მოხდა. კაპიტანი ხომ ჩვენი ოჯახის ძველი მეგობარია. დედამისი მე დამდევდა, მამამისსაც ვიცნობდი. ერთხელ მთხოვა, როცა ქალიშვილი მეყოლებოდა, მისთვის მიმეთხოვებინა. ამ მოლოდინში მოკვდა კიდევ, სანყალი.

ბ-ნი მარტინი: ოჰ, ეს არც მისი ბრალია და არც თქვენი.

მეხანძრე: რა მოხდა, ბოლოს და ბოლოს?

ქ-ნი სმითი: ჩემი ქმარი ამტკიცებდა, რომ...

ბ-ნი სმითი: არა, ეს შენ ამტკიცებდი.

ბ-ნი მარტინი: დიახ, ქალბატონი ამტკიცებდა.

ქ-ნი მარტინი: არა, ბატონი ამტკიცებდა.

მეხანძრე: ნუ ნერვიულობთ. მომიყევით, ქალბატონო სმით, რა მოხდა.

ქ-ნი სმითი: კარგი. მართალია, ძალიან მეუხერხულემა თქვენთვის გულის გადაშლა, მაგრამ მეხანძრეები ხომ აღსარებასაც იბარებენ.

მეხანძრე: ჰოდა?

ქ-ნი სმითი: ჩვენ ვკამათობდით, რადგან ჩემი ქმარი ამბობდა რომ, თუ კარზე ზარია, ესე იგი, ვილაც მოვიდაო.

ბ-ნი მარტინი: დასაშვებია.

ქ-ნი სმითი: მე კი იმას ვამბობდი, რომ თუ ზარია, ესე იგი, არავინ მოსულა.

ქ-ნი მარტინი: ეს შეიძლება ცოტა უცნაურადაც გეჩვენოთ.

ქ-ნი სმითი: მაგრამ ზემოთნათქვამი დამტკიცდა და თანაც არა თეორიული მაგალითებით, არამედ ფაქტებით.

ბ-ნი სმითი: ტყუილია. მეხანძრე ხომ აქ არის. მან კარზე დარეკა, მე გავაღე და ის იქ იყო.

ქ-ნი მარტინი: როდის?

ბ-ნი მარტინი: აი, ამ წუთას.

ქ-ნი სმითი: კი, მაგრამ, ეს ხომ ზარის მხოლოდ მეოთხეჯერ დარეკვის შემდეგ მოხდა. მეოთხეჯერ კი აღარ ითვლება.

ქ-ნი მარტინი: დიახ, ყოველთვის მხოლოდ პირველი სამი ითვლება.

ბ-ნი სმითი: ბატონო, კაპიტანო, ნება მიბოძეთ, მეც, ჩემს მხრივ, რამოდენიმე კითხვა დაგისვათ.

მეხანძრე: კი ბატონო, დამისვით.

ბ-ნი სმითი: როცა კარი გავაღე და თქვენ დაგინახეთ, ზარი ნამდვილად თქვენ დარეკეთ?

მეხანძრე: დიახ, მე.

ბ-ნი მარტინი: კართან იდექით და რეკავდით, რომ შემოსულიყავით?

მეხანძრე: ნამდვილად ასეა, არ უარვყოფ.

ბ-ნი სმითი, გამარჯვებული და კმაყოფილი მიმართავს ქ-ნ სმითს: ხედავ? მართალი მე ვიყავი. თუ ზარია, ესე იგი, მას ვილაც რეკს. ახლა ხომ ველარ იტყვი, რომ კაპიტანი არავინ არის?

ქ-ნი სმითი: არავითარ შემთხვევაში. გიმეორებ, რომ მე ვგულისხმობ მხოლოდ პირველ სამ შემთხვევას და რომ მეოთხე არ ითვლება.

ქ-ნი მარტინი: პირველადაც თქვენ დარეკეთ ზარი?

მეხანძრე: არა, მაშინ მე არ დამირეკავს.

ქ-ნი მარტინი: ხედავთ? ზარი დაირეკა, კართან კი არავინ იყო.

ბ-ნი მარტინი: იქნებ სხვა ვინმე იყო?

ბ-ნი სმითი: დიდი ხანი დაჰყავით კართან?

მეხანძრე: საათის სამი მეოთხედი.

ბ-ნი სმითი: და არავინ დაგინახავთ?

მეხანძრე: ნამდვილად არავინ.

ქ-ნი მარტინი: მეორეჯერ რომ დარეკეს, გაიგონეთ?

მეხანძრე: კი, მაგრამ არც მე დამირეკავს და არც არავინ ყოფილა.

ქ-ნი სმითი: გავიმარჯვე! მართალი მე ვარ.

ბ-ნი სმითი, თავის ცოლს: ნუ აჩქარდები. (მეხანძრეს) და რას აკეთებდით კარებთან?

მეხანძრე: არაფერს. ვიდექი და უამრავ რამეზე ვფიქრობდი.

ბ-ნი მარტინი, მეხანძრეს: მაგრამ, მესამეჯერ... თქვენ არც მესამეჯერ დაგირეკავთ?

მეხანძრე: კი, მე დავრეკე.

ბ-ნი სმითი: კარი რომ გავაღეთ და ვერ დაგინახეთ?

მეხანძრე: იმიტომ, რომ დაგემაღეთ... გავიხუმრე.

ქ-ნი სმითი: ნუ იცინით რა, ბატონო კაპიტანო, საქმე სასაცილოდ არა გვაქვს.

ბ-ნი მარტინი: გამოდის, რომ საბოლოოდ მაინც არ ვიცით, არის თუ არა კართან ვინმე, როცა ზარია.

ქ-ნი სმითი: არა, არასოდეს არავინაა.

ბ-ნი სმითი: პირიქით, ყოველთვის არის ვილაც.

მეხანძრე: მე მოგარიგებთ. თავისთავად, ორივე მხარე მართალს ამბობს. როცა კარზე ზარია, ხან არის ვილაც, ხან კი — არა.

ბ-ნი მარტინი: ძალიან ლოგიკურად მეჩვენება.

ქ-ნი მარტინი: მეც.

მეხანძრე: ხომ ხედავთ, სინამდვილეში ყველაფერი მარტივადაა. (სმითების წყვილს) აბა, აკოცეთ ერთმანეთს.

ქ-ნი სმითი: ჩვენ ეს სულ ახლახანს გავაკეთეთ.

ბ-ნი მარტინი: ხვალ აკოცებენ, რა ეჩქარებათ.

ქ-ნი სმითი: ბატონო კაპიტანო, რაკი ამ გაუგებრობის გარკვევაში ასე დაგვეხმარეთ, კარგად მოისვენეთ, მოთავსდით. მოიხადეთ თქვენი ჩაფხუტი და ცოტა ხნით ჩამოჯექით.

მეხანძრე: მაპატიეთ, დიდხანს ვერ დავრჩები. ძალიან მინდა ჩაფხუტის მოხდა, მაგრამ ჩამოჯდომის დრო არა მაქვს. (ჯდება და ჩაფხუტს არ იხდის) უნდა გამოგიტყდეთ, რომ მე თქვენთან სულ სხვა საქმეზე მოვედი. სამსახურის საქმეზე.

ქ-ნი სმითი: რა საქმეზე, ბატონო კაპიტანო?

მეხანძრე: ძალიან გთხოვთ, მომიტევოთ კადნიერება (ლაპარაკი ძალიან უჭირს). ეეე... (თითოთ მარტინების ნყვილზე მიუთითებს) შემიძლია... მათი თანდასწრებით?...

ქ-ნი მარტინი: ნუ მოგერიდებათ.

ბ-ნი მარტინი: ჩვენ დიდი ხანია, ვმეგობრობთ. ისინი ყველაფერს გვიყვებიან.

ბ-ნი სმითი: გვითხარით.

მეხანძრე: კარგი. თქვენთან ცეცხლი არის?

ქ-ნი სმითი: რატომ გვეკითხებით?

მეხანძრე: იმიტომ, რომ მაპატიეთ, მაგრამ ნაბრძანები მაქვს, ქალაქში ყველა ცეცხლი ჩაეაქრო.

ქ-ნი მარტინი: სულ ყველა?

მეხანძრე: დიახ, სულ ყველა.

ქ-ნი სმითი, აღელვებულია: არ ვიცი, არა მგონია, რომ იყოს... გინდათ, კარგად ვნახო?

ბ-ნი სმითი, ღრმად ჩაისუნთქავს: რალაც არა მგონია, იყოს. დამწვრის სუნი არ დგას.

მეხანძრე, შენუხებული: სულ არაფერია? ბუხრის პატარა ცეცხლი მაინც არა გაქვთ, იქნებ, სხვენში ან სარდაფში იწვის რამე? იქნებ, იყოს სადმე ხანძრის პატარა ჩანასახი.

ქ-ნი სმითი: მომისმინეთ, ძალიან არ მინდა გული გატკინოთ, მაგრამ ვფიქრობ, ჯერჯერ-

ობით ჩვენთან ვერაფერს ნახავთ. როგორც კი რამე გამოჩნდება, გპირდებით, რომ შეგატყობინებთ.

მეხანძრე: უმორჩილესად გთხოვთ, ამით დიდად დამავალდებთ.

ქ-ნი სმითი: სიტყვას გაძლევთ.

მეხანძრე, მარტინებს: არც თქვენთან იწვის რამე?

ქ-ნი მარტინი: სამწუხაროდ, არა.

ბ-ნი მარტინი, მეხანძრეს: ამ ბოლო დროს საქმე მთლად კარგად ველარ არის.

მეხანძრე: საქმე ძალიან ცუდადაა. ჩასაქრობი აღარაფერია, წვრილმანებს, ბუხარს და საბძელს თუ არ ჩავთვლით. რაკი სერიოზული სამუშაო აღარ არის, შემოსავალიც აღარ არის, და შემოსავალი რომ აღარ არის, საწარმოო პრემიებიც ძალიან დაბალია.

ბ-ნი სმითი: ყველგან ცუდადაა საქმე წელს, ყველგან. ვაჭრობასა და სოფლის მეურნეობასაც ისევე უჭირს, როგორც თქვენ.

ბ-ნი მარტინი: არც ხორბალია, არც ხანძარი.

მეხანძრე: აღარც წყალდიდობა.

ქ-ნი სმითი: სამაგიეროდ, არის შაქარი.

ბ-ნი სმითი: იმიტომ, რომ უცხოეთიდან შემოაქვთ.

ქ-ნი მარტინი: აი, ხანძრის შემოტანა კი ჭირს, იმდენი გადასახადია.

მეხანძრე: ხანდახან, ძალიან იშვიათად, მაგრამ მაინც არის ხოლმე გაზით გაგუდვის ერთი-ორი შემთხვევა. აი, გასულ კვირას, მაგალითად, ახალგაზრდა ქალი გაიგუდა, გაზის ონკანი დატოვა ღია და...

ქ-ნი მარტინი: დაკეტვა დაავინყდა?

მეხანძრე: არა, თავის სავარცხელში შეეშალა.

ბ-ნი სმითი: ასეთი შეცდომები ყოველთვის საბედისწეროა!

ქ-ნი სმითი: ასანთის გამყიდველთან თუ იყავით?

მეხანძრე: არაფერია, დაზღვეული ყოფილა ხანძარზე.

ბ-ნი მარტინი: მაშინ, ჩემი სახელით უოკ-ფილდის მთავარეპისკოპოსს ეწვიეთ.

მეხანძრე: უფლება არა მაქვს, მღვდლებს ცეცხლი ჩავუქრო. ეპისკოპოსი⁹ ძალიან გაბრაზდება. ისინი თავიანთ ხანძრებს ან დამოუკიდებლად აქრობენ, ან ვესტალებს აქრობინებენ.

ბ-ნი სმითი: მაშინ დიურანთან სცადეთ.

მეხანძრე: არც იქ გამოვა რამე. ის ხომ ინგლისელი არ არის, მხოლოდ ინგლისის მოქალაქეა. მოქალაქეებს სახლის ქონების უფლება კი აქვთ, მაგრამ იქ ცეცხლის ჩაქრობის — არა.

ქ-ნი სმითი: კი, მაგრამ შარშან რომ იქ ხანძარი გაჩნდა და მაინც ჩააქრეს!

მეხანძრე: სულ მარტომ ჩააქრო. მალულად. მე პირადად მის დაბეზლებას არ ვაპირებ.

ბ-ნი სმითი: არც მე.

ქ-ნი სმითი: რაკი ძალიან არ გეჩქარებათ, ბატონო კაპიტანო, ცოტა ხანს კიდევ დარჩით, გაგვეხარდება.

მეხანძრე: გინდათ, არაკებს გიამბობთ.

ქ-ნი სმითი: ო, რა თქმა უნდა, რა მომხიბვლელი ხართ!

კოცნის.

ბ-ნი სმითი, ქ-ნი მარტინი, ბ-ნი მარტინი: არ-
აკები, დიახ, დიახ, რა კარგია!

ტაშს უკრავენ.

ბ-ნი სმითი: და ყველაზე უფრო საინტერესო
ის არის, რომ მეხანძრის ყველა ამბავი ცხოვრე-
ბიდან აღებული სრული სინამდვილეა.

მეხანძრე: დიახ, მე მხოლოდ იმას გიამბობთ,
რაც საკუთარ თავზე გამომიცდია. სინამდვილე
და მხოლოდ სინამდვილე, არავითარი წიგნი.

ქ-ნი სმითი: აბა, დაიწყეთ.

ბ-ნი მარტინი: დაიწყეთ.

ქ-ნი მარტინი: ჩუმად, იწყებს.

მეხანძრე, რამდენჯერმე ჩაახველებს: მაპა-
ტიეთ, მაგრამ ძალიან გთხოვთ, ასე ნუ მიყუ-
რებთ. უხერხულია, ხომ იცით, რა მორცხვი
ვარ.

ქ-ნი სმითი: რა საყვარელია!

კოცნის.

მეხანძრე: შევეცდები, როგორმე დავიწყო.
მაგრამ დამპირდით, რომ არ მომისმენთ.

ქ-ნი მარტინი: კი, მაგრამ თუ არ მოგისმი-
ნეთ, როგორ გავიგონებთ.

მეხანძრე: უი, მაგაზე კი აღარ მიფიქრია!

ქ-ნი სმითი: გეუბნებით, ნამდვილი ბავშვია.

ბ-ნი მარტინი, ქ-ნი სმითი: ო, ძვირფასო ბავ-
შვო.

კოცნიან.

ქ-ნი მარტინი: აბა, გაბედულად.

მეხანძრე: კარგი, დავინყებ. (კიდევ ახველებს და აკანკალებული ხმით იწყებს) „ძალი და ხარი“, ექსპერიმენტული იგავი: ერთხელ ერთი ხარი ეკითხება ერთ ძალს: შენი ხორთუმი რატომ არ გადაყლაპე? მაპატიე, უპასუხა ძალმა, მე მეგონა, სპილო ვიყავი.

ქ-ნი მარტინი: აქედან დასკვნა?

მეხანძრე: თქვენ გამოიტანეთ.

ბ-ნი სმითი: მართალს ამბობს.

ქ-ნი სმითი, ბრაზდება: ერთი იგავიც გვიამბეთ.

მეხანძრე: ერთხელ ერთმა ნორჩმა ხბომ ზომაზე მეტი დაფშვნილი შუშა მიირთვა. შედეგად, იძულებული გახდა, ემშობიარა და ქვეყანას ძროხა მოავლინა. მაგრამ რაკი ხბო ბიჭი იყო, ძროხა „დედას“ ვერ დაუძახებდა. ვერც „მამას“ დაუძახებდა, რადგან მამობისათვის ხბო ძალიან პატარა იყო. მაშინ ხბო იძულებული გახდა, ერთ პიროვნებაზე დაქორწინებულიყო და მერია მოდური გარემოებებით ნაკარნახევი ყველა ზომა მიიღო.

ბ-ნი სმითი: კაენივით.

ბ-ნი მარტინი: როგორც შიგნეული.

მეხანძრე: გამოდის, რომ იმ ქალს თქვენც იცნობდით?

ქ-ნი სმითი: ყველა გაზეთში მასზე წერდნენ.

ქ-ნი მარტინი: ეს ჩვენგან ძალიან შორს მოხდა.

მეხანძრე: კიდევ ერთ იგავს მოგიყვებით: „მამალი“. ერთხელ ერთმა მამალმა ძალლობა მოისურვა, მაგრამ არ გაუმართლა, მაშინვე იცნეს.

ქ-ნი სმითი: სამაგიეროდ, ვერავინ იცნო ის ძალი, რომელმაც მამლობა მოიწადინა.

ბ-ნი სმითი: მეც მინდა, ჩემს მხრივ, ერთი იგავი¹⁰ გიამბოთ. „გველი და მელა“: ერთხელ ერთი გველი მელას მიუახლოვდა და უთხრა: „მგონი, ჩვენ ერთმანეთს უნდა ვიცნობდეთ!“. მელამ უპასუხა: „მეც ასე მგონია“. „მაშინ, უთხრა გველმა, მომეცით ფული“. „მელა ფულს არ იძლევა“, უპასუხა ეშმაკმა ცხოველმა და გასაქცევად მარწყვის ბუჩქებითა და ქათმის თაფლით სავსე ხეობას მიაშურა. გველი მას უკვე იქ ელოდებოდა და მეფისტოფელივით იღიმებოდა. მელამ დანა ამოიღო და იღრიალა: „მე შენ გასწავლი, როგორ უნდა ცხოვრება!“ შემდეგ კი შემობრუნდა და გაიქცა. არ გაუმართლა, იმიტომ რომ გველი უფრო სწრაფი აღმოჩნდა. კარგად მოქნეული მუშტის ერთი დაკვრით მელას შუბლი ათას ნაწილად დაუმსხვრია და თან გაჰყვიროდა: „არა, არა, ოთხგზის არა, მე შენი ქალიშვილი არა ვარ“!

ქ-ნი მარტინი: რა საინტერესოა.

ქ-ნი სმითი: ცუდი არ არის.

ბ-ნი მარტინი ხელს ართმევს **ბ-ნ სმითს:** გილოცავთ.

მეხანძრე, ცოტა არ იყოს, შეშურდა: დიდი ვერაფერი, თანაც მე ეგ იგავი უკვე ვიცოდი.

ბ-ნი სმითი: რა საშინელებაა.

ქ-ნი სმითი: კი, მაგრამ ეგ ხომ ნამდვილი ამბავი არ არის.

ქ-ნი მარტინი: არა, სამწუხაროდ.

ბ-ნი მარტინი **ქ-ნ სმითს:** თქვენი ჯერია, ქალბატონო.

ქ-ნი სმითი: მე მხოლოდ ერთი იგავი ვიცი. მოგიყვებით, „თაიგული“ ჰქვია.

ბ-ნი სმითი: ჩემი ცოლი ყოველთვის რომანტიკული იყო.

ბ-ნი მარტინი: ის ნამდვილი ინგლისელია.

ქ-ნი სმითი: ვინცებ. ერთხელ ერთმა ყმანვილმა ყვავილების თაიგული მიართვა თავის დანიშნულს, რომელმაც მადლობა გადაუხადა; მაგრამ სანამ ეს უკანასკნელი მადლობას გადაუხდოდა, ვაჟმა უსიტყვოდ უკან გამოართვა ყვავილები, რომლებიც ჭკუის სასწავლებლად მისცა, უთხრა „უკან მიმაქვს ჩემი ყვავილები“, დაემშვიდობა და წავიდა აქეთ-იქიდან.

ბ-ნი მარტინი: რა შესანიშნავია.

კოცნის ან არ კოცნის ქ-ნ სმითს.

ქ-ნი მარტინი: თქვენ ისეთი მეუღლე გყავთ, ბატონო სმით, ყველას შურს.

ბ-ნი სმითი: მართალს ბრძანებთ. ჩემი ცოლი გონიერების განსახიერებაა. ის ჩემზე უფრო ჭკვიანიც კია. ყოველ შემთხვევაში, ჩემზე გაცილებით უფრო ქალურია. რა ვიცი, ასე ამბობენ.

ბ-ნი სმითი, მეხანძრეს: ერთი იგავიც გვიამბეთ, კაპიტანო.

მეხანძრე: ოჰ, არა, ძალიან გვიანია.

ბ-ნი მარტინი: მაინც მოგვიყევით.

მეხანძრე: არა, ძალიან დაღლილი ვარ.

ბ-ნი სმითი: გაგვიჩიეთ სამსახური.

ბ-ნი მარტინი: ძალიან გთხოვთ.

მეხანძრე: არა.

ქ-ნი მარტინი: რა ქვის გული გაქვთ. გავარვარებულ ნახშირზე ვდგავართ.

ქ-ნი სმითი, მუხლებზე ეცემა და ქვითინებს,
ან არ ქვითინებს: გევედრებით.

მეხანძრე: კარგი.

ქ-ნი სმითი, ქნ მარტინს ყურში ჩასჩურჩულებს: თანახმაა! კიდევ ერთხელ გაგვაგიყებს.

ქ-ნი მარტინი: ჩუ.

ქ-ნი სმითი: ბედი არ მწყალობს. მეტისმეტად თავაზიანი ვიყავი.

მეხანძრე: „სურდო“: ჩემს ქვისლს მამის მხრიდან ჰყავდა ერთი ბიძაშვილი, რომლის დედის ძმის სიმამრის ბაბუაც მამის მხრიდან მეორე ქორწინებაში იმყოფებოდა ახალგაზრდა აბორიგენტთან, რომლის ძმაც ერთ-ერთი მორიგი მოგზაურობის დროს შეხვდა გოგონას, რომელიც შეუყვარდა და რომელთანაც გაუჩნდა ვაჟი, რომელმაც ცოლად მოიყვანა ერთი გაბედული აფთიაქარი, რომელიც სხვა არავინ იყო, თუ არა დისშვილი ბრიტანეთის ფლოტის უცნობი კვარტერ-მეისტერისა, რომლის მამობილსაც ჰყავდა ესპანურად კარგად მოსაუბრე დეიდა, რომელიც შესაძლოა, იყო ერთ-ერთი შვილიშვილი ნაადრევად დაღუპული ინჟინერისა და ეს ინჟინერი, თავის მხრივ, შვილიშვილი იყო იმ ვენახების მფლობელისა, რომელთა მოსავლიდანაც უხარისხო ღვინოს წურავდნენ, მაგრამ რომელსაც ჰყავდა პატარა ბიძაშვილი - შინაყუდა ადიუტანტი, რომლის ვაჟიშვილმაც ცოლად შეირთო ქმარს გაცილებული ძალიან ლამაზი ახალგაზრდა ქალი, რომლის პირველი ქმარიც იყო შვილი გულწრფელი პატრიოტისა, რომელმაც შეძლო და თავისი ერთ-ერთი ქალიშვილი სიმდიდრის სიყვარულით აღზარდა და

ამ უკანასკნელმა მოახერხა გათხოვილიყო მონადირეზე, რომელიც იცნობდა როტშილდს და რომლის ძმაც ხელობის მრავალჯერ შეცვლის შემდეგ დაქორწინდა და ეყოლა გოგონა, რომლის ფიზიკურად სუსტი დიდი ბაბუაც ატარებდა სათვალეს, რომელიც აჩუქა თავისმა ბიძაშვილმა, ერთი პორტუგალიელის ცოლისძმამ, რომლის მამაც იყო არცთუ ისე ღარიბი მენისქვილე, რომლის ძიძიშვილმაც ცოლად შეირთო ქალიშვილი სოფლის ყოფილი ექიმისა, რომელიც თავის მხრივ ძიძიშვილი იყო ერთი მერძევის შვილისა, მერძევეს კი ეს შვილი უკანონოდ ჰყავდა სოფლის მეორე ექიმისაგან, რომელიც ზედიზედ სამჯერ დაქორწინდა და რომლის მესამე ცოლიც...

ბ-ნი მარტინი: რამე თუ არ მეშლება, მაგ მესამე ცოლს მე ვიცნობდი, კრაზანების ბუდეში ნინილას მიირთმევდა.

მეხანძრე: არა, ეს ის არ არის, ეს სხვაა.

ქ-ნი სმითი: ჩუ.

მეხანძრე: ვაგრძელებ: რომლის მესამე ცოლიც, რეგიონის საუკეთესო ბებიაქალის ქალიშვილი, ძალიან ადრე დაქვრივდა...

ბ-ნი სმითი: როგორც ჩემი ცოლი.

მეხანძრე: და შემდეგ გათხოვდა ერთ მხიარულ მემუშეზე, რომელსაც ერთი სადგურის დირექტორთან ჰყავდა შვილი, რომელმაც შეძლო და ცხოვრებაში თავისი გზა გაიკვლია...

ქ-ნი სმითი: თავისი რკინიგზა.

ბ-ნი მარტინი: როგორც კარტში.

მეხანძრე: და ცოლად შეირთო ერთი ყველა ქუჩაში მოვაჭრე, რომლის მამასაც ჰყავდა ძმა,

რომელიც ერთი პატარა ქალაქის მერი იყო და რომელსაც ცოლად ჰყავდა ერთი ქერა მასწავლებელი, რომლის ანკესით მოთევზავე ბიძაშვილსაც...

ბ-ნი მარტინი: მკვდარი ანკესით...

მეხანძრე: ...ცოლად ჰყავდა სხვა ქერა მასწავლებელი, რომელსაც აგრეთვე მარი ერქვა და რომლის ძმასაც ცოლად ჰყავდა სხვა მარი, ასევე ქერათმიანი მასწავლებელი...

ბ-ნი სმითი: თუ ქერა იყო, რა საკვირველია, მარი ერქმეოდა.

მეხანძრე: ...და რომლის მამაც კანადაში აღზარდა ერთმა მოხუცმა ქალმა, რომელიც იყო ძმისწული მღვდლისა, რომლის ბებიასაც ხანდახან ზამთრობით ისევე ემართებოდა სურდო, როგორც ყველა ჩვენთაგანს.

ქ-ნი სმითი: რა საინტერესო ამბავია. თითქმის დაუჯერებელიც კი.

ბ-ნი მარტინი: გაციების დროს ბაფთების გაკეთებაა საჭირო.

ბ-ნი სმითი: უსარგებლო ღონისძიებაა, მაგრამ მაინც ძალიან აუცილებელი.

ქ-ნი მარტინი: მაჰატიეთ, ბატონო კაპიტანო, მაგრამ თქვენი მონათხრობი მთლად კარგად ვერ გავიგე. ბოლოში, მღვდლის დედასთან ცოტა გართულდა.

ბ-ნი სმითი: ყოველთვის ასეა, მღვდლებთან სულ ღვედების ნალვერდლები აღვარდალებენ საქმეს.

ქ-ნი სმითი: ო, კაპიტანო, ერთიც მოგვიყევით, ყველანი ძალიან გთხოვთ.

მეხანძრე: ოჰ, არც კი ვიცი, შევძლებ თუ არა. სამუშაოზე ვარ. თუმცა, გააჩნია, რომელი საათია.

ქ-ნი სმითი: ჩვენ რომ სახლში საათი არა გვაქვს?

მეხანძრე: აბა, ეს კედლის საათი?

ქ-ნი სმითი: ეგ ცუდად მუშაობს, უკულ-მართია, ყოველთვის სანინააღმდეგო დროს უჩვენებს.

სცენა IX

იგივენი და მერი

მერი: ქალბატონო... ბატონო...

ქ-ნი სმითი: რა გნებავთ?

ბ-ნი სმითი: თქვენ აქ რა გესაქმებათ?

მერი: მაპატიეთ, ქალბატონო და ბატონო... თქვენც, ბატონებო და ქალბატონებო... მინდო-და... მეც მინდოდა... თქვენთვის ერთი იგავი მომეყოლა...

ქ-ნი მარტინი: რას ამბობს?

ბ-ნი მარტინი: მე მგონი, ჩვენი მეგობრების მოსამსახურე გაგიჟდა ...ახლა ამანაც მონდო-მა იგავის მოყოლა.

მეხანძრე: ნეტავ, ვინ ჰგონია თავისი თავი? (უყურებს მოახლეს) უჰ!

ქ-ნი სმითი: რამდენის უფლებას აძლევთ თავს?

ბ-ნი სმითი: თქვენ თავხედი ხართ, მერი...

მეხანძრე: კი, ნამდვილად ის არის! წარ-მოუდგენელია!

ბ-ნი სმითი: თქვენ რაღა დაგემართათ?

მერი: დაუფერებელია! თქვენ? აქ?

ქ-ნი სმითი: გამაგებინეთ, ეს ყოველივე რას ნიშნავს!

ბ-ნი სმითი: თქვენ რა, მეგობრები ხართ?

მეხანძრე: მეგობრები? და მერე როგორი!

მერი კისერზე ეკიდება მეხანძრეს.

მერი: როგორ მიხარია, რომ ბოლოსდაბოლოს ისევ შეგხვდით!..

სმითები: ოჰ!

ბ-ნი სმითი: ეს უკვე მეტისმეტია აქ, ჩვენთან, ლონდონის მახლობლად.

ქ-ნი სმითი: ეს რა უმსგავსობაა!

მეხანძრე: ჩემი პირველი ცეცხლი ხომ სწორედ მან ჩააქრო.

მერი: მე ხომ მისი პატარა შადრევანი ვარ.

ბ-ნი მარტინი: რაკი ასეა, ძვირფასო მეგობრებო... ეს გრძნობები ახსნადი, ადამიანური და პატივსაცემია...

ქ-ნი მარტინი: რა თქმა უნდა, ყველაფერ ადამიანურს პატივი უნდა ვცეთ.

ქ-ნი სმითი: აი, მე კი სულაც არ მსიამოვნებს, ეგ რომ აქ ბრძანდება, ჩვენს გვერდით...

ბ-ნი სმითი: თანაც შესაფერი აღზრდა არა აქვს მიღებული...

მეხანძრე: ო, როგორი უსამართლოები ხართ.

ქ-ნი მარტინი: მე კი ვფიქრობ, რომ... ბოლოსდაბოლოს, რა ჩემი საქმეა, მაგრამ, რაც არ უნდა იყოს, მოსამსახურე მაინც მოსამსახურეა...

ბ-ნი მარტინი: მაშინაც კი, თუ ის ბრწყინვალე დეტექტივიცაა.

მეხანძრე: გამიშვი!

მერი: ნუ გეშინიათ! სინამდვილეში ასეთი ავები კი არ არიან!

ბ-ნი სმითი: ჰმ.....ჰმ... გულს მიჩუყებთ, მაგრამ ცოტა არ იყოს... ცოტა...

ბ-ნი მარტინი: დიახ, ზუსტად.

ბ-ნი სმითი: ...ცოტა არ იყოს, უშნოდ მხვდებით თვალში...

ბ-ნი მარტინი: კიდევ ერთხელ გთხოვთ პატიებას, რომ ჩემს აზრს გამოვთქვამ, მაგრამ, მოგეხსენებათ, არსებობს ე.წ. „ბრიტანული სიმორცხვე, რომლის გაგებაც თვით სპეციალისტ უცხოელებსაც კი უჭირთ, და... რომლის წყალობითაც, ასე რომ ვთქვათ... არა, ამას თქვენზე კი არ ვამბობ...

მერი: მინდოდა, თქვენთვის მომეყოლა...

ბ-ნი სმითი: ვერაფერსაც ვერ მოგვიყვებით.

მერი: მათქმევინეთ...

ქ-ნი სმითი: აბა, ჩემო საყვარელო მერი, სამზარეულოში წაცუნცულდით და იქ წაიკითხეთ ეგ თქვენი ლექსები, სარკის წინ...

ბ-ნი მარტინი: ოჰო, მოახლე სულაც არა ვარ, მაგრამ სარკის წინ მეც ვკითხულობ ხოლმე ლექსებს...

ქ-ნი მარტინი: ამ დილით რომ სარკეში შენი თავი ვერ დაინახე?

ბ-ნი მარტინი: იმიტომ, რომ ჯერ მოსული არ ვიყავი...

მერი: იქნებ მაინც მეთქვა ერთი ლექსი?

ქ-ნი სმითი: ო, რა ჯიუტი ხართ, ჩემო ძვირფასო მერი...

მერი: მაშ, შევთანხმდით, ხომ? ერთ ლექსს გეტყვით. კაპიტანის პატივსაცემად „ცეცხლი“ ჰქვია.

ცეცხლი¹¹

პოლიქანდრები¹² ბრწყინავდნენ ტყეში

და ქვა ააღდა

კოშკი ააღდა

ტყე ააღდა

კაცები ააღდნენ

ქალები ააღდნენ

ჩიტები ააღდნენ

თევზები ააღდნენ

წყალი ააღდა

ზეცა ააღდა

ფერფლი ააღდა

კვამლი ააღდა

ცეცხლი ააღდა

ყველაფერი ააღდა,

ააღდა, ააღდა.

*სანამ მერი ლექსს კითხულობს,
სმითები მას ოთახიდან აგდებენ.*

სცენა X

იგივენი მერის გარეშე

ქ-ნი მარტინი: ეს რა ლექსი იყო, ჟრუანტელ-
მა დამიარა.

ბ-ნი მარტინი: მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს,
რომ... არის რაღაც სითბო ასეთ ლექსებში...

მეხანძრე: მე თუ მკითხავთ, საოცარი იყო.

ქ-ნი სმითი: კი, მაგრამ მაინც...

ბ-ნი სმითი: ნუ გადააჭარბებთ.

მეხანძრე: მომისმინეთ, მართალია, ეს ყველაფერი ძალიან სუბიექტურია, მაგრამ ეს სამყაროს ჩემეული აღქმაა, ჩემი ოცნება, ჩემი იდეალია... რომელიც კიდევ ერთხელ შემახსენებს, რომ უნდა წავიდე. რაკი თქვენ საათი არა გაქვთ, მე ზუსტად საათის სამ მეოთხედსა და თექვსმეტ წუთში ქალაქის მეორე ბოლოში ხანძარი მაქვს და უნდა ვიჩქარო, მიუხედავად იმისა, რომ დიდი ვერაფერი ცეცხლია.

ქ-ნი სმითი: რა ხანძარია? იქნებ ბუხრის პატარა კოცონია მხოლოდ?

მეხანძრე: ოჰ, არც კი. ჩალის პატარა ცეცხლია და კუჭის ოდნავი წვა.

ბ-ნი სმითი: რალა გაეწყობა, სამწუხაროა, რომ გვტოვებთ.

ქ-ნი სმითი: ძალიან კი გაგვართეთ.

ქ-ნი მარტინი: თქვენი წყალობით ნამდვილი კარტეზიანული თხუთმეტი წუთი გავატარეთ.

მეხანძრე, *გასავლელისკენ მიდის და ჩერდება:* ჰო, მართლა, მელოტი მომღერალი ქალი როგორ არის?¹³

ყველა უხერხულად დუმს.

ქ-ნი სმითი: ისევ იმ ვარცხნილობას ატარებს.

მეხანძრე: ოჰ, მაშ, ნახვამდის, ბატონებო და ქალბატონებო.

ბ-ნი მარტინი: წარმატებებს და ცეცხლს გისურვებთ!

მეხანძრე: ვინატროთ ყველა ჩვენთაგანისთვის!

მეხანძრეს ყველა კარამდე აცილებს და შემდეგ თავიანთ ადგილებს უბრუნდება.

სცენა XI

სმითები და მარტინები

ქ-ნი მარტინი: მე კი შემოძლია, ჩემს ძმას დანა ვუყიდო, მაგრამ თქვენ ბაბუათქვენს ირლანდიას ვერ უყიდით.

ბ-ნი სმითი: ფეხებით დავდივართ, მაგრამ ელექტროდენით ან ქვანახშირით ვთბებით.

ბ-ნი მარტინი: დღეს ხარის გამყიდველს ხვალ კვერცხიც კი აღარ ექნება.

ქ-ნი სმითი: ცხოვრებას ფანჯრიდან უნდა უყურო.

ქ-ნი მარტინი: ჩვენ კი შეგვიძლია, სკამებზე ჩამოვსხდეთ, მაგრამ სკამებს რომ სკამები არა აქვთ?

ბ-ნი სმითი: ადამიანმა ყოველთვის ყველაფერზე უნდა იფიქროს.

ბ-ნი მარტინი: ჭერი მალლათა, იატაკი — დაბლა.

ქ-ნი მარტინი: თუკი ვამბობ „დიახ“, ესე იგი ლაპარაკის მანერა მაქვს ასეთი.

ქ-ნი მარტინი: ყველას თავისი ბედისწერა აქვს.

ბ-ნი სმითი: თუ გინდათ, წრე მანკიერი გახდეს, აიღეთ და მოეფერეთ!

ქ-ნი სმითი: სკოლის მასწავლებელი ბავშვებს კითხვას კი ასწავლის, მაგრამ კატა თავის ნაშეიერებს მხოლოდ პატარაობისას აწოვებს ძუძუს.

ქ-ნი მარტინი: მიუხედავად იმისა, რომ ძროხა კუდეებს იძლევა.

ბ-ნი სმითი: სოფელში ყოფნისას მარტოობას და სიმშვიდეს ვარჩევ.

ბ-ნი მარტინი: ჯერ ხომ არც ისეთი ასაკოვანი ხართ.

ქ-ნი სმითი: ბენჟამენ ფრანკლინი მართაღს ამბობდა: თქვენ მასზე გაცილებით მშვიდი ხართ.

ქ-ნი მარტინი: რომელია კვირის დღეები?

ბ-ნი სმითი: Monday, Tuesday, Wednesday, Thursday, Friday, Saturday, Sunday.

ბ-ნი მარტინი: Edward is a clerck; his sister Nancy is a typist, and his brother William a shop-assistant.

ქ-ნი სმითი: რა უცნაური ოჯახია!

ქ-ნი მარტინი: მე მირჩევნია მინდვრის ჩიტი ურიკის წინდას.

ბ-ნი სმითი: სასახლის რძეზე მე არ გავცვლი ჩემს სახლის მჭლე ხორცს.

ბ-ნი მარტინი: ინგლისელისთვის მისი სახლი არის სასახლე.

ქ-ნი სმითი: იმდენი ესპანური არ ვიცი, რომ გასაგებად ვილაპარაკო.

ქ-ნი მარტინი: ჩემი დედამთილის ფლოსტებს შენი მეუღლის კუბოში გაგიცვლი.

ბ-ნი სმითი: მონოფიზიტ მღვდელს ვეძებ, რომ ჩვენს მოახლეზე დავაქორწინო.

ბ-ნი მარტინი: პური ხე არის, მაშინ როცა პურიც ხე არის და მუხიდან მუხა ჩნდება ყოველ დილას, გამთენიისას.

ქ-ნი სმითი: ბიძაჩემი სოფელში ცხოვრობს, მაგრამ ბებიაქალს ამას არავინ ეკითხება.

ბ-ნი მარტინი: ქალაღი სანერადაა, კატა — ვირთხისთვის, ყველი — საფხაჭნად.¹⁴

ქ-ნი სმითი: ავტომობილი ძალიან სწრაფად კი მოძრაობს, მაგრამ მზარეული მაინც უკეთ ამზადებს კერძებს.

ბ-ნი სმითი: ნუ იქნებით ინდაურები, სჯობს, შეთქმულს გადაეხვიოთ.

ბ-ნი მარტინი: Charity begins at home.¹⁵

ქ-ნი სმითი: აკვედუკს ველოდები, უნდა მომინახულოს!

ბ-ნი მარტინი: შემიძლია დავამტკიცო, რომ სოციალური პროგრესი გაცილებით უკეთესია შაქრით.

ბ-ნი სმითი: ძირს ფეხსაცმლის საცხი!

ბ-ნი სმითის ბოლო რეპლიკის შემდეგ ყველა გაოცებული ჩუმდება. სიტუაცია იძაბება. საათის რეკავაც თითქოს უფრო ნერვიულია. მომდევნო რეპლიკებს პერსონაჟები წარმოთქვამენ გამყინავი ხმითა და მტრული განწყობით, რომელიც თანდათან ძლიერდება.

სცენის ბოლოს ოთხივე ფეხზე
დგას, ერთმანეთთან ძალიან ახ-
ლოს და რეპლიკებს ყვირილ-
ყვირილით ისე წარმოთქვამენ,
თითქოს სადაცაა, ერთმანეთს
საცემად ეცემიან.

ბ-ნი მარტინი: სათვალის მინებს ფეხსაცმლის
შავი საცხით არ აპრიალებენ.

ქ-ნი სმითი: ჰო, მაგრამ ფულით რასაც
მოისურვებ, ყველაფერს იყიდი.

ბ-ნი მარტინი: ბალში სიმღერას მირჩევნია,
კურდღელი მოვკლა.

ბ-ნი სმითი: ბაყაყი¹⁶, ბაყაყი, ბაყაყი, ბაყაყი,
ბაყაყი, ბაყაყი, ბაყაყი, ბაყაყი, ბაყაყი, ბაყაყი,
ბაყაყი...

ქ-ნი სმითი: რა ყაყა-ნია, რა ყაყა-ნია, რა
ყაყა-ნია, რა ყაყა-ნია, რა ყაყა-ნია, რა ყაყა-ნია,
რა ყაყა-ნია, რა ყაყა-ნია, რა ყაყა-ნია.

ბ-ნი მარტინი: რა ყაყა-ნების ყანებია, რა
ყაყების ყაყანებია, რა ყანების ყაყებია, რა ყაყე-
ბის ყანებია, რა ყანების ყაყებია, რა ყაყებია, რა
ყაყა-ნებია, რა ყაყა-ნებია, რა ყაყა-ნებია...

ბ-ნი სმითი: ძაღლებს რწყილები ჰყავთ, ძაღ-
ლებს რწყილები ჰყავს.

ქ-ნი მარტინი: კაქტუს! კოქსიქს! კოქსი! ბო-
ქსი..

ქ-ნი სმითი: მეკასრე, ნუ გვაკასრებ!

ბ-ნი მარტინი: მირჩევნია, კვერცხი დავდო,
ვიდრე ხარი მოვიპარო.

ქ-ნი მარტინი, პირს დიდზე ალებს: აჰ! ოჰ! აჰ!
ოჰ! დამაცადეთ კბილების ღრჭიალი!

ბ-ნი სმითი: ალიგატორო!

ბ-ნი მარტინი: მოდით, ულისეს გავუღანუნოთ!

ბ-ნი სმითი: წავედი, ჩემს სახლში უნდა ვიცხოვრო, კაკაოს პლანტაციაში.

ქ-ნი მარტინი: კაკაოს პლანტაციების კაკაოს ხეები კაკაოს ისხამენ და არა არაქისს. კაკაოს პლანტაციების კაკაოს ხეები კაკაოს ისხამენ და არა არაქისს. კაკაოს პლანტაციების კაკაოს ხეები კაკაოს ისხამენ და არა არაქისს.

ქ-ნი სმითი: ზღარბებს წარბები აქვთ, წარბებს ზღარბები არ ჰყავთ.

ქ-ნი მარტინი: ხელი გაუშვი ჩემს ქოშს!

ბ-ნი მარტინი: აბა, შეეშვი მაგ ქოშს!

ბ-ნი სმითი: შეეშვი ბუზს, ხელი უშვი ტუზს!

ქ-ნი მარტინი: ბზუილა ბუზი.

ქ-ნი სმითი: დასვრილი ტუჩი.

ბ-ნი მარტინი: ბუზების სახოცი, ბუზების საუუუი!

ბ-ნი სმითი: მოჩხუბარო ჩხუბისთავო ჩხუბში!

ქ-ნი მარტინი: სკარამუში¹⁷, სკარაბუზი, სკარაბ(ე)უსი.

ქ-ნი სმითი: უკარება.

ბ-ნი მარტინი: როგორ მოტყუედი!

ბ-ნი სმითი: ხელი, დავმუნჯდი!

ქ-ნი მარტინი: წმინდა ნიტუში¹⁸ ჩემს ვაზნას შეეხო.

ქ-ნი სმითი: არ შეეხოთ, დამსხვრეულია!¹⁹

ბ-ნი მარტინი: სული!

ბ-ნი სმითი: პრუდომი!

ქ-ნი მარტინი, ბ-ნი სმითი: ფრანსუა!

ქ-ნი სმითი, ბ-ნი მარტინი: კოპე!²⁰

ქ-ნი მარტინი, ბ-ნი სმითი: კოპე სული!

ქ-ნი სმითი, ბ-ნი მარტინი: პრუდომ ფრან-
სუა!

ქ-ნი მარტინი: მოყაყანენი, მოყიყინენი!

ბ-ნი მარტინი: მარიეტა, ქვაბის ფსკერი!

ქ-ნი სმითი: კრიშნამურტი, კრიშნამურტი,
კრიშნამურტი!²¹

ბ-ნი სმითი: პაპი აპიპინებს. პაპს ქვეპაპი არა
ჰყავს, მაგრამ ქვეპაპს პაპი ჰყავს.

ქ-ნი მარტინი: ბაზარი, ბალზაკი, ბაზენი!²²

ბ-ნი მარტინი: ბზიკი, ბიზე, ბეზე!

ბ-ნი სმითი: ა, სე, ი, ო, უ, ა, სე, ი, ო, უ, ა,
სე, ი, ო, უ, ი!

ქ-ნი მარტინი: ბე, სე, დე, ეფ, ჟე, ელ, ემ, ენ,
პე, ერ, ეს, ტე, ვე, ღუბლვე, იქს, ზეტ!

ბ-ნი მარტინი: ნიორწყალი, მარილწყალი,
წყალწყალი!

ქ-ნი სმითი, ბაძავს მატარებელს: ჩუქუ, ჩუქუ,
ჩუქუ, ჩუქუ, ჩუქუ, ჩუქუ, ჩუქუ, ჩუქუ, ჩუქუ,
ჩუქუ, ჩუქუ.

ბ-ნი სმითი: აქეთ!

ქ-ნი მარტინი: არა!

ბ-ნი მარტინი: იქით!

ქ-ნი სმითი: აი!

ქ-ნი მარტინი: იქ!

ბ-ნი მარტინი: ი!

ქ-ნი სმითი: ქ!

*გამძვინვარებული სმითები და
მარტინები ერთმანეთს ყურში ჩაჰ-
ყვირიან. სცენა ბნელდება. სიბნე-*


ლეში ისევ მოისმის მათი ხმა. ისინი
სულ უფროდაუფრო სწრაფად
გაჰყვირიან:

ყველა ერთად: აქეთ არა, აი, იქით, აქეთ არა,
აი, იქით, აქეთ არა, აი, იქით, აქეთ არა, აი,
იქით, აქეთ არა, აი, იქით, აქეთ არა, აი, იქით,
აქეთ არა, აი, იქით, აქეთ არა, აი, იქით, აქეთ
არა, აი, იქით, აქეთ არა, აი, იქით, აქეთ არა, აი,
იქით, აქეთ არა, აი, იქით!

უეცრად ყველა ჩუმდება და
სცენა ისევ ნათდება. მარტინებ-
ის წყვილი სავარძლებში ზის და
ზუსტად იმ დიალოგებს იმეორებს,
რომლებითაც სმითებმა პიესა დაი-
წყეს.

ფარდა.

გუკუთილი



კომიკური დრამა!

$$3-4=5$$

მოქმედი პირები:

მასწავლებელი

50-60 წლის მამაკაცი

მიშელ კუველიე

მოსწავლე

18 წლის გოგონა

როზეტ ზუშელი

მოსამსახურე

45-50 წლის ქალი

კლოდ მანსარი

„გაკვეთილი“ პირველად სცენაზე დაიდგა
1951 წლის 20 თებერვალს, რეჟისორი: მარსელ
კუველიე.

დეკორაცია

სამუშაო კაბინეტი, რომელიც მოხუცი მასწავლებლის სასადილო ოთახის ფუნქციასაც ითავსებს.

სცენიდან მარცხენა კარი კიბეზე გადის, მისი მოპირდაპირე მარჯვენა კარი კი ბინის კორიდორში.

სიღრმეში, ოდნავ მარჯვნივ, პატარა ფანჯარაა, უბრალო ფარდებით. ფანჯრის რაფაზე, გარედან ყვავილის ქოთნებია დალაგებული, აქეთ-იქეთ კი ორი სკამი დგას.

ფანჯრის მიღმა პატარა ქალაქის დაბალი წითელსახურავიანი სახლები და მოცისფრო-მონაცრისფრო ცა მოჩანს. მარჯვენა მხარეს სადა ბუფეტი დგას. ოთახის ცენტრში სასადილო მაგიდაა, რომელიც ამასთანავე სამუშაო მაგიდაც არის. მაგიდის ირგვლივ სამი სკამი დგას. ოთახში ღია, ნათელი ფერის შპალერია გაკრული. კედელზე რამდენიმე წიგნის თარო კიდია.

ფარდის გახსნისას სცენა ცარიელია. სიჩუმე კარგახანს გრძელდება. მოგვიანებით ზარის ხმა გაისმის.

მოსამსახურის ხმა, კულისებიდან: ახლავე! მოვდივარ!

ხმას მოსამსახურეც თან შემოჰყვება. ჩამოირბენს კიბის საფეხურებს და სცენაზე შემოვარდება. იგი სოფლურად ჩაცმული 45-50 წლის ძლიერი აღნაგობის წითური ქალია.

მოსამსახურე (ქარივით შემოიჭრება სცენაზე. კარს მიიჯახუნებს, ხელებს წინსაფარზე იწმენდს, თან მარჯვენა კარისკენ გარბის. ისევ გაისმის ზარის ხმა.) მოითმინეთ, მოვდივარ! (კარს აღებს. კართან 18 წლის მოსწავლე გოგონა დგას, მას ნაცრისფერი წინსაფარი და თეთრსაყელოანი კაბა აცვია, იღლიაში კი ჩანთა აქვს ამოდებული.) გამარჯობა, მადმუაზელ!

მოსწავლე: გამარჯობა ქალბატონო. მასწავლებელი შინ ბრძანდება?

მოსამსახურე: გაკვეთილზე მობრძანდით?

მოსწავლე: დიას, ქალბატონო.

მოსამსახურე: უკვე გელოდებათ. დაბრძანდით, ახლავე დავუძახებ.

მოსწავლე: გბადლობთ, ქალბატონო.

მოსწავლე მაგიდასთან ჯდება. სახით მაყურებლისკენ. მის მარცხნივ შემოსასვლელი კარია; ზურგს უკან კი ის კარი საიდანაც სულ ახლახანს ჩქარი ნაბიჯებით მოსამსახურე გავიდა. მოსამსახურე ყვირის:

მოსამსახურე: ბატონო ჩემო, ჩამობრძანდით თუ შეიძლება, მოსწავლე მოვიდა!

ისმის მასწავლებლის სუსტი ხმა²: დიდი მადლობა. ახლავე! მოვდივარ... ორ წუთში მანდ გავჩნდები...

მოსამსახურე გადის. მოსწავლემ ფეხი ფეხზე გადაიდო და მშვიდად ელოდება. ოთახს თვალი მოავლო, ავეჯი შეათვალიერა, ჭერს ახედა. ცოცხალი ხანში ჩანთიდან რვეული ამოიღო და გადაფურცლა. ერთ გვერდს ისე ჩაამტერდა, თითქოს გაკვეთილს იმეორებდნო. მოსწავლე კარგად აღზრდილი და ზრდილობიანი გოგონას შთაბეჭდილებას ტოვებს, თუმცა ამასთანავე ცოცხალი, მხიარული და მოუსვენარია. თავდაპირველად, ლალი და მომღიმარი მოსწავლე, დრამის მსვლელობისას თანდათან, სულ უფრო და უფრო მონყენილი და მოღუშული ხდება. პიესის დასაწყისში ყოჩაღად უჭირავს

თავი, დასასრულისკენ კი უსუსური და
ლონემიხდილია, თითქოს დაღლილობის-
გან ძილი მოერია. პიესის დასასრულს მის
სახეზე აღბეჭდილი უნდა იყოს ძლიერი
დეპრესია, რაც საუბრის მანერაშიც
უნდა აისახოს. ენას ძლივს ატრიალებს,
სათქმელს ვერ იხსენებს, უჭირს აზრის
გადმოცემა. თითქოს პარალიზებულია
და აფაზია ეწყება. დასაწყისში კეთილ-
მოსურნე მოსწავლე ნელ-ნელა აგრე-
სიული და ამავდროულად, პასიური და
ინერტული ხდება, თითქოს მუნჯდება და
მასწავლებლის ხელებში უსულო საგანს
ემსგავსება. ფინალურ სცენაში მასწავ-
ლებლის ბოლო ქმედებაზე არც კი რეა-
გირებს. თითქოს ტკივილგამაყუჩებელი
გაუკეთეს და რეფლექსებიც მოეშალა.
გაშეშებულ სახეზე მხოლოდ და მხოლოდ
თვალები გამოხატავენ გაკვირვებას და
ენითგამოუთქმელ შიშს. მოსწავლეში ეს
ცვლილებები შეუმჩნევლად უნდა განვი-
თარდეს.

სცენაზე ჩია ტანის ჭაღარა ბლანჟე-
იანი მოხუცი მასწავლებელი შემოდის.
ცხვირზე პენსნე უკეთია, თავზე შავი
ქუდი ახურავს. ტანთ აცვია სკოლის
მასწავლებლის გრძელი ბლუზა თეთრი
საყელოთი, შავი შარვალი და ფეხსაც-
მელი, კისერზე შავი ყელსახვევი უკეთია.
მასწავლებელი ზედმეტად ზრდილობიანი,
მორცხვი და თავაზიანია. სიმორცხვის-
გან ხმადაბლა ლაპარაკობს. ტიპიური
მასწავლებლია. გამუდმებით ხელებს ის-

რეს. დროდადრო მის თვალეებში ვნების ნაპერწკალი გაიელვებს და უმალ გაუჩინარდება. პიესის მსვლელობისას მასწავლებლის სიმორცხვე თანდათან ქრება და თვალეებში მოელვარე ვნება მხურვალე ცეცხლად გადაიქცევა. ასე რომ, პიესის დასაწყისში უწყინარი და მშვიდი მასწავლებელი პიესის ბოლოს ნერვიული და აგრესიულია. საკუთარ თავში დარწმუნებული, სურვილისამებრ დასცინის მოსწავლეს, რომელიც მის ხელეებში უსულო საგანს დაემსგავსება. ყველაფერთან ერთად, მასწავლებლის სუსტი ხმა თანდათანობით ძლიერდება, დაბოლოს, ძლევამოსილი და რიხიანი ხდება. მოსწავლის წკრიალა ხმა კი პირიქით, ბოლოს თითქმის არც ისმის. პირველ რამდენიმე სცენაში შეიძლება მასწავლებელს მსუბუქად ენაც ებმებოდეს.

მასწავლებელი: მოგესალმებით მადმუაზელ... მგონი თქვენ ჩემი ახალი მოსწავლე ბრძანდებით, ხომ არ ვცდები?

მოსწავლე, (სწრაფად ბრუნდება მასწავლებლისკენ, ძალდაუტანებლად დგება, მისკენ მიემართება და ხელს ართმევს. საზოგადოებაში გამოსული გოგონას იერი აქვს): დიახ, ბატონო. გამარჯობა. ხედავთ, ზუსტად დროზე მოვედი, არ მინდოდა პირველ გაკვეთილზე დამეგვიანებია.

მასწავლებელი: კეთილი, რომ არ დაიგვიანეთ ძალიან კარგია, მადმუაზელ. გმადლობთ, მაგრამ

რატომ იჩქარეთ? არ იყო საჭირო. არც კი ვიცი, როგორ მოგიბოდიშოთ, ამდენ ხანს რომ ვალოდინეთ... ზუსტად მაშინ ვამთავრებდი, როცა... განა ასე არ იყო? უკაცრავად, ბოდიშს გიხდით, მომიტევეთ...

მოსწავლე: როგორ გეკადრებათ, ბატონო, ამით ხომ არაფერი დაშავებულა, ბატონო.

მასწავლებელი: ათასი ბოდიში³... ალბათ გაგიძნელდათ ჩემი სახლის მოგება?

მოსწავლე: არა... სულაც არა. მისამართი ვიკითხე, ამ ქალაქში თქვენ ყველა გიცნობთ.

მასწავლებელი: უკვე 30 წელია ამ ქალაქში ვცხოვრობ. თქვენ კი მგონი ახლახანს გადმოსხვედით. აბა, როგორ მოგწონთ ჩვენი ქალაქი?

მოსწავლე: არაუშავს. ლამაზი და სასიამოვნო ქალაქია, მშვენიერი პარკი გვაქვს, პანსიონი, ეკლესია, მაღაზიებიც კარგია, ქუჩებიც, ხეივანებიც...⁴ მომწონს.

მასწავლებელი: მართალს ბრძანებთ მადმუაზელ, მაგრამ მე მაინც სულ სხვაგან ვამჯობინებდი ცხოვრებას. მაგალითად პარიზში, ან ბორდოში მაინც.

მოსწავლე: გიყვართ ბორდო?

მასწავლებელი: არ ვიცი. არასოდეს ვყოფილვარ.

მოსწავლე: პარიზში ყოფილხართ?

მასწავლებელი: არა მადმუაზელ. მადმუაზელ, თქვენის ნებართვით, ერთ კითხვას დაგისვათ და თუ შეგიძლიათ, მიპასუხეთ. პარიზი რისი დადაქალაქია?

მოსწავლე, წამით ჩაფიქრდება, მერე გაიხსენებს და სახე გაუნათდება: პარიზი არის...⁵ საფრანგეთის დადაქალაქი?

მასწავლებელი: დიახ, მადმუაზელ, ყოჩაღ, ძალიან კარგია, შესანიშნავია. გილოცავთ. ხუთი თითივით გცოდნიათ გეოგრაფია. აბა, ჩვენი ქვეყნის დანარჩენი ძირითადი ქალაქები ჩამომითვალეთ.

მოსწავლე: ჯერ ყველა არ ვიცი ბატონო, ვერ დავიმახსოვრე, გამიჭირდა, პარიზივით ადვილი არ იყო.

მასწავლებელი: არა უშავს მადმუაზელ, ამას ნამდვილად ეშველება... გულს ნუ გაიტეხთ... უკაცრავად... მაგრამ, ცოტა მოითმინეთ და ნელ-ნელა, ნელ-ნელა... თავადაც ნახავთ, ყველაფერს ეშველება... უჰ, რა მშვენიერი ამინდია დღეს... თუ, არც ისე მშვენიერია... ყოველ შემთხვევაში, ცუდი არ არის, მთავარი კი ესაა... არც წვიმს, არც თოვს.

მოსწავლე: თოვლი? ახლა? ამ შუა ზაფხულში? შეუძლებელია!

მასწავლებელი: ბოდიშს მოვითხოვ მადმუაზელ, მაგრამ ერთ რალაცას გეტყვით და კარგად დაიმახსოვრეთ: ამ ქვეყნად ყველაფერია შესაძლებელი.

მოსწავლე: აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ, ბატონო!

მასწავლებელი: და კიდევ მადმუაზელ, არასოდეს არაფერში იყოთ დარწმუნებული.

მოსწავლე: თოვლი ზამთარში მოდის. ზამთარი წელიწადის ერთ-ერთი დროა. წელიწადის დროებია... გა... გა...

მასწავლებელი: დიახ?

მოსწავლე: ...ზაფხული, შემდეგ ზაფხული და...

მასწავლებელი: მადმუაზელ, ასოციაცია „შემოქმედება“...

მოსწავლე: აჰ, დიახ, დიახ, გამახსენდა, შემოდგომა...

მასწავლებელი: სწორია მადმუაზელ, მართალი ბრძანდებით. მშვენიერი პასუხია. როგორც ვამჩნევ, ბეჯითი მოსწავლე იქნებით. დარწმუნებული ვარ ბევრს მიაღწევთ. ჩემი აზრით, ჭკვიანი ხართ, განათლება არ გაკლიათ, ალბათ მეხსიერებაც კარგი გექნებათ.

მოსწავლე: ბატონო, წელიწადის დროები ხომ მართლა კარგად ვიცი, არა?

მასწავლებელი: დიახ, გეთანხმებით, მადმუაზელ... თითქმის იცით. მაგრამ ამას ეშვებოდა. ყოველ შემთხვევაში, რაც იცით, ესეც საკმაოდ კარგია. სულ მალე, თვალებს რომ დახუჭავთ, ჩემზე უკეთ გეცოდინებათ ყველაფერი.

მოსწავლე: ალბათ ძალიან გამიჭირდება.

მასწავლებელი: არა, მადმუაზელ, რას ბრძანებთ. ამისთვის სულ ცოტა მონდომება და კეთილი ნებაც საკმარისია. აი ნახავთ, ყველაფერს მოეგვლება, მომენდეთ.

მოსწავლე: დიახ, რა თქმა უნდა, მე ხომ აქ ამისთვის მოვედი. ჩემზე შეიძლება ითქვას, რომ სწავლა მწყურია. ჩემს მშობლებსაც ძალიან უნდათ ცოდნა გავიღრმავო, რამე სპეციალობას დავეუფლო. ფიქრობენ, რომ ჩვენს დროში, მხოლოდ ზოგადი განათლებით, თუნდაც უსაზღვრო ზოგადი განათლებით, შორს ვერ წახვალ.

მასწავლებელი: სრული სიმართლეა, მად-
მუაზელ, თქვენი მშობლები არ ცდებიან. კიდე
ბევრი რამ უნდა ისწავლოთ. მაპატიეთ ამას რომ
გეუბნებით, მაგრამ ეს აუცილებელია. ჩვენს
დროში ცხოვრება ძალიან გართულდა.

მოსწავლე: და აირ-დაირია... მე კი ნამდვი-
ლად გამიმართლა, მდიდარი მშობლები მყავს,
მათი დახმარებით ბევრს ვიმუშავე და უსაზღვ-
როდ დიდ უმაღლეს განათლებასაც მივიღებ.

მასწავლებელი: ...და როდის გნებავთ გამოც-
დაზე გასვლა⁶?

მოსწავლე: რაც შეიძლება მალე, პირველივე
სადოქტორო გამოცდაზე, სამ კვირაში.

მასწავლებელი: ნება მიბოძეთ გკითხოთ,
ბაკალავრის ხარისხი უკვე მოიპოვეთ?

მოსწავლე: დიახ, რა თქმა უნდა, მე უკვე
გახლავართ საბუნებისმეტყველო მეცნიერება-
თა ბაკალავრი და ასევე, ბაკალავრის ხარისხი
მოვიპოვე ლიტერატურაში.

მასწავლებელი: ოჰო, რამდენი რამ მოგისწრი-
ათ, თქვენს ასაკში ეს მეტისმეტია. რომელ
სფეროში აპირებთ დოქტორის ხარისხის მოპო-
ვებას? მატერიალურ მეცნიერებებში თუ ზოგად
ფილოსოფიაში⁷?

მოსწავლე: ჩემს მშობლებს ძალიან უნდათ აბ-
სოლუტური დოქტორის ხარისხი მოვიპოვო. რო-
გორ ფიქრობთ, მოვასწრებ ასე მცირე დროში?

მასწავლებელი: აბსოლუტური დოქტორის?..
რა გაბედული ყოფილხართ მადმუაზელ, გულ-
წრფელად გილოცავთ. შევეცადოთ, ყველაფერი
გავაკეთოთ რაც შეგვიძლია. ამასანავე, თქვენ
უკვე საკმაოდ განსწავლული ბრძანდებით, თან-
აც ასეთ პატარა ასაკში.

მოსწავლე: ოჰ, ბატონო.

მასწავლებელი: ახლა, თუ ნებას დამრთავთ, დიდი ბოდის მოხდით შეგახსენებთ, რომ დროა მუშაობას შევუდგეთ. დასაკარგი დრო ნამდვილად არ გვაქვს.

მოსწავლე: რა თქმა უნდა ბატონო, პირიქით, უმორჩილესად გთხოვთ დავინყოთ, მე ხომ ამისთვის მოვედი.

მასწავლებელი: გთხოვთ დაბრძანდით, აი აქ... თუ ნებას დამრთავთ მე თქვენს პირდაპირ დაფუძები, სანინალმდეგო ხომ არაფერი გექნებათ, მადმუაზელ?

მოსწავლე: არა, რას ბრძანებთ, გთხოვთ.

მასწავლებელი: ულრმესი მადლობა მადმუაზელ. *(მაგიდასთან სხდებიან, ერთმანეთის პირისპირ და დარბაზისკენ პროფილით)* ესეც ასე! წიგნები და რვეულები თუ გაქვთ?

მოსწავლე: *(ჩანთიდან წიგნებს და რვეულებს იღებს)* დიახ, ბატონო, რა თქმა უნდა. რაც საჭიროა ყველაფერი მაქვს.

მასწავლებელი: შესანიშნავია, მადმუაზელ, შესანიშნავი. მაშ, თუ არ შენუხდებით... დავინყოთ.

მოსწავლე: დიახ ბატონო, თქვენს განკარგულებაში მიგულებთ⁸.

მასწავლებელი: ჩემს განკარგულებაში?... *(წამით თვალები გაუნათდება)*, რას ბრძანებთ მადმუაზელ, პირიქით, მე ვარ თქვენს განკარგულებაში, მიმსახურეთ.

მოსწავლე: როგორ გეკადრებათ, ბატონო...

მასწავლებელი: თუ წინააღმდეგი არ იქნებით... ჩვენ... ჩვენ... მე... მე... მეცადინეობას დავინყებ იმით, რომ პატარა შემაჯამებელ გა-

მოცდას ჩაგიტარებთ. ასე გავიგებ რა შეისწავლეთ ადრე, რა იცით ახლა, და რა უნდა შევისწავლოთ მომავალში. კეთილი. დავინყოთ. აბა მითხარით, რა დამოკიდებულება გაქვთ უმრავლესობასთან?

მოსწავლე: საკმაოდ ბუნდოვანი... ვერაფერი გავუგე...

მასწავლებელი: კეთილი. ახლავე ყველაფერს ერთად გავარკვევთ.

*მასწავლებელი ხელებს ისრესს.
სცენაზე მოსამსახურე შემოდის,
ისეთი იერი აქვს, თითქოს მასწავლებლის
საქციელი ალიზიანებს.
ბუფეტთან მიდის, რალაცას ეძებს.
თითქოს გასვლა არ უნდა.*

მასწავლებელი: წინააღმდეგი თუ არ იქნებით, მადმუაზელ, ცოტა არითმეტიკაში გავივარჯიშოთ...

მოსწავლე: დიახ, რა თქმა უნდა ბატონო. პირიქით, მერწმუნეთ, ძალიან მინდა.

მასწავლებელი: მადმუაზელ, არითმეტიკა საკმაოდ ახალი და თანამედროვე მეცნიერებაა. უფრო სწორი იქნება, თუ ვიტყვით, რომ არითმეტიკა მეცნიერებაზე მეტად არის მეთოდი და ამასთანავე, იგი არის თერაპევტიკა.⁹ (მოსამსახურეს) მარი, დაამთავრეთ?

მოსამსახურე: დიახ, ბატონო, თეფში უკვე ვიპოვე, მივდივარ.

მასწავლებელი: დაუჩქარეთ! სამზარეულოში მიბრძანდით, გეთაყვა.

მოსამსახურე: დიახ, ბატონო.

თითქოს გადის

მოსამსახურე: უკაცრავად ბატონო, მაგრამ გთხოვთ, ყურადღება მიაქციოთ, მე სიმშვიდის-კენ მოგიწოდებთ.

მასწავლებელი: ჩემო მარი, დიდი უცნაური ვინმე ბრძანდებით. ნუ ლელავთ. ყველაფერი რიგზეა.

მოსამსახურე: ყოველთვის ასე ვამბობთ.

მასწავლებელი: ცილის წამებას შეეშვით, მშვენივრად ვიცი, როგორ მოვიქცე. მგონი საკ-მაოდ დიდი ვარ.

მოსამსახურე: ნამდვილად ბატონო, მაგრამ დამიჯერეთ, მადმუაზელთან გაკვეთილს არით-მეტიკით ნუ დაინწყებთ, მერნმუნეთ ასე აჯობებს. არითმეტიკა საშინლად დამლელი და ნერვების მომშლელი რამეა.

მასწავლებელი: ნუთუ ჩემს ასაკშიც?! მარი, საერთოდ რატომ ეჩრებით? ჩემს საქმეს როგორ-მე თავს გავართმევ. შეგახსენებთ, თქვენი ად-გილი აქ არ არის!

მოსამსახურე: კეთილი, ბატონო, მერე არ მითხრათ, რატომ არ გამაფრთხილო.

მასწავლებელი: თქვენი რჩევალა მაკლდა, მარი.

მოსამსახურე: კეთილი, ნება თქვენია ბატონო.

გადის

მასწავლებელი: მომიტევეთ, მადმუაზელ, რა სისულელისთვის შეგვანყვეტინა... მაპატიეთ,

მე მაპატიეთ ყველაფერი... ნუ გაუბრაზდებით ამ საბრალო ქალს. დღედაღამ ჩემს ჯანმრთელობაზე ზრუნავს, ეშინია, არ გადავიღალო.

მოსწავლე: ოჰ, რას ბრძანებთ ბატონო, ამის პატიება ნამდვილად შეიძლება. მისი საქციელი ამტკიცებს, რომ ბატონის ერთგულია. ძალიან უყვარხართ, ჩვენს დროში კარგი მოსამსახურე დიდი იშვიათობაა.

მასწავლებელი: უკვე ზედმეტი მოსდის. სულელური შიშები აქვს. მოდით ჩვენს არითმეტიკას დავუბრუნდეთ.

მოსწავლე: მხოლოდ თქვენს შემდეგ ბატონო.

მასწავლებელი: (შთაგონებით) ბრძანდებოდეთ.

მოსწავლე: (ცდილობს ნათქვამი გაიაზროს) თქვენსავით ბატონო.

მასწავლებელი: კეთილი, მოდით ცოტა ვი-არითმეტიკოთ.

მოსწავლე: დიახ, ბატონო, დიდი სიამოვნებით.

მასწავლებელი: თუ არ შენუხდებით, მიპასუხეთ...

მოსწავლე: რა შენუხებაა, ბატონო, მკითხეთ, რაც გნებავთ.

მასწავლებელი: რამდენი იქნება ერთს მივუმატოთ ერთი?

მოსწავლე: ერთს მივუმატით ერთი იქნება ორი.

მასწავლებელი: (მოსწავლის ცოდნით აღფრთოვანებული) ოჰო, ძალიან კარგია მადმუაზელ, ძალიან კარგი, როგორც ირკვევა საკმაოდ ბევრი გცოდნიათ, დარწმუნებული ვარ უადვილე-

სად ჩააბარებთ აბსოლუტური დოქტორატურის გამოცდას.

მოსწავლე: თქვენგან ამ სიტყვების მოსმენა დიდი პატივია ჩემთვის, ძალიან მასიამოვნეთ.

მასწავლებელი: ახლა, ერთი ნაბიჯით წინ წავიდეთ. აბა, მითხარით რამდენი იქნება ორს მივუმატოთ ერთი?

მოსწავლე: სამი

მასწავლებელი: სამს მივუმატოთ ერთი?

მოსწავლე: ოთხი

მასწავლებელი: ოთხს მივუმატოთ ერთი?

მოსწავლე: ხუთი

მასწავლებელი: ხუთს მივუმატოთ ერთი?

მოსწავლე: ექვსი.

მასწავლებელი: ექვსს მივუმატოთ ერთი?

მოსწავლე: შვიდი

მასწავლებელი: შვიდს მივუმატოთ ერთი?

მოსწავლე: რვა

მასწავლებელი: რვას მივუმატოთ ერთი?

მოსწავლე: რვა... ბის

მასწავლებელი: კარგია... შვიდს მივუმატოთ ერთი?

მოსწავლე: რვა ტერ

მასწავლებელი: მშვენიერია, შესანიშნავია! შვიდს მივუმატოთ ერთი?

მოსწავლე: რვა კატერ და ზოგჯერ ცხრა¹⁰

მასწავლებელი: თქვენსავით ლამაზი პასუხები გცოდნიათ მადმუაზელ! მერწმუნეთ, ჩემი საუკეთესო მოსწავლე ბრძანდებით! მოსალოცი საქმეა! მთელი გულით გილოცავთ! თუ არ შენუხდებით განვაგრძოთ. როგორც დავრწმუნდით მიმატებაში ნამდვილი ოსტატი ყოფილხართ, ახლა გამოკლება ვნახოთ. თუ ძალ-

იან დაღლილი არ ბრძანდებით, იქნებ მითხრათ რამდენი იქნება ოთხს გამოვაკლოთ სამი?

მოსწავლე: ოთხს გამოვაკლოთ სამი?.. ოთხს გამოვაკლოთ სამი?

მსწავლებელი: დიახ, ანუ სამი გამოვაკლოთ ოთხს.

მოსწავლე: იქნება... იქნება... შვიდი?

მასწავლებელი: უკაცრავად, მაგრამ თავს მოვალედ ვთვლი შეგისწოროთ, ოთხს გამოვაკლოთ სამი არ იქნება შვიდი. მგონი აგერი-ათ, ოთხს მივუმატოთ სამი არის შვიდი. ოთხს გამოვაკლოთ სამი კი, დანამდვილებით ვიცი, არ არის შვიდი. ახლა მიმატება კი არა გამოკლება გკითხეთ.¹¹

მოსწავლე: (ცდილობს გაიგოს) დიახ... დი-ახ...

მასწავლებელი: ოთხს გამოვაკლოთ სამი იქნება... აბა, რამდენი იქნება? რამდენი?

მოსწავლე: ოთხი?

მასწავლებელი: არა, მადმუაზელ, არა, ცდებ-ით.

მოსწავლე: მაშინ სამი.

მასწავლებელი: არავითარ შემთხვევაში მად-მუაზელ!... მომიტევეთ მადმუაზელ მაგრამ უნდა გითხრათ, ისევ შეცდით... უკაცრავად.

მოსწავლე: ოთხს გამოვაკლოთ სამი... ოთხს გამოვაკლოთ სამი... ოთხს გამოვაკლოთ სამი? ათი? არა?

მასწავლებელი: არა, რას ამბობთ მადმუა-ზელ. საქმე იცით რაშია?! პასუხი კი არ უნდა გამოიცნოთ, არამედ უნდა გამოთვალოთ. მოდ-ით, ერთად გამოვიანგარიშით. დათვლას ხომ არ იწებებთ?

მოსწავლე: დიახ, პატივცემულო. ერთი...
ორი... მმ...

მასწავლებელი: დარწმუნებული ბრძანდებით,
რომ თვლა იცით? აბა, სადამდე შეგიძლიათ
დათვლა?

მოსწავლე: მე შემეძლია დავითვალო... უსას-
რულობამდე.

მასწავლებელი: შეუძლებელია მადმუაზელ.

მოსწავლე: მაშინ, ვთქვათ, თექვსმეტამდე.

მასწავლებელი: სრულიად საკმარისია. მთა-
ვარია, ზღვარის გავლება იცოდეთ. მაშ, გთხ-
ოვთ, დაითვალეთ, გეთაყვა.

მოსწავლე: ერთი... ორი... მერე, მოდის
სამი... ოთხი...

მასწავლებელი: შეჩერდით მადმუაზელ. რო-
მელი რიცხვია უფრო მეტი, სამი თუ ოთხი?

მოსწავლე: ...სამი თუ ოთხი? რომელია უფრო
მეტი? სამი უფრო მეტია თუ ოთხი? ოთხი თუ
სამი? რას გულისხმობთ უფრო მეტში?

მასწავლებელი: იმას რომ, არსებობს პატარა
და დიდი რიცხვები. დიდ რიცხვებში უფრო მეტი
ერთეულია, ვიდრე პატარა რიცხვებში.

მოსწავლე: ...ვიდრე პატარა რიცხვებში?

მასწავლებელი: დიახ, იმიტომ რომ, პატარა
რიცხვებს უფრო მცირე ერთეული შეესაბამება.
მაგრამ თუ რიცხვი ძალიან მცირეა, შესაძლებე-
ლია, მას რაოდენობრივად უფრო მეტი ერთეული
შეესაბამებოდეს, ვიდრე დიდ რიცხვს... მაგრამ,
თუ ლაპარაკია სხვადასხვა ერთეულებზე...

მოსწავლე: ე.ი. ამ შემთხვევაში, პატარა
რიცხვი შეიძლება დიდ რიცხვზე მეტი იყოს?

მასწავლებელი: მოდით, ამას თავი დავანებოთ. ძალიან შორს წაგვიყვანს. დაიმახსოვრეთ მხოლოდ ის, რომ არითმეტიკაში რიცხვების გარდა, არსებობს ისეთი ცნებები, როგორცაა სიდიდე, ჯამი, ჯგუფი, გროვა. მაგალითად: ქლიავის გროვა, ვაგონების გროვა, ბატების გროვა, მარცვლეულის გროვა.¹² ჩვენი დავალების გასაადვილებლად, დავუშვათ, რომ გვაქვს მხოლოდ თანაბარი თანრიგის რიცხვები. ამ შემთხვევაში, ის რიცხვი იქნება უფრო დიდი, რომელსც უფრო მეტი ერთეული შეესაბამება.

მოსწავლე: ანუ რიცხვი მით უფრო დიდია, რაც უფრო მეტი ერთეული შეესაბამება? აჰა, გავიგე, ბატონო, ესე იგი, თქვენ ხარისხს და რაოდენობას ერთმანეთთან აიგივებთ.

მასწავლებელი: ეს მეტისმეტად თეორიული საკითხი გახლავთ მადმუაზელ, მეტისმეტად თეორიული. ამით თავს ნუ შეინუხებთ. ავიღოთ ერთი მაგალითი და კონკრეტულ შემთხვევაზე ვიმსჯელოთ. ზოგადი დასკვნები კი შემდეგისთვის შემოვიინახოთ... ჩვენ გვაქვს რიცხვი ოთხი და რიცხვი სამი, ორივეს ერთი ერთეული შეესაბამება. აქედან გამომდინარე, რომელი რიცხვი იქნება უფრო მეტი, უფრო პატარა რიცხვი, თუ უფრო დიდი რიცხვი?

მოსწავლე: მომიტევეთ, ბატონო... რას გულისხმობთ უფრო დიდი რიცხვში? ნუთუ იმას, რომ მეორე რიცხვი მასზე პატარაა?

მასწავლებელი: სწორედ ამას, მადმუაზელ, მშვენიერია. ზუსტად მიმიხვდით ნათქვამს.

მოსწავლე: მაშინ, ეს იქნება ოთხი.

მასწავლებელი: რა იქნება ოთხი? სამზე დიდი თუ პატარა?

მოსწავლე: პატარა... არა დიდი.

მასწავლებელი: სწორია, მშვენიერი პასუხია! რამდენი ერთეულია სამსა და ოთხს შორის?.. ან თუ გნებავთ, ოთხსა და სამს შორის?

მოსწავლე: სამსა და ოთხს შორის ერთეული საერთოდ არ არის ბატონო. ოთხი მაშინვე მოსდევს სამს, სამსა და ოთხს შორის საერთოდ არაფერი არ არის!

მასწავლებელი: როგორც ვხედავ, ვერაფერი გაგაგებინეთ. ნამდვილად ჩემი ბრალია, კარგად ვერ აგიხსენით.

მოსწავლე: არა, ბატონო, ჩემი ბრალია.

მასწავლებელი: შეხედეთ, თქვენ გაქვთ ასანთის სამი ღერი, კიდევ დაგიმატეთ ერთი ღერი, გახდა ოთხი. კარგად დააკვირდით, უკვე გაქვთ ასანთის ოთხი ღერი. თუ ერთ ღერს ისევ ავიღებ, რამდენი დაგრჩებათ?

ასანთის ღერები უხილავია, ისევე როგორც ყველა საგანი, რომელზეც მოგვიანებით იქნება ლაპარაკი. მასწავლებელი მაგიდიდან დგება და უხილავი ცარციით უხილავ დაფაზე წერს.¹³

მოსწავლე: ხუთი. თუ სამს მივუმატოთ ერთი, არის ოთხი, ოთხს მივუმატოთ ერთი იქნება ხუთი.

მასწავლებელი: არა, არა და არა! თქვენ მხოლოდ მიმატება გეხერხებათ. გამოკლებაც ხომ აუცილებელია?! მხოლოდ ინტეგრაციაზე კი არ

უნდა ფიქრობდეთ, ხანდახან დეზინტეგრაციაც უნდა გაიხსენოთ. ბოლოს და ბოლოს, ამაშია ცხოვრების არსი, ესაა მთელი ფილოსოფია, ესაა მთელი მეცნიერება, ესაა პროგრესი, ცივილიზაცია.

მოსწავლებელი: დიახ, ბატონო.

მასწავლებელი: ასანთებს დავუბრუნდეთ. მაშ, თქვენ გაქვთ ოთხი ლერი ასანთი. მშვენივრად ხედავთ, რომ ნამდვილად ოთხი ლერია. აი, შეხედეთ, ვიღებ ერთ ლერ ასანთს, რამდენი დარჩა?

მოწავლე: არ ვიცი ბატონო.

მასწავლებელი: შეხედეთ და ცოცხა გაიაზრეთ. ვალიარებ, ეს არც ისე ადვილია მაგრამ საკმაოდ გინებებაგახსნილი ბრძანდებით. ამიტომ თავს ძალა დაატანეთ და გაიაზრეთ. შეეცადეთ მაინც...

მოსწავლე: ვერაფერი გავიგე ბატონო, არ ვიცი ბატონო.

მასწავლებელი: კეთილი, უფრო მარტივ მაგალითს მოვიყვან. ვთქვათ, თქვენ გაქვთ ორი ცხვირი. აბა მიპასუხეთ, რამდენი ცხვირი გექნებათ, თუ ერთ ცხვირს მოგაგლიჯავთ¹⁴.

მოსწავლე: არცერთი.

მასწავლებელი: როგორ თუ არცერთი?

მოსწავლე: დიახ, ბატონო ნამდვილად არცერთი! თქვენ ხომ ჩემთვის ცხვირი არ მოგიგლეჯიათ?! ხედავთ, ისევ ერთი ცხვირი მაქვს. ცხვირი რომ მოგეგლიჯათ, უკვე აღარ მექნებოდა.

მასწავლებელი: კეთილი, როგორც ვხედავ, ვერც ეს მაგალითი გაიგეთ. დავუშვათ, თქვენ გაქვთ ერთი ყური.

მოსწავლე: დიახ, მერე?

მასწავლებელი: რამდენი ყური გექნებათ, თუ კიდევ ერთ ყურს დაგიმატებთ?

მოსწავლე: ორი.

მასწავლებელი: კეთილი. კიდევ ერთი რომ დაგიმატოთ, მაშინ რამდენი გექნებათ?

მოსწავლე: სამი ყური.

მასწავლებელი: ერთი ყური რომ აგახიოთ მაშინ?...

მოსწავლე: ორი.

მასწავლებელი: კარგია. კიდევ ერთი რომ აგახიოთ, მაშინ რამდენი დაგრჩებათ?

მოსწავლე: ორი.

მასწავლებელი: არა! მისმინეთ, თქვენ გაქვთ ორი ყური, ერთი ყური მე მოგაჭამეთ¹⁵, რამდენი დაგრჩებათ?

მოსწავლე: ორი.

მასწავლებელი: ერთი ყური მე შევჭამე... გესმით, ერთი ყური შევჭამე...

მოსწავლე: ორი

მასწავლებელი: ერთი

მოსწავლე: ორი

მასწავლებელი: ერთი!

მოსწავლე: ორი!

მასწავლებელი: ერთი!!!

მოსწავლე: ორი!!!

მასწავლებელი: ერთი!!!

მოსწავლე: ორი!!!

მასწავლებელი: ერთი!!!

მოსწავლე: ორი!!!¹⁶

მასწავლებელი: არა, არა! ცდებით! ეტყობა, ისევ ცუდი მაგალითი მოვიყვანე. დამაჯერებელი არ გამოდგა. მომისმინეთ.

მოსწავლე: დიახ, ბატონო.

მასწავლებელი: თქვენ გაქვთ... თქვენ გაქვთ... თქვენ გაქვთ...

მოსწავლე: ათი თითი!..

მასწავლებელი: როგორც გენებოთ, მშვენიერია. კეთილი. მაშ, გაქვთ ათი თითი.

მოსწავლე: დიას, ბატონო.

მასწავლებელი: აბა, მითხარით რამდენი თითი გექნებათ, თუ თქვენ გაქვთ ხუთი თითი?

მოსწავლე: ათი, ბატონო.

მასწავლებელი: ცდებით!

მოსწავლე: არ ვცდები, ბატონო!

მასწავლებელი: ცდებით-მეთქი!

მოსწავლე: განა ახლახანს არ მითხარით, რომ ათი თითი მაქვს...

მასწავლებელი: მაგრამ მაშინვე არ გითხარით, რომ ხუთი თითი გაქვთ?!

მოსწავლე: ხუთი კი არა, ათი თითი მაქვს, ათი...

მასწავლებელი: კეთილი, სხვაგვარად ვიმოქმედოთ... მოდით გამოკლებაში ვივარჯიშოთ ხუთის ფარგლებში. მოითმინეთ მადმუაზელ, ახლავე ნახავთ. ყველაფერს აგისხნით და გაგაგებინებთ. (მასწავლებელი წარმოსახვით დაფაზე წერას შეუდგა. დაფა მოსწავლესთან ახლოს მიაქვს. გოგონა დაფის მხარეს ბრუნდება, რათა უკეთ დაინახოს) შეხედეთ მადმუაზელ. (მასწავლებელს თავი ისე უჭირავს თითქოს დაფაზე წერს. ჯერ ერთი ჯოხი დახატა, ქვემოთ ერთიანი მიუწერა. მერე ორი დახატა და ორიანი მიუწერა, შემდეგ: სამი და სამიანი მიუწერა. ბოლოს ოთხი ჯოხი დახატა და ოთხიანი მიუწერა.) ხომ ხედავთ...

მოსწავლე: დიახ, ბატონო.

მასწავლებელი: ეს ჯოხებია მადმუაზელ, ჩვეულებრივი ჯოხები. აქ ერთი ჯოხი ხატია, აქ ორი, აქ სამი, აქ ოთხი, აქ ხუთი. ერთი ჯოხი, ორი ჯოხი, სამი ჯოხი, ოთხი ჯოხი და ხუთი ჯოხი. ეს კი რიცხვებია მადმუაზელ. დათვლისას თითოეულ ჯოხს შეესაბამება ერთი ერთეული... რას ვამბობდი?

მოსწავლე: „შეესაბამება ერთი ერთეული! რას ვამბობდი?“

მასწავლებელი: ან ერთი ციფრი, ან ერთი რიცხვი! მადმუაზელ ერთი, ორი, სამი, ოთხი, ხუთი ნუმერაციის ელემენტებია.

მოსწავლე: დიახ, ბატონო, გავიგე. ელემენტები, ციფრები, რიცხვები, ერთეულები იმავდროულად ჯოხებია.

მასწავლებელი: დიახ, იმავდროულად... ბოლოს და ბოლოს, შეიძლება ითქვას, რომ ესაა არითმეტიკის მთელი ფილოსოფია.

მოსწავლე: დიახ, ბატონო, ახლა გავიგე ბატონო. გმადლობთ ბატონო.

მასწავლებელი: მაშ, თუ არ შენუხდებით, გამოიყენეთ ეს ელემენტები და დაითვალეთ, მიუმატეთ და გამოაკელით...

მოსწავლე: (თითქოს გონებაში იბაჭდავს) ესე იგი, ჯოხები არის ციფრები, რიცხვები და ერთეულები...

მასწავლებელი: ჰმ... შეიძლება ასეც ითქვას.

მოსწავლე: მივხვდი, ჩვენ შეგვიძლია ორი ერთეული გამოვაკლოთ სამ ერთეულს, მაგრამ შესაძლებელია თუ არა ორი ორიანი გამოვაკლოთ სამ სამიანს? ან ორი ციფრი გამოვაკლოთ

სამ რიცხვს? ან კიდევ სამი რიცხვი ერთ ერთეულს?

მასწავლებელი: არა, მადმუაზელ.

მოსწავლე: რატომ ბატონო?

მასწავლებელი: იმიტომ მადმუაზელ.

მოსწავლე: რატომ იმიტომ, ბატონო? ნუთუ იმიტომ, რომ ეს ერთი და იგივეა?

მასწავლებელი: დიახ, ასეა, თუმცა ამის ახსნა შეუძლებელია. ეს უბრალოდ მათემატიკური ჭეშმარიტებაა. ეს ან ასეა, ან არ არის ასე.

მოსწავლე: ძალიან ცუდი.

მასწავლებელი: ყური დამიგდეთ, მადმუაზელ, თუ თქვენ ვერ შეძლებთ და ღრმად ვერ ჩანვდებით ამ პრინციპებს, ამ არითმეტიკულ არქეტიპებს, თქვენ პოლიტექნიკურ სასწავლებელში დავალებებს სწორად ვერ შეასრულებთ. უფრო მეტიც პოლიტექნიკურ სასწავლებელში კი არა, უმაღლეს ბაგა-ბალშიც ვერ მოხვდებით. ძალიან კარგად ვიცი ეს ადვილი სულაც არ არის და ძალიან, ძალიან აბსტრაქტულია... ცხადია... მაგრამ სანამ კარგად არ გაიღრმავებთ ამ პირველსაწყისებს, ზეპირად ვერ გამოთვლით ისეთ ელემენტარულ მაგალითებს, რაც საშუალო დონის ინჟინერმაც უნდა იცოდეს. თუნდაც აი ამას: რამდენი იქნება სამი მილიარდ შვიდას ორმოცდათხუთმეტი მილიონ ცხრაას ოთხმოცდარვა ათას ორას ორმოცდათვრამეტი გავამრავლოთ ხუთ მილიარდ ას სამოცდაორი მილიონ სამას სამი ათას ხუთას რვაზე?

მოსწავლე: (ძალიან სწრაფად) 19 კვინტილიონ 390 კვადრილიონ 2 ტრილიონ 844 მილიარდ 219 მილიონ 164 ათას 508¹⁷.

მასწავლებელი: არა. არა მგონია. ვფიქრობ, პასუხი უნდა იყოს 19 კვინტილიონ 390 კვადრილიონ 2 ტრილიონ 844 მილიარდ 219 მილიონ 164 ათას 509...

მოსწავლე: ... არა ...508..

მასწავლებელი: (სულუფრო და უფროგაოცებულნი ზეპირად ამრავლებს) დიახ... დიახ... მართალი ბრძანდებით... თქვენი პასუხი სწორია... (გაურკვევლად ლულულებს)... კვინტილიონ, კვადრილიონ, ტრილიონ, მილიარდ, მილიონ... (გარკვევით)... 164 ათას 505... (გაოცებული) კი მაგრამ ელემენტარულ არითმეტიკაში ვერ ერკვევით და ეს საიდან იცით?

მოსწავლე: ძალიან ადვილია. მხოლოდ ჩემი გონების შესაძლებლობებს ვერ დავეყრდნობოდი და ყველა შესაძლო გამრავლების ყველა შესაძლო ჯამი ზეპირად დავისწავლე.

მასწავლებელი: ძალიან მაგარია, მაგრამ ნება მიბოძეთ გულახდილად მოგახსენოთ, ჩემთვის ეს საკმარისი არ არის და ვერც მოგილოცავთ. მადმუაზელ, მათემატიკაში და განსაკუთრებით არითმეტიკაში, რაც თვლადია და არითმეტიკაში ყველაფერი თვლადია, უალრესად გასაგებია... თქვენ ინდუქციური და დედუქციური¹⁵ მათემატიკური გამოთვლების მეშვეობით, უნდა იპოვოთ როგორც ამ გამრავლების პასუხი, ისე ყველა სხვა გამრავლების პასუხიც. მათემატიკა მეხსიერების დაუძინებელი მტერია, ამასთან საუკეთესოც, არითმეტიკულად რომ ვთქვათ, დამღუპველი მტერია! ძალიან უკმაყოფილო ვარ... ასე არ ივარგებს... არა, ასე ნამდვილად არ ივარგებს...

მოსწავლე: (სასონარკვეთილი) არა, ბატონო.

მასწავლებელი: ამჯერად თავი დავანებოთ ამ საკითხს და მოგვიანებით ისევ დავუბრუნდეთ. ახლა სხვა დავალებაზე გადავიდეთ...¹⁹

მოსწავლე: დიახ, ბატონო.

მოსამსახურე: (შემოდის) აბა, აბა, ბატონო...

მასწავლებელი: (მოსამსახურის ხმა არ ესმის) სამწუხაროა, მადმუაზელ, რომ მათემატიკაში ასე ცუდად ერკვევით.

მოსამსახურე: (სახელოზე ქაჩავს) ბატონო! ბატონო!

მასწავლებელი: ვშიშობ, აბსოლუტური დოქტორატურის გამოცდაზე ვერ გახვალთ...

მოსწავლე: დიახ, ბატონო, ძალიან ვწუხვარ.

მასწავლებელი: და თუ მაინც... (მოსამსახურეს) მარი, თავი დამანებეთ... ამას დამიხედეთ, რატომ ეჩრებით?! ცხვირს რატომ ყოფთ?! დროზე სამზარეულოში! ქვაბებთან! ახლავე, ჩქარა! (მოსწავლეს) შევეცდები ნაწილობრივი დოქტორატურის გამოცდისთვის მაინც მოგამზადოთ.

მოსამსახურე: ბატონო!.. ბატონო!..

სახელოზე ქაჩავს

მასწავლებელი: (მოსამსახურეს) ბოლოს და ბოლოს თავს დამანებებთ თუ არა! ხელი გამიშვით! ეს რა უმსგავსობაა?! (მოსწავლეს) თუ ნაწილობრივი დოქტორატურის გამოცდაზე გასვლას ნამდვილად აპირებთ, მაშინ უნდა შეგასწავლოთ...

მოსწავლე: დიახ, ბატონო?!

მასწავლებელი: ...ლინგვისტიკისა და შედარებითი ფილოლოგიის საფუძვლები...

მოსამსახურე: არა, ბატონო, არა!.. ოღონდ ეგ არა!

მასწავლებელი: მარი, ზედმეტი მოგდით!

მოსამსახურე: ბატონო, ოღონდ ფილოლოგია არა, ფილოლოგიას ჯანდაბისკენ მივყავართ...

მოსწავლე: (გაოცებული) ჯანდაბისკენ? (ცოტა სულელურად იღიმის) რა სისულელეა?!

მასწავლებელი: (მოსამსახურეს) მარი, უკვე მეტისმეტია! გაეთრიეთ!

მოსამსახურე: კეთილი ბატონო, კეთილი, მაგრამ მერე არ მითხრათ არ გაგიფრთხილებივარო! იცოდეთ, ფილოლოგიას ჯანდაბისკენ მივყავართ!

მასწავლებელი: მარი, ნუ გავინყდება, აქ, მე ვარ უფროსი!

მოსწავლე: დიახ ბატონო.

მოსამსახურე: როგორც გენებოთ!

გადის.

მასწავლებელი: განვაგრძოთ მადმუაზელ.

მოსწავლე: დიახ, ბატონო.

მასწავლებელი: გთხოვთ, მადმუაზელ დიდი გულისყურით მოუსმინოთ ჩემს მიერ მომზადებულ ლექციას...

მოსწავლე: დიახ, ბატონო.

მასწავლებელი: ...რომლის წყალობითაც თხუთმეტ წუთში დაეუფლებით ლინგვისტიკური ფილოლოგიის ძირითად პრინციპებს და ადვილად შეადარებთ ერთმანეთს ნეო-ესპანურ ენებს.

მოსწავლე: დიახ, ბატონო, ოჰ!

ტაშს შემოჰკრავს.

მასწავლებელი: (ამაყად) სიჩუმე! ეს რა გამო-
ხტომაა?!

მოსწავლე: უკაცრავად, ბატონო.

ხელებს ნელა მაგიდაზე ალაგებს.

მასწავლებელი: სიჩუმე!

(მასწავლებელი დგება; ზურგს-
უკან ხელებდანყობილი ბოლთას
ცემს. დროდადრო ოთახის შუა-
გულში, ხან კი მოსწავლის შორიახ-
ლოს ჩერდება; გაუთავებლად ლაქ-
ლაქებს, თუმცა მძიმედ არ საუბრობს.
მეტი დამაჯერებლობისთვის ხელებს
იშველიებს. მოსწავლე თვალს აყო-
ლებს, რის გამოც თავს გამუდმებით
აქეთ-იქეთ ატრიალებს. ორჯერ მთე-
ლი ტანითაც შემობრუნდება.)

მაშ ასე, მადმუაზელ, ესპანური ენა არის
დედა ენა, რომელმაც შვა ყველა ნეო-ესპანური
ენა, მათ შორის ესპანური, რუმინული, იტალ-
იური, ჩვენი ფრანგული, პორტუგალიური და
ნეო-ესპანური²⁰. ამავე დროს, თვით თურქული
ენაც ძალიან ახლოს დგას ბერძნულთან და ეს
ლოგიკურიცაა, რადგან თურქეთი საბერძნეთის
მეზობელია, ხოლო საბერძნეთი თურქეთთან

იმაზე ახლოს მდებარეობს, ვიდრე ჩვენ ერთმანეთთან. ეს კი საუკეთესოდ ადასტურებს ლინგვისტიკის უმთავრეს კანონს, რომლის თანახმადაც გეოგრაფია და ფილოლოგია ტყუპი დებია... შეგიძლიათ ჩაიწეროთ, მადმუაზელ...

მოსწავლე: (მისუსტებული ხმით) დიახ, ბატონო!

მასწავლებელი: ნეო-ესპანურ ენებსა და მათ იდიომებს სხვა ლინგვისტური ჯგუფებიდან, მაგალითად, ისეთი ჯგუფებიდან, როგორიცაა ავსტრიული და ნეო-ავსტრიული ან ჰაბსბურგული ენები, ასევე ესპერანტოს²¹ ჯგუფის ენები, ჰელვეციური, მონაკური, შვეიცარიული, ანდორული, ბასკური, პელოტური, მით უფრო დიპლომატიური და ტექნიკური, განასხვავებს ერთი რამ, ეს არის მათი გასაოცარი მსგავსება, რაც საკმაოდ ართულებს მათ შორის სხვაობის დადგენას. მე აქ ვლაპარაკობ თავად ნეო-ესპანურ ენებს შორის განსხვავებაზე. მათი განსხვავება კი შესაძლებელია იმ განმასხვავებელი ნიშნების წყალობით, რომლებიც იმავდროულად მოწმობენ მათ გასაოცარ მსგავსებას და ამით უდაოს ხდიან მათ საერთო წარმომავლობას. ამასთანავე ეს ნიშნები ძირეულად განასხვავებენ ამ ენებს ერთმანეთისაგან. ამჯერად, მხოლოდ გარეგნულად განმასხვავებელ ნიშნებს შევხვით.

მოსწავლე: ოოჰ! დიიახ, ბატონო!

მასწავლებელი: მოდით, ზოგად მახასიათებლებზე ნუ შევჩერდებით და...

მოსწავლე: (სინანულით, მონუსხული) დიახ, ბატონო.

მასწავლებელი: ვხედავ ძალიან დაინტერესდით ამით, მით უკეთესი, მით უკეთესი.

მოსწავლე: ოჰ, დიახ, ბატონო...

მასწავლებელი: ნუ ნუხართ მადმუაზელ, ამას მოგვიანებით აუცილებლად დავუბრუნდებით... და ეს ყველაფერი როდია?! თავადაც ნახავთ!

მოსწავლე: (მოხიბლული, მიუხედავად ყველაფრისა) ოჰ, დიახ ბატონო.

მასწავლებელი: ამიერიდან იცოდეთ და სიკვდილამდე დაიმახსოვრეთ მადმუაზელ, მთელი ენა...

მოსწავლე: ოჰ! დიახ, დიახ ბატონო, სიკვდილამდე...

მასწავლებელი: და ეს მთავარი პრინციპია, მთელი ენა არის მხოლოდ და მხოლოდ მეტყველება, ის რასაც ლაპარაკისას ვიყენებთ. ის კი, თავის მხრივ, შედგება ბგერებისგან, ან...

მოსწავლე: მარცვლებისგან...

მასწავლებელი: თავადაც გეტყოდით. ნუ აფრქვევთ თქვენს ცოდნას, უმჯობესია მომიხმინოთ.

მოსწავლე: კეთილი ბატონო, დიახ ბატონო.

მასწავლებელი: ბგერები, მადმუაზელ, ფრენისას უნდა დაიჭირო ფრთებით, რათა ყრუთა ყურებში არ ჩაცვივდნენ. აქედან გამომდინარე, როცა რაიმეს წარმოთქმას დააპირებთ, უმჯობესია, რაც შეიძლება მაღლა აწიოთ კისერი და ნიკაპი, თითის წვერებზე აწიოთ, აი ასე, ხედავთ, აი ასე...

მოსწავლე: დიახ ბატონო.

მასწავლებელი: გაჩუმდით. წყნარად იჯექით, ნუ მანყვეტინებთ... ფილტვებიდან უნდა

გამოუშვით ძალიან მაღალი ბგერები და მთელი ძალით შეარხიოთ სახმო სიმები. აი ასე, შეხედეთ: „პეპელა“, „ევრიკა“, „ტრაფალგარი“, „პაპი, პაპა“, ამგვარად, ბგერები გასცდება ჩვენს ირგვლივ სივრცეს, აიჭრება ზემოთ და აავსებს შედარებით მსუბუქ ცხელ ჰაერს. იქ კი უშიშრად იფარფატებენ, იფარფატებენ და არ ჩაცვივდებიან ყრუთა ყურებში, რომელიც ნამდვილი უფსკრული და ხმოვანების სასაფლაოა. დიდი სიჩქარით გამოსროლილი უამრავი ბგერა ერთმანეთს ავტომატურად წამოედება და წარმოქმნის მარცვლებს, სიტყვებს, ბოლოს კი ფრაზებს. ასე ვთქვათ, მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვან დაჯგუფებებს, ბგერათა წმინდა ირაციონალურ ანსამბლს, რომელიც მოკლებული იქნება ყოველგვარ აზრს, მაგრამ ზუსტად ამის გამო, შეუძლიათ მათ უშიშრად შეინარჩუნონ ჰაერში დიადი სიმალღეები. ჩამოვარდება მხოლოდ ის ბგერა, რომელიც დატვირთულია მნიშვნელობით, დამძიმებულია აზრით, მათი ბოლო ყოველთვის იქნება მარცხი და განადგურება.

მოსწავლე: ...ყრუთა ყურებში...

მასწავლებელი: ნამდვილად ასეა, მაგრამ ნუ მანყვეტინებთ... და საშინელ არეულობაში... ბუშტივით გასკდებიან. ამგვარად, მადმუაზელ... (უცებ მოსწავლემ ისეთი სახე მიიღო, თითქოს რაღაც მაგრად ეტკინა) რა მოგივიდათ?

მოსწავლე: კბილი მტკივა, ბატონო²².

მასწავლებელი: ამას მნიშვნელოვნა არა აქვს. ასეთ სისულელეზე არ უნდა შევჩერდეთ. განვაგრძოთ.

მოსწავლე: (ტანჯვა უფრო მეტად აღებეჭდა სახეზე) დიახ, ბატონო.

მასწავლებელი: ახლა, თქვენს ყურადღებას მივაპყრობ იმ თანხმობებს, რომლიც გამოთქმის დროს სახეს იცვლიან. ამ დროს „ფ“ გადაიქცევა „ვ“-დ, „დ“ გადაიქცევა „თ“, „გ“ გადაიქცევა „კ“-დ და პირიქით, როგორც ჩემს მიერ მოყვანილ მაგალითებშია: „სამი საათი; ბავშვები; ღვინოში ჩანყობილი მამალი; ახალი ერა; აი, ღამე.“

მოსწავლე: კბილი მტკივა...

მასწავლებელი: განვაგრძოთ

მოსწავლე: დიახ.

მასწავლებელი: აქედან დასკვნა: წარმოთქმაში რომ დაოსტატდეთ, საჭიროა წლები და კიდევ ერთხელ, წლები. მეცნიერების დახმარებით კი შეგვიძლია წარმოთქმა რამდენიმე წუთში დავხვეწოთ. იმისთვის რომ ბგერები გამოვცეთ, საჭიროა უმონყალოდ გამოვდევნოთ ჰაერი ფილტვებიდან, შემდეგ ნარნარად გამოვუშვათ და შევახოთ სახმო სიმებს. სიმები მსგავსად არფისა, ან კიდევ ქარში მოშრიალე ფოთლებისა შეირხევა, ამოძრავდება და დაიწყებს ვიბრირებას, ვიბრირებას, ვიბრირებას, ბლუკუნს, ჩიფჩიფს, სტვენას, ფშტვენას და აამოძრავებს ყველაფერს: ნაქს, ენას, სასას, კბილებს.

მოსწავლე: კბილი მტკივა.

მასწავლებელი: ...ბაგეებს... ბოლოს კი ბგერები გადმოიფრქვევა ცხვირიდან, პირიდან, ყურებიდან, ფორებიდან და ჩემს მიერ ნახსენებ ყველა ორგანოს ჩაითრევენ ნიადაგგამოცლილ, ძლევამოსილ და დიდებულ ფრენაში. ეს სხვა არაფერია, თუ არა ის, რასაც უსაფუძვლოდ ხმას ვეძახით. იგი მთელი ძალით მოდულირდება ან ტრანსფორმირდება საშინელ სიმფონიურ

ქარიშხლად, არაბუნებრივი და ხელოვნური მარცვლების უზარმაზარ გუნდად, რომელიც ხან ლაბიალურია²³, ხან დენტალური, ხან მსკდომი, ხან მაგარი სასისმიერი, ხანაც სააღერსო, ხან კი მწარე და მკაცრი და ასე შემდეგ.

მოსწავლე: დიახ, ბატონო, კბილი მტკივა.

მასწავლებელი: განვაგრძოთ. რაც შეეხება ნეო-ესპანურ ენებს, ისინი ერთმანეთის ისეთი ახლო ნათესავეები არიან, რომ შესაძლებელია, განვიხილოთ, როგორც ნამდვილი ალალი ბიძამ-ვილები. ამასთანავე, მათ ერთი საერთო დედა ყავთ. ეს არის ესპანური ენა. აი, ამიტომ არის მათი გარჩევა ერთი-მეორისგან ასეთი ძნელი. ამიტომაც არის აუცილებელი კარგი წარმოთქმა. აუცილებელია, თავიდან ავიცილოთ შეცდომები გამოთქმაში... კარგი წარმოთქმა მთელ ენად ღირს, ცუდ გამოთქმას კი შეუძლია ოინი მოგიწყოს. ამის დასტურად, ნება მიბოძეთ, სხვათა შორის, პირადი გამოცდილება გაგიზიაროთ. *(მცირე პაუზა, მასწავლებელი მოგონებებში წავიდა; მცირე ხნით სახე გაუშტერდა, მაგრამ მალე გამოერკვა.)* მაშინ სულ ახალგაზრდა ვიყავი, თითქმის ბავშვი. ჯარში ვმსახურობდი. პოლკში ერთი ამხანაგი მყავდა, ვიკონტი, რომელსაც მეტყველების სერიოზული ნაკლი ჰქონდა: „ფ“-ს ვერ ამბობდა. „ფ“-ს ნაცვლად ამბობდა „ფ“. იმის მაგივრად, რომ ეთქვა „ჭაში არ უნდა ჩააფურთხო“, ამბობდა „ჭაში არ უნდა ჩააფურთხო“. „ფურცლის“ ნაცვლად ამბობდა „ფურცელი“, „ფირმენის“ ნაცვლად „ფირმენს“, „კარტოფილის“ ნაცვლად „კარტოფილს“, იმის ნაცვლად, რომ ეთქვა „თავი დამანებეთ“, ამ-

ბობდა „თავი დამანებეთ“, „ფანტელების“ ნაცვლად „ფანტელებს“, „ფიფი, ფონ, ფაფას“ ნაცვლად ამბობდა „ფიფი, ფონ, ფაფა“; „ფილიპის“ მაგივრად „ფილიპს“, „ფიქტიურის“ ნაცვლად „ფიქტიურს“, „თებერვლის“ ნაცვლად ამბობდა „თებერვალი“; „მარტი-აპრილის“ ნაცვლად „მარტი-აპრილი“, „ყერარ დე ნარვალის“ ნაცვლად ამბობდა „ყერარ დე ნერვალი“, „მორაბოს“ ნაცვლად ამბობდა „მირაბო“²⁴, „და ასე შემდეგ“ ნაცვლად „და ასე შემდეგისა“; „და ასე შემდეგ“ ნაცვლად „და ასე შემდეგისა“ და ასე შემდეგ. ერთადერთი რაც ეხერხებოდა, ეს იყო ქუდით ოსტატურად დაემალა თავისი ნაკლი, რათა არავის შეემჩნია.

მოსწავლე: დიახ, კბილი მტკივა.

მასწავლებელი: (მოულოდნელად ტონს იცვლის. მკაცრი ხმით) განვაგრძოთ. თავდაპირველად საჭიროა დავაზუსტოთ ამ ენათა შორის მსგავსება და შემდეგ უკეთ დავინახავთ განსხვავებასაც. გახსოვდეთ, უყურადღებო ადამიანი სხვაობას ვერასოდეს შენიშნავს. ამგვარად, ნებისმიერი ენის, ნებისმიერი სიტყვა...

მოსწავლე: ვაი, კბილი მტკივა.

მასწავლებელი: ვაგრძელებ... ყოველთვის ერთი და იგივეა. ისევე როგორც სიტყვის დაბოლოებები, ფუძეები, პრეფიქსები, სუფიქსები...

მოსწავლე: სიტყვის ფუძე ოთხკუთხედიანია?

მასწავლებელი: ან ოთხკუთხედიანია, ან კვადრატის. გააჩნია...

მოსწავლე: კბილი მტკივა.

მასწავლებელი: განვაგრძოთ. ყოველივე ზემოთქმულის დასტურად, ერთ მაგალითს მოგიყვანთ, ავიღოთ სიტყვა „თავი“ ...

მოსწავლე: რასთან ერთად ავიღოთ?

მასწავლებელი: რასთანაც გნებავთ იმასთან, ოღონდ მთავარია ავიღოთ და ნუ მანყვეტი-ნებთ.

მოწავლე: კბილი მტკივა.

მასწავლებელი: განვაგრძოთ... განვაგრძოთ-მეთქი.... მაშ, აიღეთ ფრანგული სიტყვა „თავი“. აიღეთ?

მოსწავლე: დიახ, დიახ, ავიღე, ვაი, ვაი, კბი-ლი, კბილი...

მასწავლებელი: სიტყვა „თავი“ არის ფუძე სი-ტყვეებისა „გათავისება“ და „თავისუფალი“. „გა“ პრეფიქსია, „უფალი“ სუფიქსი. პრეფიქსი და სუფიქსი უცვლელია, მათ შეცვლა არ სურთ.

მოწავლე: კბილი მტკივა.

მასწავლებელი: განვაგრძოთ. გამოფხიზლდ-ით! ზემოთხსენებული პრეფიქსები ესპანური წარმოშობისაა. იმედი მაქვს თავადაც შეამჩ-ნიეთ, არა?

მოსწავლე: რა შევამჩნიე, კბილი რომ მტ-კივა?

მასწავლებელი: განვაგრძოთ. ცხადია, თა-ვადაც შეამჩნიეთ, რომ ფრანგულ ენაში სუ-ფიქსები უცვლელად გადმოვიდა. კეთილი მადმუაზელ, ისინი არ შეიცვლება არც ლათ-ინურში, არც იტალიურში, არც პორტუგალ-იურში, არც სარდანაპალურსა და სარდანაპალ-იურში, არც რუმინულში, არც ნეო-ესპანურში და არც აღმოსავლურში. „თავი“, „გათავისება“, „თავისუფალი“ ნებისმიერ ზემოთჩამოთვლილ ენაში ყოველთვის უცვლელი დარჩება თავისი ფუძით, პრეფიქსით და სუფიქსით, და საერთოდ, ყველა ენაში ერთმანეთის მსგავსი იქნება.

მოსწავლე: ეს სიტყვები ყველა ენაში ერთი და იგივეს აღნიშნავს? კბილი მტკივა.

მასწავლებელი: აბსოლუტურად ერთი და იგივეს. სხვაგვარად შეუძლებელია. რაც არ უნდა მოხდეს, მათ ყოველთვის ექნებათ ერთი და იგივე მნიშვნელობა, ერთი და იგივე შემადგენლობა, ერთი და იგივე სტრუქტურა. ეს ნესი ვრცელდება არა მხოლოდ ამ კონკრეტულ სიტყვებზე, არამედ ნებისმიერი ენის ნებისმიერ სიტყვაზე, რადგან ერთი და იგივე ცნება, ყველა ენაში ერთი და იმავე სიტყვით და მისი სინონიმებით გამოიხატება. ბოლოს და ბოლოს თავი დაანებეთ მაგ კბილებს!

მოსწავლე: კბილი მტკივა. დიახ, დიახ, დიახ.

მასწავლებელი: კეთილი განვაგრძოთ... აბა, მითხარით, როგორ იქნება ფრანგულად... მაგალითად: „ბებიაჩემის ვარდები ჩემი აზიელი ბაბუასავით ყვითელია“?

მოსწავლე: ვაი, ვაი, მტკივა, მტკივა, კბილი მტკივა.

მასწავლებელი: განვაგრძოთ, განვაგრძოთ, აბა მითხარით!

მოსწავლე: ფრანგულად?

მასწავლებელი: ფრანგულად!

მოსწავლე: ... როგორ იქნება ფრანგულად „ბებიაჩემის ვარდები...“

მასწავლებელი: „ჩემი აზიელი ბაბუასავით ყვითელია...“

მოსწავლე: დიახ, მე ვფიქრობ, ფრანგულად ასე იქნება: „ბებიაჩემის...“; „ვარდები“ როგორ არის ფრანგულად?

მასწავლებელი: ფრანგულად „ვარდები“?

მოსწავლე: „ბებიაჩემის ვარდები ჩემი... ფრანგულად „ჩემი“ „ჩემია“?

მასწავლებელი: დიას, რა თქმა უნდა!

მოსწავლე: „ჩემი აღშფოთებული ბაბუასავით ყვითელია.“

მასწავლებელი: არა... „ა...“

მოსწავლე: „...ზიელი“... კბილი მტკივა.

მასწავლებელი: ესეც ასე.

მოსწავლე: კბილი...

მასწავლებელი: მტკივა, მტკივა... მით უარესი... განვაგრძოთ! ახლა, იგივე ფრაზა გადამითარგმნეთ ესპანურად და ნეო-ესპანურად...

მოსწავლე: ესპანურად იქნება: „ბებიაჩემის ვარდები ჩემი აზიელი ბაბუასავით ყვითელია“

მასწავლებელი: არა, ტყუილია.

მოსწავლე: და ნეო-ესპანურად: „ბებიაჩემის ვარდები ჩემი აზიელი ბაბუასავით ყვითელია.“

მასწავლებელი: ცდებით, ცდებით, ცდებით! ყველაფერი აურიეთ, ესპანური და ნეო-ესპანური ერთმანეთში აგერიათ... არა, არა, პირიქით უნდა გეთქვათ...

მოსწავლე: კბილი მტკივა. თავად გერევათ..

მასწავლებელი: შენ თვითონ ამრიე. ახლა ყურადღებით მომისმინეთ და ჩაინიშნეთ. იგივე ფრაზას, ჯერ ესპანურად გეტყვით, მერე ფრანგულად და ბოლოს ლათინურად. ჩემთან ერთად გაიმეორეთ და დაუკვირდით, მათ შორის საკმაოდ დიდი მსგავსებაა და ეს მსგავსებანი ერთმანეთის იდენტურია. მომისმინეთ და გაიმეორეთ.

მოსწავლე: კბილი...

მასწავლებელი: ...მტკივა

მოსწავლე: განვაგრძოთ... აჰ!

მასწავლებელი: ...ესპანურად: „ბებიაჩემის ვარდები ჩემი აზიელი ბაბუასავით ყვითელია“; ლათინურად: „ბებიაჩემის ვარდები ჩემი აზიელი ბაბუასავით ყვითელია“; დაიჭირეთ სხვაობა? ახლა იგივე რუმინულად გადამითარგმნეთ.

მოწავლე: „ბე...“ როგორ იქნება „ბებიაჩემი“ რუმინულად?

მასწავლებელი: როგორ და „ბებიაჩემი“.

მოსწავლე: და არა „ბებიაჩემი?“ ვაი, როგორ მტკივა კბილი...

მასწავლებელი: არა, არა! „ბებიაჩემი“ არის ფრანგული სიტყვის „ბებიაჩემი“ აღმოსავლური თარგმანი. ესპანურად იქნება „ბებიაჩემი“. დაიჭირეთ სხვაობა? სარდანაპალურად იქნება „ბებიაჩემი“...

მოსწავლე: მომიტევეთ, პატივცემულო, მაგრამ... ვაი კბილი, კბილი... ვერ დავიჭირე...

მასწავლებელი: ეს ხომ უადვილესია, უადვილესი! თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ამ ენებში გარკვეული გამოცდილება გვაქვს, როგორც ტექნიკური, ისე პრაქტიკული, მიხვდებით რომ ისინი იმდენად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, რომ საერთო ნიშნებიც კი არა აქვთ... ვეცდები კიდევ ერთი მინიშნება მოგცეთ...

მოსწავლე: კბილი მტკივა... მტკივა...

მასწავლებელი: ეს ენები ერთმანეთისაგან არ განასხვავდება არც სიტყვებით, არც ბგერებით, არც სტრუქტურით, რომელიც თითქმის მსგავსია, არც ინტონაციით, რომელიც საერთოდ ერთნაირი აქვთ, არც საუბრის რიტმით... მათ ერთმანეთისაგან განასხვავებს... მისმენთ?

მოსწავლე: კბილი მტკივა.

მასწავლებელი: მისმენთ მადმუაზელ? აბა! ახლა ჩვენ გავბრაზდებით!

მოსწავლე: გული ნუ გამინყალეთ ბატონო! კბილი მტკივა!

მასწავლებელი: ეშმაკსაც წაუღიხართ! მომისმინეთ!

მოსწავლე: დიახ... დიახ... გისმენთ... გისმენთ... მერე...

მასწავლებელი: ამ ენებს, ერთის მხრივ, ესპანურიდან, ანუ მათი დედა ენიდან და მეორეს მხრივ...

მოსწავლე: რა?

მასწავლებელი: წარმოუდგენელი რა ხდება. წარმოუდგენელი, ამდენი ხნის წვალეებისა და მცდელობის შემდეგაც ვერაფერს ჩანვდით...

მოსწავლე: აჰ?

მასწავლებელი: დიახ, მადმუაზელ. ალლო თუ არა გაქვთ ვერავინ ვერაფერს გასწავლით, სულ ესაა. მაგრამ ალლოსთვის საჭიროა სწავლა, სწავლა და სწავლა.

მოსწავლე: კბილი მტკივა.

მასწავლებელი: ზოგჯერ არსებობს ისეთი შემთხვევები, როცა სხვადასხვა ენის სიტყვები ერთმანეთისაგან განსხვავდება... მაგრამ ამაზე დაყრდნობა არ შეიძლება, რადგან ეს ასე ვთქვათ გამონაკლისი შემთხვევებია.

მოსწავლე: ა, დიახ?... ვაი, ბატონო, კბილი მტკივა.

მასწავლებელი: ნუ მანყვეტინებთ! არ გამაბრაზოთ, თორემ ჩემს თავზე პასუხს არ ვაგებ! მაშ, რას ვამბობდი?... ჰო, გამონაკლი-

სი შემთხვევებია და ადვილად შესამჩნევია...
იოლად საცნობია... მოსახერხებელია... თუ
გირჩევნიათ... თქვენ მე აღარ მისმენთ, ამიტომ
გიმეორებთ: თუ გირჩევნიათ...

მოსწავლე: კბილი მტკივა

მასწავლებელი: მაშ, გიმეორებთ, რომ ზოგი-
ერთ გამოთქმაში, განსაკუთრებით სალაპარაკო
ენაში, ზოგი სიტყვა საშუალებას იძლევა ერთ-
მანეთისაგან განვასხვაოთ ენები, რაც საოცრად
აადვილებს ენის ამოცნობას. ერთ მაგალითს
გეტყვი: მადრიდში ცნობილი ნეო-ესპანური
გამოთქმა: „ჩემი სამშობლოა ნეო-ესპანეთი“,
იტალიურად იქნება: „ჩემი სამშობლოა...

მოსწავლე: ნეო-ესპანეთი“.

მასწავლებელი: არა! „ჩემი სამშობლოა იტა-
ლია.“ აბა, დედუქციური მეთოდის გამოყე-
ნებით მითხარი, როგორ იქნება ფრანგულად
„იტალია“?

მოსწავლე: კბილი მტკივა!

მასწავლებელი: ეს ხომ უადვილესია. ფრან-
გულ ენაში სიტყვას „იტალია“ შეესაბამება სიტ-
ყვას „საფრანგეთი“. მისი ზუსტი თარგმანია:
„ჩემი სამშობლოა საფრანგეთი“. „საფრანგეთი“
აღმოსავლურად იქნება „აღმოსავლეთი“! „ჩემი
სამშობლოა აღმოსავლეთი“. „აღმოსავლეთი“
პორტუგალიურად იქნება „პორტუგალია“! აღმო-
სავლური გამოთქმა „ჩემი სამშობლოა აღმო-
სავლეთი“ პორტუგალიურად იქნება: „ჩემი სამ-
შობლოა პორტუგალია“! და ასე შემდეგ...

მოსწავლე: გავიგე, გავიგე! მტკივა, მტკივა...

მასწავლებელი: კბილი, კბილი, კბილი!... ჩემი
ხელით ამოგთხრი მაგ კბილს! კიდევ ერთ მა-

გალითს მოგიყვანთ. სიტყვას „დედაქალაქი“ სხვადასხვა ენაში სხვადასხვა მნიშვნელობა ენიჭება. როცა ესპანურად ვამბობთ „მე ვცხოვრობ დედაქალაქში“, იგი არ გამოხატავს იგივე ცნებას რასაც პორტუგალიურ ფრაზაში „მე ვცხოვრობ დედაქალაქში“; უფრო მეტიც, არც ფრანგულში გამოხატავს იგივეს, არც ნეო-ესპანურში, არც რუმინულში, არც ლათინურში, არც სარდნაპალურში... მადმუაზელ, მადმუაზელ... რას აკეთებთ, ამას თქვენთვის ვლავარაკობ! დალახვროს ეშმაკმა! როგორ გესმით გამოთქმა „მე ვცხოვრობ დედაქალაქში“, თქვენ მას უადვილესად და უსწრაფესად მიხვდებით ესპანურადაც, ესპანურადაც, ნეო-ესპანურადაც, ფრანგულადაც, აღმოსავლურადაც, რუმინულადაც, ლათინურადაც, რდგან საკმარისია გამოიცნო ის მეტროპოლია რომელზეც ამ ენებზე მოლაპარაკე ფრაზის წარმომთქმელი ფიქრობს. ფრაზის წარმოთქმისას... ეს ყველაზე ზუსტი მაგალითია, რომლის მოყვანაც კი შეიძლებოდა...

მოსწავლე: ვაი, ვაი, კბილი...

მასწავლებელი: სიჩუმე! თორემ თავს წაგაცლი!

მოსწავლე: აბა ცადეთ! ბაქია!

*მასწავლებელი მოსწავლეს
ხელებს უგრეხს.*

მოსწავლე: ვაი!

მასწავლებელი: აბა, წყნარად იჯექით, ხმა არ გავიგო!

მოსწავლე: (სლუკუნით) კბილი მტკივა...

მასწავლებელი: ყველაზე... როგორ ვთქვა?
ყველაზე პარადოქსული... დიახ, ზუსტად ასეა,
ყველაზე პარადოქსული ის გახლავთ, რომ ადა-
მიანთა უზარმაზარი მასა, რომელსაც არანაირი
განათლება არა აქვს, ლაპარაკობს ამ ურთი-
ერთგანსხვავებულ ენებზე... მისმენთ? აბა, რა
ვთქვი?

მოსწავლე: ლაპარაკობს ამ ურთიერთგან-
სხვავებულ ენებზე! აბა, რა ვთქვი?

მასწავლებელი: ბედი გქონიათ! ზოგი ხალხი
ლაპარაკობს ესპანურად და ეს ესპანური სავ-
სეა ნეო-ესპანური სიტყვებით, თუმცა თავად
ეს არ იციან და ფიქრობენ, რომ ლათინურად
საუბრობენ... ან კიდევ, ლაპარაკობენ აღმოსავ-
ლური სიტყვებით გაჯერებული ლათინურით
და ფიქრობენ, რომ რუმინულად საუბრობენ ან
ლაპარაკობენ ნეო-ესპანურით გაჯერებული ეს-
პანურით და გონიათ სარდანაპალური ან ესპა-
ნური... გესმით ჩემი?

მოსწავლე: დიახ! დიახ! დიახ! მესმის! მესმის!
მეტი რალა გინდათ?!

მასწავლებელი: ან თავხედობას შეეშვით, ან
მიფრთხილდით... (გაბრაზებული) და ბოლოს
მადმუაზელ, ზოგი, მაგალითად, ლაპარაკობს
ლათინურად და ესპანური გონია, თან ფრანგს
ეუბნება „ორივე თირკმელი მტკივა“, ეს უკა-
ნასკნელიც, მიუხედავად იმისა, რომ საერთოდ არ
იცის ესპანური, ყველაფერს ჩინებულად იგებს,
თითქოს მშობლიურ ენაზე მიმართავენ, ამას-
თანავე, ჰგონია კედევ, რომ ეს მისი მშობლიური
ენაა და ფრანგი ფრანგულად პასუხობს: „მეც

ბატონო, მეც თირკმელები მტკივა“. ამას კი ესპანელი მშვენივრად გაიგებს და დარწმუნებული იქნება, რომ სუფთა ესპანურად ესაუბრებიან... მაშინ, როცა ეს არც ესპანურია და არც ფრანგული, არამედ არის ნეო-ესპანური ლათინური. აბა, წყნარად იჯექით მადმუაზელ, ფეხებს ნუ აქნევთ, გეყოფათ ფეხების ბაკუნი....

მოსწავლე: კბილი მტკივა

მასწავლებელი: რატომ ხდება, რომ ადამიანებმა არ იციან რომელ ენაზე ლაპარაკობენ ან კიდევ, ფიქრობენ, რომ სხვადასხვა ენაზე ლაპარაკობენ და ერთმანეთის მაინც ესმით.

მოსწავლე: მეც ეს მაინტერესებს.

მასწავლებელი: ეს მოვლენა ადამიანთა ტლანქი ემპირიზმის ერთ-ერთი აუხსნელი უცნაურობაა. „ემპირიზმი“ „ექსპერიმენტში“ არ აგერიოთ. პარადოქსია, ნონ-სენსია, ადამიანური ბუნების ერთ-ერთი უცნაურობაა. ერთი სიტყვით რომ ვთქვათ, ეს უბრალოდ ინსტინქტია. ამ შემთხვევაში, სწორედ ინსტინქტთან გვაქვს საქმე.

მოსწავლე: აჰ, აჰ!

მასწავლებელი: ბუზების ყურებას გირჩევნიათ, უფრო ყურადღებით მომისმინოთ... თანაც ამდენს ვწვალობ თქვენთვის. ნაწილობრივი დოქტორატურის გამოცდა მე კი არა მაქვს ჩასაბარებელი... მე უკვე დიდი ხანია ჩავაბარე... ესეც, აბსოლუტური დოქტორატურის გამოცდაც და სუპერ-აბსოლუტურიც... ნუთუ ვერ ხვდებით, რომ თქვენთვის კარგი მინდა?

მოსწავლე: ვაი, კბილი!

მასწავლებელი: ვაი-მოსწავლე... არა, ასე არ ივარგებს, არ ივარგებს, არ ივარგებს.

მოსწავლე: გი-ი-სმე-ენტ...

მასწავლებელი: აჰ! ერთ რამეს გეტყვით, ამ ენების ერთმანეთისგან გარჩევის საუკეთესო საშუალება არის პრაქტიკა... მივყვით რიგრიგობით. ჯერ ვისწავლოთ სიტყვა – „დანა“ ყველა ენაზე.

მოსწავლე: როგორც ინებებთ... ბოლოს და ბოლოს...

მასწავლებელი: (მოსამსახურეს ეძახის) მარი! მარი! არ ესმის... მარი, მარი! სად ხართ, მარი! (მარჯვენა კარს აღებს) მარი!...

გადის. რამდენიმე წუთით მოსწავლე მარტო რჩება. გამოშტერებული თვალებით სივრცეში იყურება.

მასწავლებელი: (ყვირილის ხმა გარედან) მარი! ეს რას ნიშნავს?! რატომ არ მოდიხართ?! როცა გეძახით, უნდა მოხვიდეთ! (შემოდის. მარი უკან მოყვება) ნუ მეურჩებით! (მოსწავლეზე მიანიშნებს) ვერაფერი გავაგებინე, ვერაფერი...

მოსამსახურე: ბატონო, თავს ასეთ მდგომარეობაში ნუ ჩაიდებთ! დასასრულს უფროთხილდით ბატონო. ეს ძალიან შორს წაგიყვანთ, გეუბნებით, ძალიან შორს წაგიყვანთ.

მასწავლებელი: მშვენივრად ვიცი, როდის უნდა გავჩერდე.

მოსამსახურე: ყოველთვის ამას ამბობთ. ნეტავ ამ დღეს მომასწრო!

მოსწავლე: კბილი მტკივა.

მოსამსახურე: ხედავ, უკვე იწყება, ეს მისი სიმპტომებია!

მასწავლებელი: სიმპტომები? მომიტყევეთ! რისი თქმა გსურთ?

მოსწავლე: (საწყალი ხმით) დიახ, რისი თქმა გსურთ? კბილი მტკივა.

მოსამსახურე: დასასრულის სიმპტომები შეინიშნება.

მასწავლებელი: სისულელე! სისულელე! სისულელე! (მოსამსახურეს წასვლა სურს) სად მიდიხართ?! დანების მოსატანად გიხმეთ. მჭირდება ესპანური, ნეო-ესპანური, პორტუგალიური, ფრანგული, აღმოსავლური, რუმინული, სარდნაპალური, ლათინური და ესპანური დანა. ყველა მოიტანეთ!

მოსამსახურე: (მკაცრად) ჩემი იმედი ნუ გექნებათ!

გადის

მასწავლებელი: (ხელის მოძრაობით სურს შეენინააღმდეგოს, მაგრამ დაბნეული უკან დაიხევს, უცებ რაღაც მოაგონდა) აჰ! (ჩქარი ნაბიჯით უჯრისკენ მიემართება, დიდ უხილავ ან ხილულ დანას პოულობს, რეჟისორზეა დამოკიდებული, ხელს დაავლებს და გახარებული მოიქნევს) აი, ისიც მადმუაზელ! აი, დანა! სამწუხაროდ, უჯრაში მხოლოდ ერთი ყოფილა, მაგრამ ვეცდებით ყველა ენაში გამოვიყენოთ! წარმოთქვით სიტყვა „დანა“ ყველა ენაზე, თან დაჟინებით ყურადღებით დააკვირდით ობიექტს

და წარმოიდგინეთ, რომ იმ ენაზეა, რომელზეც წარმოთქვამთ.

მოსწავლე: კბილი მტკივა

მასწავლებელი: (მონოტონურად, რეჩიტატივით, თითქოს მღერის) აბა, თქვით „და“, როგორც „და“, „ნა“ როგორც „ნა...“ თან უყურეთ, ყურადღებით დააცქერდით...

მოსწავლე: ეს რომელ ენაზეა? ფრანგულად, იტალიურად, თუ ესპანურად?

მასწავლებელი: რა მნიშვნელობა აქვს. თქვით: „და...“

მოსწავლე: „და“

მასწავლებელი: „...ნა“, შეხედეთ...

დანას თვალებთან უტრიალებს.

მოსწავლე: „ნა...“

მასწავლებელი: ისევ... შეხედეთ.

მოსწავლე: ოჰ! შემეშვით! ეშმაკმა დალახვოს! ყელამდე ვარ! თანაც კბილი მტკივა, ფეხიც მტკივა, თავიც მტკივა...

მასწავლებელი: (ნაწყვეტ-ნაწყვეტ) „დანა“... შეხედეთ... „დანა“... შეხედეთ... „დანა“... შეხედეთ.

მოსწავლე: ყურები ნუ მატკინეთ! რა გაყვირებთ! რა გამყინავი ხმა გაქვთ!

მასწავლებელი: თქვით: „დანა... და...ნა...“

მოსწავლე: არა! ყურები მტკივა, ყველაფერი მტკივა...

მასწავლებელი: ჩემო ციციქნა, ახლავე დაგაჭრი მაგ ყურებს და აღარ გეტკინება.

მოსწავლე: აჰ!... თქვენ მატკინეთ...

მასწავლებელი: აბა, ჩქარა გაიმეორეთ: „და...“

მოსწავლე: აჰ, რახან ასე დაიფინეთ... „და... დანა“... (წუთით გამოცოცხლდა, ირონიულად) ეს ნეო-ესპანურად იყო?

მასწავლებელი: თუ გნებავთ, დიახ ნეო-ესპანურად იყოს. ჩქარა, ჩქარა... დრო არ გვაქვს... რა საჭიროა უსარგებლო კითხვები? თავს რის ნებას აძლევთ?

მოსწავლე: (სულ უფრო დაქანცული და სასონარკვეთილია, თითქმის ტირის. შიგადაშიგ ექსტაზირებული და გაღიზიანებულია.) აჰ!

მასწავლებელი: გაიმეორეთ, თან უყურეთ. (გუგულივით იმეორებს) „დანა... დანა... დანა... დანა... დანა...“

მოსწავლე: ვაი, მტკივა... თავი (სხეულის რომელ ნაწილსაც ახსენებს ოდნავ ხელით ეხება, თითქოს ეფერება) თვალები...

მასწავლებელი: (გუგულივით) „დანა... დანა...“

ორივე ფეხზე დგას, მასწავლებელი გამუდმებით უხილავ დანას აქნევს, მოსწავლის ირგვლივ ბრუნავს, თითქოს ცეკვავს, მაგრამ ცეკვა არ უნდა იყოს გაზვიადებული. მასწავლებლის მოძრაობა უნდა იყოს ძლივს შესამჩნევი. მოსწავლე ფეხზე დგას, სახით მაყურებლისკენ, უკუსვლით ფანჯრისკენ მიდის, ავადმყოფური, მიბნედილი და მონუსხული იერი აქვს.

მასწავლებელი: გაიმეორეთ, გაიმეორეთ: „დანა... დანა... დანა...“

მოსწავლე: მტკივა... ყელი... „და... აჰ...
მხრები... მკერდი... „დანა“

მასწავლებელი: „დანა... დანა... დანა...“

მოსწავლე: თეძოები... „დანა“... გავა...
„დანა...“

მასწავლებელი: კარგად გამოთქვით... „და-
ნა... დანა...“

მოსწავლე: „დანა...“ ყელი

მასწავლებელი: „დანა... დანა...“

მოსწავლე: „დანა...“ მხრები... მკლავები...
მკერდი, თეძოები... „დანა... დანა...“

მასწავლებელი: ესეც ასე, უკვე სწორად
გამოთქვამთ...

მოსწავლე: „დანა...“ თეძოები... მუცელი...

მასწავლებელი: (შეცვლილი ხმით) ფრთხილად...
მინა არ ჩამიმსხვრიოთ... დანით
კლავენ...

მოსწავლე: (სუსტი ხმით) დიახ, დანით კლავენ.

მასწავლებელი: (დანის ერთი მოქნევით
კლავს მოსწავლეს, საკმაოდ სანახაობრივად)
ააჰ! მიიღე!

მოსწავლეს ყვირის „აჰ“ და ძალგამოცლილი, გამომწვევად ეცემა სკამზე, რომელიც თითქოს შემთხვევით აღმოჩნდა ფანჯარასთან. მკვლელი და მსხვერპლი ერთდროულად თითქოს ვნებიანად ყვირიან „აჰ“. დანის პირველ დარტყმაზე მოსწავლე ფეხებგადაშლილი ეცემა სკამზე. მასწავლებელი ფეხზე დგას,

სახით მოსწავლისკენ და ზურგით
მაყურებლისკენ. დანას მეორედ
ურტყამს მოსწავლეს, უკვე ქვემო-
დან ზემოთ, რის შემდეგაც მთელი
სხეულით შესამჩნევად შეხტება.

მასწავლებელი: (აქოშინებული, ლულლულებს)
კახპა... ასე მოგიხდება... როგორ ვისიამოვნე...
უჰ, უჰ, დავიღალე... ძლივს ვსუნთქავ... ააჰ!

სუნთქვა უჭირს, ეცემა. ბედად
სკამი იქვეა. შუბლიდან ოფლს ინ-
მენდს. გაურკვეველად ლულლულებს.
თანდათან სუნთქვა ნორმალური
ხდება... დგება, ახალგაზრდა გოგო-
ნას უყურებს, ბოლოს თითქოს
გამოფხიზლდა:

მასწავლებელი: (პანიკამ შეიპყრო) ეს რა
ჩავიდინე?! ახლა რა მეშველება?! ნეტავ, რა
მოხდება, უი, უი, რა უბედურებაა, მადმუა-
ზელ! მადმუაზელ! ადექით! (გამოცოცხლდა,
ისევ უხილავი დანა უჭირავს და არ იცის სად
წაიღოს) მადმუაზელ, გაკვეთილი დამთავრე-
ბულია... შეგიძლიათ წახვიდეთ... სხვა დროს
გადაიხდით... ვაიმე! მკვდარია... მკვდარი...
ჩემი დანით... მკვდარია... რა საშინელებაა.
(მოსამსახურეს ეძახის) მარი, მარი! ჩემო ძვირ-
ფასო მარი! აქ მოდი! ვაი, ვაი! (მარჯვენა კარი
იღება და მარი გამოჩნდება) არა, ნუ მოხვალთ...
შევცდი... აღარ მჭირდებით მარი... უკვე აღარ
მჭირდებით... გესმით ჩემი?..

მარი უახლოვდება. გაბრაზებული ხმის ამოუღებლად დასცქერის მსხვერპლს.

მასწავლებელი: (სასონარკვეთილი ხმით) არა, მარი, სულაც არ მჭირდებით!

მოსამსახურე: აბა, ბატონო, კმაყოფილი ბრძანდებით მოსწავლით? გასიამოვნათ, კარგად აითვისა გაკვეთილი?

მასწავლებელი: (დანას ზურგს უკან მალავს) დიახ, გაკვეთილი დამთავრებულია... მაგრამ.... ის, ის ისევ აქ არის... წასვლა აღარ უნდა...

მოსამსახურე: (ძალიან მკაცრად) მართლაც!...

მასწავლებელი: (აცახცახებული) არა, მე არ ჩამიდენია მარი, არა, მე არა... მერწმუნეთ.... მე არა, ჩემო პატარა მარი...

მოსამსახურე: აბა ვინ? სხვამ ვინ? მე?

მასწავლებელი: არ ვიცი შესაძლოა...

მოსამსახურე: თუ კატამ?

მასწავლებელი: შესაძლოა... არ ვიცი....

მოსამსახურე: ეს უკვე მეორმოცეა დღეს!.. ყოველ დღე ერთი და იგივე მეორდება! ყოველ დღე! არ გრცხვენიათ ამ ხნის კაცს... ასე თავს დაიავადმყოფებთ! მოსწავლე აღარ გეყოლებათ და ეს უკეთესიც იქნება!

მასწავლებელი: (გალიზიანებული) ჩემი ბრალი არ არის! სწავლა არ უნდოდა! არ მიჯერებდა! საშინელი მოსწავლე იყო?! სწავლა არ უნდოდა!

მოსამსახურე: მატყუარა!...

მასწავლებელი: (ცდილობს მოსამსახურეს ჩუმად მიუახლოვდეს, ზურგს უკან დანა აქვს

დამალული) ეს თქვენ არ გეხებათ! (ცდილობს დანა ჩაარტყას, მოსამსახურე მოქნეულ ხელს დაუჭერს და გადაუგრებს, მასწავლებელი ძირს აგდებს იარაღს) ... უკაცრავად!

მოსამსახურე: (მთელი ძალით ორჯერ სახეში გაულანუნებს. მასწავლებელი იატაკზე ეცემა. ქვითინებს) საცოდავო მკვლელი, არამზადა! პატარა საზიზღარო! მეც იგივეს მიპირებდით არა?! თქვენი მოსწავლე ხომ არ გეგონეთ?! (საყელოში წვდა და წამოაყენა, დავარდნილი ქუდი აიღო და თავზე დაახურა; მასწავლებელს ეშინია ისევ არ უთავაზონ და ბავშვივით ხელს იფარებს სახეზე) დადეთ დანა თავის ადგილას! დროზე! (დანა უჯრაში ჩადო, უკან დაბრუნდა) რამდენჯერ გაგაფრთხილეთ, ამ წუთასაც გაგაფრთხილეთ: არითმატიკას მივყავართ ფილოლოგიასთან, ფილოლოგიას კი მივყავართ დანაშაულთან...

მასწავლებელი: თქვენ თქვით: „ჯანდაბასთანო“!

მოსამსახურე: ეს ართი და იგივეა!

მასწავლებელი: ცუდად გავიგე. მე ვიფიქრე რომ „ჯანდაბა“ ქალაქია და ფილოლოგიას ქალაქ „ჯანდაბასთან“ მივყავართ.

მოსამსახურე: მატყუარა! ბებერი მელა! თქვენისთანა მეცნიერს სიტყვის მნიშვნელობები არ აერეოდა. ეს არ უნდა დამეშვა!

მასწავლებელი: (ქვითინით) განზრახ არ მომიკლავს!

მოსამსახურე: ნეტავ, ნანობთ მაინც?

მასწავლებელი: დიახ, დიახ მარი, გეფიცებით ვნანობ!

მოსამსახურე: ამას დამიხედეთ, თავს მაცოდებს! ეჰ, რაც არ უნდა იყოს, მაინც კარგი ბიჭი ხართ! ვეცადოთ, როგორმე, მოვაგვაროთ ეს საქმე. მაგრამ, აღარ გაიმეოროთ... ასე გულს დაიავადმყოფებთ....

მასწავლებელი: დიახ, მარი! ახლა რა ვქნათ?

მასწავლებელი: უნდა დავმარხოთ... ისე როგორც დანარჩენი ოცდაცხრამეტი... ეს უკვე მეორმოცე კუბოა²⁵... დამკრძალავ ბიუროში დავრეკოთ და კიდევ ჩემს საყვარელ მამა ოგუსტთან... გვირგვინებიც უნდა შევუკვეთოთ....

მასწავლებელი: დიახ, მარი, გმადლობთ, გმადლობთ.

მოსამსახურე: მართლაც, ოგუსტის გამოძახება რა საჭიროა, ეს მითქმა-მოთქმას გამოიწვევს ხალხში, თქვენც ხომ ცოტათი მამაო ხართ.

მასწავლებელი: ძვირიანი გვირგვინებიც არ გვინდა, გაკვეთილის საფასური არ გადაუხდია.

მოსამსახურე: ნუ დარდობთ... წინსაფარი გადააფარეთ, რა უსირცხვილო ვინმეა... მოგვიანებით ნავილოთ...

მასწავლებელი: დიახ, მარი დიახ, (აფარებს) მეშინია არ დაგვცინონ... ორმოცი კუბო.. წარმოგიდგენიათ... ხალხი გაოცდება. რომ გვკითხონ შიგ რა დევსო?

მოსამსახურე: ნუ დარდობთ. ვიტყვით რომ ცარიელია. ამასთან, ხალხი არაფერს გვკითხავს, შეეჩვია.

მასწავლებელი: და მაინც.

მოსამსახურე: (იღებს სამკლაურს, რომელზეც შესაძლებელია გამოსახული იყოს ნაციისტური სვასტიკა²⁶) აჰა, აიღეთ. თუ გეშინიათ ეს გაიკეთეთ და საშიშიც არაფერი იქნება. (სამკლაურს მკლავზე უკეთებს) ეს პოლიტიკაა...

მასწავლებელი: გმადლობთ, ჩემო ძვირფასო მარი; ასე უფრო მშვიდად ვიქნები... კარგი გოგო ხარ, მარი... თავდადებული...

მოსამსახურე: კარგია, ბატონო, მიბრძანდით. მოგწონთ?

მასწავლებელი: დიახ, ჩემო პატარა მარი. (მასწავლებელი და მოსამსახურე გოგონას სხეულს აწევენ, ერთი მხრებში ჩაავლებს ხელს, მეორე ფეხებში და მარჯვენა კარისკენ მიემართებიან) ფრთხილად, რამე არ ატკინოთ.

გადიან. რამდენიმე წუთი სცენა ცარიელია. მარცხენა კარზე ზარის ხმა გაისმის.

მოსამსახურის ხმა: ახლავე, მოვდივარ!

მოსამსახურე სცენაზე შემოდის, ზუსტად ისე როგორ დრამის დასაწყისში. ზარს ისევ რეკავენ

მოსამსახურე: (აპარტე) ძალიან ჩქარობს, საბრალო! (ხმამალლა) მოითმინეთ! (მარცხენა კართან მივა, ალებს) გამარჯობა, მადმუაზელ! ახალი მოსწავლე ბრძანდებით? გაკვეთილზე მოხვედით? მასწავლებელი გელოდებათ*, ახ-

ლავე ვეტყვი, რომ მოხვედით. ახლავე ჩამოვა!
შემობრძანდით, შემობრძანდით მადმუაზელ!

ივნისი, 1950

ფარდა

*სპექტაკლის დაწყებამდე და ფარდის გახსნამდე დარბაზში ჩაქუჩის კაკუნის ხმა ისმის, ამას მოყვება სპექტაკლის დაწყების სამი ზარი. ფარდის აწევის შემდეგ, სანამ სცენა ცარიელია ჩაქუჩის ხმა ისევ გრძელდება. კარის გასაღებად გამოქცეული მოსამსახურე გზადაგზა, სასწრაფოდ იღებს მაგიდაზე დადებულ რვეულს და ჩანთას და კუთხეში ჩანთებისა და რვეულების გროვაზე მოისვრის. ბოლოს, უკანასკნელ სცენაში, როცა მოსამსახურე ახალი მოსწავლისთვის კარის გასაღებად გარბის, ახლადმოკლული მოსწავლის ჩანთას და რვეულს იმავე კუთხეში მოისვრის. როცა ფარდა დაიხურება ისევ უნდა ისმოდეს ჩაქუჩის დარტყმის ხმა. (ავტორის შენიშვნა)

სკამები



მოქმედი პირები

მოხუცი კაცი ² , 95 წლის	პოლ შევალიე
მოხუცი ქალი, 94 წლის	ცილა შელტონი
ორატორი, 45-დან 50 წლამდე	სილვენ დომი
და ბევრი სხვა პერსონაჟი ³ .	


1952 წლის 22 აპრილს ლანკრის თეატრის სცენაზე შედგა იონესკოს ტრაგი-ფარსის „სკამების“ პრემიერა. რეჟისორი გახლდათ სილვენ დომი, მხატვარი – ჟაკ ნოელი. პიესა ხელახლა დაიდგა ჯერ 1956 წლის თებერვალში შანზელიზეს სტუდიაში, ხოლო შემდეგ 1961 წლის მარტში. ამჯერად, რეჟისორი იყო ჟაკ მოკლერი, რომელიც მოხუცი კაცის როლსაც თამაშობდა, მოხუცი ქალის როლს ცილა შელტონი ასახიერებდა.

დეკორაცია

დეკორაციის მოძრავი კედლები⁴ სცენის სიღრმეში შეჭრილ ნახევარწრეს ქმნის. სცენაზე წარმოგვიდგება სრულიად გამიშვლებული ოთახი. ავანსცენის მარჯვენა მხარეს მდებარეობს სამი კარი, ერთი ფანჯარა, რომლის წინაც ტაბურეტი დგას და კიდევ ერთი კარი. სიღრმეში, სცენის შუაში დიდი ცენტრალური ორფრთიანი კარებია მოთავსებული, რომლის მარჯვნივ და მარცხნივ, ერთმანეთის საპირისპიროდ კიდევ ორი კარია განლაგებული. აქედან ერთ-ერთი მაინც მაყურებელთათვის უხილავი უნდა იყოს. სცენის მარცხენა მხარე ზუსტად ისევეა მოწყობილი, როგორც მარჯვენა: სამი კარი, ერთი ფანჯარა წინ ტაბურეტით, შავი დაფა და პატარა ფიცარნაგი. დეკორაციის უკეთ აღსაქმელად იხილეთ თანდართული გეგმა.

სცენის წინა ნაწილში ერთმანეთის გვერდით დგას ორი სკამი.

ჭერზე დაკიდებულია გაზის ლამპა.



1. სიღრმეში ორფრთიანი ცენტრალური კარი.
- 2, 3, 4, 5. მარჯვენა გვერდითი კარები.
- 6, 7, 8. მარცხენა გვერდითი კარები.
- 9, 10. სიღრმეში დამალული კარები.
11. ფიცარნაგი და შავი დაფა.
- 12, 13. მარცხენა, მარჯვენა ფანჯრები (ტაბურეკით).
14. ცარიელი სკამები.
- +++ დერეფანი (კულისებში).

ფარდა იხსნება. ნახევრად ბნელა. მოხუცი კაცი ტაბურეტზეა მოკალათებული და მარცხენა ფანჯარაში იყურება. მუხუცი ქალი ანთებს გაზის ლამპას, რომელიც მწვანე შუქს გამოსცემს. ქალი კაცს სახელოზე ექაჩება.

მოხუცი ქალი: კმარა, საყვარელო, დახურე ფანჯარა, წყალს შმორის სუნი ასდის და კოლოებით გაივსო ოთახი⁵.

მოხუცი კაცი: თავი დამანებე!

მოხუცი ქალი: კარგი რა, საყვარელო, მოდი, დაჯექი. ნულარ იხრები, ასე შეიძლება წყალში გადავარდე. ხომ იცი, ფრანსუა I-ს⁶ რა მოუვიდა. ფრთხილად იყავი.

მოხუცი კაცი: ისევ ძველი მაგალითები! ოჰ, ჩემო ტკბილო, საფრანგეთის ისტორიამ როგორ დამლალა. მე მხოლოდ მზეზე ნავების ჩრდილის დანახვა მინდოდა.

მოხუცი ქალი: როგორ დაინახავ, ძვირფასო, მზე ჩავიდა, ღამეა.

მოხუცი კაცი: ლანდი ხომ მაინც რჩება?!

კაცი უფრო მეტად იხრება.

მოხუცი ქალი (მთელი ძალით ექაჩება): ნუ მაშინებ, საყვარელო... მოდი, დაჯექი, მაინც ვერ დაინახავ, არა უშავს... ღამეა.

მოხუცი უხალისოდ მიყვება.

მოხუცი კაცი: დანახვა მინდოდა, ისე მიყვარს წყლის ყურება.

მოხუცი ქალი: როგორ შეგიძლია, ძვირფასო?... მე თავბრუ მეხვევა. ამ სახლს და ამ კუნძულს ვერაფრით შევეჩვიე; ყველაფერი წყალშია... ფანჯრებიდან ჰორიზონტამდე სულ წყალია...

ქალს კაცი ლასლასით მიჰყავს. მოხუცები სცენის წინა მხარეს მდებარე ორი სკამისკენ მიემართებიან. კაცი, სრულიად ბუნებრივად, ქალს კალთაში უჯდება'.

მოხუცი კაცი: სალამოს ექვსი საათია... და უკვე ღამეა... გახსოვს, წინათ ასე არ იყო; სალამოს ცხრა საათზე, ათზეც და შუალამეზეც კი დღე იყო.

მოხუცი ქალი: მართლაც, რა მახსოვრობა გაქვს!

მოხუცი კაცი: ყველაფერი ძალიან შეიცვალა.

მოხუცი ქალი: მერე და რატომ, შენ როგორ ფიქრობ?

მოხუცი კაცი: არ ვიცი, სემირამიდა, ჩემო ტკბილო⁸... იქნებ იმიტომ, რომ რაც დრო გადის, უფრო ვეფლობით. ალბათ დედამინის ბრალია, რომელიც ბრუნავს, ბრუნავს, ბრუნავს, ბრუნავს...

მოხუცი ქალი: ჰო, ბრუნავს, ბრუნავს... ჩემო ოქრო. (პაუზა.) დიას! ნამდვილად დიდი მეცნიერი ხარ, თანაც ნიჭიერი, ჩემო კარგო, რომ

მოგენდომებინა, ცხოვრებაში ოდნავ ამბიცია რომ გამოგეჩინა, პრეზიდენტი იქნებოდი, მთავარი, მთავარი მეფე, სხვა თუ არაფერი, მთავარი ექიმი მაინც ან უფროსი მარშალი...

მოხუცი კაცი: რაში გვჭირდებოდა? უკეთესად მაინც ვერ ვიცხოვრებდით... ბინათმთავარი ხომ მაინც ვარ, მარშალი, ბინების მცველი.

მოხუცი ქალი (მოხუცს ბავშვივით ეაღერსება): ჩემო პატარა, ჩემო პანანა...

მოხუცი კაცი: მონყენილი ვარ⁹.

მოხუცი ქალი: ნყალს რომ უცქერდი, გაცილებით მხიარული იყავი... გააკეთე, როგორც იმ საღამოს, გავერთობით.

მოხუცი კაცი: შენ თვითონ გააკეთე, შენი ჯერია.

მოხუცი ქალი: არა, შენი.

მოხუცი კაცი: შენი.

მოხუცი ქალი: არა შენი.

მოხუცი კაცი: შენი.

მოხუცი ქალი: გეუბნები, შენი ჯერია.

მოხუცი კაცი: დალიე რა ჩაი, სემირამიდა!¹⁰

რა თქმა უნდა, ჩაი არ არის.

მოხუცი ქალი: მიდი რა, თებერვალი გაითამაშე.

მოხუცი კაცი: არ მიყვარს ეს თვეები.

მოხუცი ქალი: ახლა სხვა ვერაფერი მოვიფიქრე. მიდი რა, გამართე...

მოხუცი კაცი: აჰა, შენი თებერვალი!

კაცი სტენ ლორელივით¹¹ თავს იფხანს.

მოხუცი ქალი (იციინის და ტაშს უკრავს): ეგ არის, გმადლობ, გმადლობ, ძვირფასო. ძალიან საყვარელი ხარ, ჩემო კარგო, (ეხვევა) უნიჭიერესი, რომ მოგენდომებინა, სულ მცირე, უფროსი მარშალი მაინც იქნებოდი...

მოხუცი კაცი: შვეიცარი ხომ ვარ, სახლების მარშალი!..

პაუზა.

მოხუცი ქალი: მომიყევი რა, ის ამბავი, შენ რომ იცი: „ჰოდა, ვი...“

მოხუცი კაცი: ისევ?.. ყელში ამომივიდა... „ჰოდა, ვი...“ ისევ ეს... სულ ერთი და იგივეს მთხოვ!.. „ჰოდა, ვი...“ ეს ხომ მოსაწყენია... 75 წლის გამნავლობაში, რაც ჩვენ ცოლ-ქმარი ვართ, ყოველ საღამოს, აბსოლუტურად ყოველ საღამოს, ერთი და იგივე ამბავს მაყოლებ, ერთი და იგივე ადამიანებს, ერთი და იგივე თვეებს ვანსახიერებ, სულ ერთი და იგივე... მოდი რა, სხვა რამეზე ვილაპარაკოთ...

მოხუცი ქალი: მე კი არ მბეზრდება, საყვარელო, ეს შენი ცხოვრებაა და ძალიან მალეღვებს!

მოხუცი კაცი: უკვე ზეპირად იცი.

მოხუცი ქალი: გითხრა, რა ხდება, თითქოს ყველაფერი ერთ წამში მავინყდება... ყოველ საღამოს გონება მიცარიელდება... ხო, ჩემო კარგო, ამას განგებ ვაკეთებ, სასაქმებელს ვსვამ და ვიცლები, შენთვის ვიცლები, ჩემო ოქრო, ყოველ საღამოს ვინმინდები, ვახლდები... მიდი, დაიწყე, გთხოვ.

მოხუცი კაცი: თუ ასე გინდა...

მოხუცი ქალი: მიდი რა, მოყევი შენი ამბავი... ის ხომ ჩემიცაა. რაც შენია, ის ჩემიც არის! „ჰოდა, ვი...“

მოხუცი კაცი: „ჰოდა, ვი...“ ძვირფასო...

მოხუცი ქალი: „ჰოდა, ვი...“ საყვარელო...

მოხუცი კაცი: „ჰოდა, ვიარეთ, ვიდრე რკინის ლოხეს არ მივაღებთ. საათების, დღეების, ღამეების, კვირების გალუმპულები და გათოშილები...“

მოხუცი ქალი: „თვეების...“

მოხუცი კაცი: „...იმ წვიმაში... ყურები, ფეხები, მუხლები, ცხვირები, კბილები გვიცახცახებდა. მას აქეთ ოთხმოცი წელი გავიდა. არ შეგვიშვეს... ბალის კარი მაინც გაეღოთ...¹²“

პაუზა.

მოხუცი ქალი: „ბაღში ბალახიც კი სველი იყო.“

მოხუცი კაცი: „და იყო ბილიკი, რომელიც პატარა მოედნისკენ მიდიოდა, შუაში სოფლის ეკლესია იდგა...¹³“ ის სოფელი სად იყო, გახსოვს?

მოხუცი ქალი: არა, ოქრო, აღარ მახსოვს.

მოხუცი კაცი: იქამდე როგორ ვიარეთ? სად იყო გზა? იმ ადგილს, მე მგონი პარიზი ერქვა...

მოხუცი ქალი: პარიზი არასდროს არსებობდა, ჩემო პატარა.

მოხუცი კაცი: არა, ეს ქალაქი დაინგრა, ე.ი. არსებობდა... რადგან ჩაქრა, სინათლის ქალა-

ქიც იყო... ყველაფერი ოთხასი ათასი წლის წინათ მოხდა...¹⁴ დღეს მისგან სიმღერის გარდა არაფერი დარჩა.

მოხუცი ქალი: ნამდვილი სიმღერა? უცნაურია, რომელი სიმღერა?

მოხუცი კაცი: იავნანა, ალეგორია: „პარიზი მუდამ პარიზად დარჩება“¹⁵.

მოხუცი ქალი: იქ ბალით მივედით? შორს იყო?

მოხუცი კაცი (დაბნეული ჩაფიქრდება): სიმღერა?.. წვიმა?..

მოხუცი ქალი: რა ნიჭიერი ხარ, ცხოვრებაში ოდნავ ამბიციური რომ ყოფილიყავი, შეიძლება, მთავარი მეფე, მთავარი ჟურნალისტი, მთავარი მსახიობი, მთავარი მარშალი გამოსულიყავი... სამწუხაროდ, ყველაფერი წყალში ჩაიყარა... შავი წყლის მორევში... შავ მორევში... დამიჯერე....

პაუზა.

მოხუცი კაცი: „ჰოდა, ვი...“

მოხუცი ქალი: ჰო! გააგრძელე... მოყევი...

მოხუცი კაცი: (ქალის უაზრო ხითხითი თანდათან ხარხარში გადაიზრდება; კაციც იცინის) ისეთი სამასხრო ამბავი იყო, სიცლისაგან მუცლები გვტკიოდა... ის მასხარა, მიწაზე გართხმული მოხობავდა, მუცელმოშვლეპილი, ღიპიც ქონდა... ბრინჯით სავსე ჩემოდანს მოათრევდა; ბრინჯი მიწაზე გაიბნა... მასხარაც ბრინჯს გაერია... ვიცინეთ, ვიცინეთ, ვიცინეთ, სასაცილო მუცელი ჰქონდა, მუცელზეაკრული და

მინაზე გაბნეული სანყალი ბრინჯის ამბავი...
შიშველი მუცელი, ყველგან ბრინჯი, ვიცინეთ,
დედიშობილა მასხარა, ვიცინეთ...

მოხუცი ქალი (სიცილით): მას დავცინოდით,
სულ შიშველი მოვიდა, ჩემოდნით, ბრინჯით
სავსე ჩემოდნით, ბრინჯი მუცელზე, მინაზე...

მოხუცები (იცინიან): ვიცინეთ, აჰ! ვიც...
ჰა!... ჰა!... ვიც... ვი... ვი... სასაცილო, შიშველი
მუცელი... ბრინჯი... ბრინჯი... (რაღაც ესმით.)
ვი... შიშველი მუცელი... ვი... ჩემოდანი... (მოხ-
უცები ნელ-ნელა მშვიდდებიან) ჰა!... ჰა!... ვი...
ვი... ჰა!... ვი... ვიც...

მოხუცი ქალი: ესეც შენი ძვირფასი პარიზი.

მოხუცი კაცი: შენზე უკეთ ამას ვინ იტყოდა.

მოხუცი ქალი: შენ ისეთი კარგი ხარ, საყ-
ვარელო, ისეთი კარგი, შენც მშვენივრად იცი,
ისეთი, ისეთი, რომ თავისუფლად შეგეძლო ცხ-
ოვრებაში რაღაც უფრო დიდისთვის მიგელნია,
ვიდრე უბრალო სერჟანტობაა.

მოხუცი კაცი: ვიყოთ უბრალოები და მცი-
რედით დავკმაყოფილდეთ...

მოხუცი ქალი: შენს მოწოდებაზე უარი თვი-
თონ ხომ არ თქვი?

მოხუცი კაცი (უეცრად ატირდება): მე თვი-
თონ, მე ვთქვი უარი? ო! დედიკო, დედიკო სადა
ხარ? სადა ხარ დედა?... ჰი, ჰი, ჰი. მე ხომ ობო-
ლი ვარ¹⁶. (ოხრავს) ...ობოლი, ობოლი...

მოხუცი ქალი: ნუ გეშინია, შენთან არა ვარ?

მოხუცი კაცი: ო! არა, სემირამიდა, ძვირ-
ფასო. შენ, დედაჩემი არა ხარ... ობოლი ვარ,
ობოლი, ვინ დამიფარავს?

მოხუცი ქალი: მე ხომ შენს გვერდით ვარ,
ძვირფასო.

მობუცი კაცი: ეს სულ სხვა რამეა... ჩემი დედიკო მინდა, არა, შენ არა ხარ ჩემი დედიკო...

მობუცი ქალი (ეფერება): ნუ ტირი, გულს მიკლავ, ჩემო პატარა.

მობუცი კაცი: აა, აა! მომეშვი, აა, აა! განადგურებული ვარ, მანუხებს, ჩემი მომავალი მანუხებს... მომავალი აღარ მაქვს, დაინგრა.

მობუცი ქალი: დაწყნარდი!

მობუცი კაცი (ბავშვივით პირდაღებული ქვითინებს): ობოლი ვარ... ობოლი...

მობუცი ქალი (ცდილობს ალერსით დაამშვიდოს): ჩემო ობოლო, ჩემო პატარა, გულს რატომ მტკენ, საყვარელო.

ქალი მოსულიერებულ კაცს მუხლებზე არწევს.

მობუცი კაცი (ქვითინებს): აა, აა! დედიკო მინდა! სად არის ჩემი დედიკო? დედა აღარ მყავს.

მობუცი ქალი: მე შენი ცოლი ვარ და ახლა მე ვარ შენი დედიკო¹⁷.

მობუცი კაცი (ცოტა დათმობით): ტყუილია, მე ობოლი ვარ, აა, აა!

მობუცი ქალი (ისევ არწევს): ჩემი პანანუნა ობოლი, ჩემი ობოლა, პატარა ობოლა...

მობუცი კაცი (ისევ გაბუტულია და ტირილს უმატებს): არა... არ მინდა, არ მინდა-ა-ა...

მობუცი ქალი (ღიღინებს): ობოლი-ი, ობოლა-ა, ობოლი-ლი, ობოლა-ლა...

მობუცი კაცი: არა-ა-ა, არა-ა-ა!

მოხუცი ქალი (იგივეს იმეორებს): ლა ლა ლა-
ლა, ლა ლა ლა-ლა, ობო-ლი-ლი, ობოლა-ლა...
ობოლი-ლი-ლი-ლი-ლი, ობოლა-ლა-ლა-ლა-ლა...

მოხუცი კაცი: აა, აა, აა, აა... (სლუკუნებს
და ნელ-ნელა მშვიდდება.) სად არის ჩემი დე-
დიკო?

მოხუცი ქალი: ზეცაში... ყვავილნარში გე-
ლოდება და თვალს გადაევნებს; ნუ ტირი, თორემ,
დედასაც აატირებ!

მოხუცი კაცი: ესეც ტყუილია... ტყუილი...
არც მიყურებს და არც მელოდება. მთელი ცხოვ-
რება ობოლი ვარ, არც შენ ხარ დედაჩემი...

მოხუცი ქალი (კაცი თითქოს დამშვიდდა):
კარგი, დანყნარდი, თავს ასეთ მდგომარეო-
ბაში ნუ იგდებ... შენ იმდენი ღირსება გაქვს,
ჩემო პატარა მარშალო... მოინმინდე ცრემლები,
სალამოს სტუმრები მოვლენ... ასე, არ უნდა გნა-
ხონ... შენ არ ხარ განადგურებული და დაღუ-
პული, შენ მათ ყველაფერს ეტყვი, აუხსნი, შენ
ხომ გაქვს სათქმელი... შენ არ ამბობდი, ყველას
ყველაფერს ვეტყვიო?! უნდა იცოცხლო და შენი
საქმისთვის უნდა იბრძოლო!

მოხუცი კაცი: სათქმელი მაქვს, მართალი
ხარ, სათქმელი და ვიტყვი კიდეც, ვიბრძოლებ,
ჩემს სათქმელს ყველას, კაცობრიობას, მთელს
სამყაროს გავაგებინებ¹⁸...

მოხუცი ქალი: კაცობრიობას, ძვირფასო,
შენს სათქმელს...

მოხუცი კაცი: ხო, მართალია, მართალი...

მოხუცი ქალი (ცხვირს და ცრემლებს წმენდს
მოხუცს): ესეც ასე... ნამდვილი მამაკაცი ხარ,
ნამდვილი ჯარისკაცი, სერჟანტი...

მოხუცი კაცი (ქალის მუხლებიდან ადგა და გაიარ-გამოიარა, ალელეებით): სხვებივით კი არ ვარ, მე ჩემი იდეალი გამაჩნია ცხოვრებაში. შენი თქმისა არ იყოს, შეიძლება ნიჭიერიც ვარ, გონიერიც, მაგრამ შნო არ მაქვს. სერჟანტის მოვალეობას ძალიან კარგად გავართვი თავი, მუდამ მონოდების სიმაღლეზე ვიდექი, ღირსეულად, და ეს საკმარისიც უნდა ყოფილიყო...

მოხუცი ქალი: მაგრამ არა შენთვის, შენ ხომ სხვებს არ გავხარ, მათზე გაცილებით დიდი ხარ. უკეთესი იქნებოდა, რომ სხვებსაც ისევე უგებდე, როგორც მათ ესმით ერთმანეთის. ყველას ნაეჩხუბე: მეგობრებს, დირექტორებს, მარშლებს, შენ ძმასაც კი.

მოხუცი კაცი: ჩემი ბრალი არ არის, სემირამიდა, კარგად იცი, რაც მითხრა.

მოხუცი ქალი: რა გითხრა?

მოხუცი კაცი: მან თქვა: „მეგობრებო, მე რწყილი მყავს. იმედი მაქვს, გენვევით და რწყილს დაგიტოვებთ.“

მოხუცი ქალი: გასაგებია, მაგრამ ყურადღება არ უნდა მიგექცია. კარელს რისთვის ეჩხუბე, აქაც ის იყო დამნაშავე?

მოხუცი კაცი: ახლა არ გამაგიჟო, არ შემშალო, რა თქმა უნდა, მისი ბრალი იყო. ერთ სალამოს მოვიდა და განაცხადა: „ნარმატებებს გისურვებთ! მე თქვენ ნარმატების მომტანი სიტყვა უნდა გითხრათ, მაგრამ არ გეტყვით, მხოლოდ გავიფიქრებ“ და ძროხასავით გაიცინა.

მოხუცი ქალი: ის ხომ კეთილია, საყვარელი. ასეთი ახირებული არ უნდა იყო.

მოხუცი კაცი: არ მიყვარს ამგვარი ხუმრობა.

მოხუცი ქალი: თავისუფლად შეგეძლო მთავარი მეზღვაური, მთავარი ებენისტი, მთავარი დირიჟორი გამხდარიყავი.

ხანგრძლივი პაუზა. ცოტა ხნით უძრავად, გაქვავებულები სხედან.

მოხუცი კაცი (თითქოს ოცნებაში): „ეს იყო ბალის ბოლოში. ...იყო... იქ იყო... იქ იყო...“ რა იყო, ძვირფასო?

მოხუცი ქალი: ქალაქი პარიზი!

მოხუცი კაცი: „ბოლოში, ქალაქ პარიზის ბოლოში იყო...“ იყო... რა იყო?

მოხუცი ქალი: რა იყო, საყვარელო? ვინ იყო?

მოხუცი კაცი: ისეთი მშვენიერი ადგილი, არაჩვეულებრივი ადგილი იყო.

მოხუცი ქალი: ფიქრობ, კარგი ამინდი იყო?

მოხუცი კაცი: ადგილი აღარ მახსოვს.

მოხუცი ქალი: ტვინს ნუ იჭყლეტ.

მოხუცი კაცი: ეს ყველაფერი ისე შორს არის... ველარც ვიხსენებ... ნეტავ სად იყო?

მოხუცი ქალი: რა?

მოხუცი კაცი: ის რაც მე... იქ... სად? და ვინ?

მოხუცი ქალი: სადაც არ უნდა იყოს ეს, ყველგან გამოგყვები მეც, გამოგყვები, საყვარელო, შენ.

მოხუცი კაცი: ოჰ! აზრის გადმოცემა ისე მიჭირს, მაგრამ ყველაფერი უნდა ვთქვა.

მოხუცი ქალი: ეს წმინდათაწმინდა მოვალეობაა. გაჩუმების უფლებაც არ გაქვს. კაცო-

ბრიობას აუცილებლად უნდა ამცნო ეს. მთელი სამყარო შენ გელოდება.

მოხუცი კაცი: ჰო, ჰო, ვიტყვი.

მოხუცი ქალი: საბოლოოდ გადანყვიტე? ასეც უნდა იყოს.

მოხუცი კაცი: დალიე რა ჩაი.

მოხუცი ქალი: ცხოვრებაში ცოტა მეტი ნებისყოფა რომ გქონოდა, შეიძლებოდა მთავარი ორატორი გამხდარიყავი. ვამაყოფ შენით, ბედნიერი ვარ, რომ ბოლოს და ბოლოს გადანყვიტე მთელ ქვეყანას დაელაპარაკო, მთელ ევროპას, ყველა კონტინენტს.

მოხუცი კაცი: ვაი, რომ ძალიან მიჭირს ჩემი აზრის გამოხატვა, ამის უნარი არ მაქვს.

მოხუცი ქალი: დაიწყე და უნარიც მოვა, როგორც სიცოცხლე და სიკვდილი. სწორედ ლაპარაკისას პოულობ აზრებს, სიტყვებს, საკუთარ თავს საკუთარ სიტყვებში, ქალაქს, ბაღს, ასე ყველაფრის პოვნა შეიძლება და ობოლიც აღარ ხარ¹⁹.

მოხუცი კაცი: მე კი არ ვილაპარაკებ, ნამდვილ ორატორს მოვიწვევ და ჩემი სახელით ილაპარაკებს, აი, ნახავ.

მოხუცი ქალი: ე.ი. ყველაფერი ამ საღამოს მოხდება. ყველა დაპატიჟე? ყველა მონაწილე, ყველა მესაკუთრე და მეცნიერი?

მოხუცი კაცი: დიახ, ყველა მესაკუთრე და მეცნიერი.

პაუზა.

მოხუცი ქალი: დარაჯები? ეპისკოპოსები? ქიმიკოსები? მექვაბეები? მევიოლინეები? დელე-

გატეები? პრეზიდენტები? პოლიციელები? ვაჭრები? სახლები? კალმისტრები? ქრომოსომები?

მოხუცი კაცი: დიახ, დიახ, ფოსტალიონები, მიკიტნები და ხელოსნები, ყველა, ვინც ოდნავ მაინც არის მეცნიერი და რაღაც მაინც გააჩნია.

მოხუცი ქალი: ბანკირები?

მოხუცი კაცი: ისინიც დავპატიჟე.

მოხუცი ქალი: პროლეტარები? ჩინოვნიკები? სამხედროები? რევოლუციონრები? რეაქციონრები? ფსიქიატრები და მათი გიჟები?

მოხუცი კაცი: რა თქმა უნდა, ყველა, რადგან საერთო ჯამში, ისინი ყველა მეცნიერი და მესაკუთრეა.

მოხუცი ქალი: ნუ ნერვიულობ, საყვარელო, თავს არ მოგაბეზრებ, მაგრამ შენც ისეთივე დაუდევარი ხარ, როგორც ყველა გენიოსი. ეს შეკრება ძალზე მნიშვნელოვანია და აუცილებელია, რომ ამ საღამოს ყველა მოვიდეს. მერედა, მათი იმედი გაქვს, დაგპირდნენ?

მოხუცი კაცი: დალიე რა ჩაი, სემირამიდა.

პაუზა.

მოხუცი ქალი: პაპი, პეპლები და პაპარაცებიც?

მოხუცი კაცი: ისინიც მოვიწვიე. (პაუზა) მათ უნდა ვამცნო ჩემი სათქმელი. მთელი ცხოვრება სული მეხუთებოდა, ახლა შენი და ორატორის წყალობით, ყველაფერს გაიგებენ, მხოლოდ თქვენ გესმით ჩემი.

მოხუცი ქალი: როგორ ვამაყობ შენით.

მოხუცი კაცი: კრება სულ მალე დაიწყება.

მოხუცი ქალი: ე.ი. მართალია, ამ სალამოს მოვლენ? ბოლოს და ბოლოს აღარ იტირებ. მეცნიერები და მესაკუთრეები ხომ დედიკოებს და მამიკოებს ცვლიან. (სიჩუმე) არ შეიძლება, კრება გადავდოთ? ძალიან ხომ არ დავიღლებით?

მღელვარება მატულობს. რამდენიმე წუთის განმავლობაში კაცი, ქალის ირგვლივ, ახალფეხადგმული ბავშვივით ტრიალებს. ერთ-ორ ნაბიჯს გადადგამს ერთ-ერთი კარისკენ, შემდეგ ისევ წრიალს იწყებს.

მოხუცი კაცი: როგორ გგონია, მართლა დავიღლებით?

მოხუცი ქალი: შენ ცოტა გაციებული ხარ.

მოხუცი კაცი: როგორ გადავდოთ ეს კრება?

მოხუცი ქალი: სხვა სალამოს მოვანყოთ. შეგიძლია დარეკო.

მოხუცი კაცი: ძალიან გვიანაა, ალბათ გზაში არიან.

მოხუცი ქალი: მეტი სიფრთხილე გმართებდა.

წყალზე ნავის სრიალის ხმა ესმით.

მოხუცი კაცი: მე მგონი, უკვე მოვიდნენ (ნავის წყალზე სრიალის ხმა უფრო ძლიერად ისმის)... დიახ, მოვიდნენ.

ქალი დგება და კოჭლობით მიდის.

მოხუცი ქალი: ალბათ ორატორია.

მოხუცი კაცი: ჯერ არ მოვიდოდა. ვილაც
სხვა უნდა იყოს. (ზარის რეკვა ისმის) ა!

მოხუცი ქალი: ო!

მოხუცები ნერვიულად, ლაპარაკით მიემართებიან კარისკენ, რომელიც მარჯვნივ სიღრმეშია დამალული.

მოხუცი კაცი: დროზე...

მოხუცი ქალი: მთლად განეწილი ვარ... ცოტა
მოიცადე.

ქალი თმას და კაბას ისწორებს, სქელ წითელ წინდებს იწევს და თან კარებისკენ კოჭლობით მიემართება.

მოხუცი კაცი: თავი აქამდე ვერ მოინესრიგე...
საკმაო დრო გქონდა.

მოხუცი ქალი: რა ცუდად მაცვია... ეს ძველი
კაბაც სულ დაჭმუჭნულა.

მოხუცი კაცი: სხვა რა საქმე გქონდა, ვერ
გააუთოვე? დროზე, ხალხს ნუ ალოდინებ!

ქალი ბუზღუნით მიყვება კაცს სიღრმეში მდებარე კარისკენ. რამდენიმე წამი მოხუცები სცენაზე არ ჩანან. ისმის კარის გაღების და დახურვის ხმა. ოთახში ვილაც შემოდის.

მოხუცი კაცის (ხმა): გამარჯობათ მადამ, შემობრძანდით გეთაყვა. ძალიან გაგვეხარდა თქვენი მობრძანება. ეს ჩემი ცოლია.

მოხუცი ქალის (ხმა): გამარჯობათ ქალბატონო, ბედნიერი ვარ, რომ გაგიცანით. ფრთხილად, შლაპა არ გააფუჭოთ. მოიხსენით ქინძისთავი, ასე უფრო მოხერხებულად იგრძნობთ თავს. ნუ გეშინიათ, არავინ დააჯდება.

მოხუცი კაცის (ხმა): აქ დადეთ თქვენი ქურქი. მოგეხმარებით, არა, არ გაფუჭდება.

მოხუცი ქალის (ხმა): ო! რა ლამაზი კოსტუმია. სამფეროვანი კოფთა. ორცხობილას ხომ არ მიირთმევთ? ...სულაც არ ხართ მსუქანი, ... უფრო ფუმფულა. დადეთ ქოლგა.

მოხუცების: (ხმა) მომყევით გეთაყვა.

მოხუცი კაცი: (ზურგიდან) მე ერთი უბრალო კაცი ვარ.

ქალი და კაცი ერთდროულად ბრუნდებიან. ოდნავ გვერდზე გადგებიან და უხილავ სტუმარს შუაში ჩაიყენებენ, ავანსცენისკენ მიემართებიან, თან უხილავ ქალბატონს ესაუბრებიან.

მოხუცი კაცი (უხილავ ქალბატონს): კარგი ამინდი შეგესწროთ.

მოხუცი ქალი (მასვე): ძალიან ხომ არ დაილაღეთ?... დიახ, ოდნავ.

კაცი სცენის მარჯვენა მხარეს მიემართება და №8 კარიდან გადის.

მოხუცი კაცი (მასვე): წყლის ნაპირას...

მოხუცი ქალი (მასვე): დიდად დაგვავალეთ.

მოხუცი კაცი (მასვე): ნავალ, სკამს მოგართმევთ.

მოხუცი ქალი (ქალბატონს): ჯერ-ჯერობით, ამ სკამზე დაბრძანდით (ის მიუთითებს ორიდან ერთ-ერთ სკამზე და ჯდება მეორეზე, უხილავი ქალბატონის მარჯვნივ.) ცხელა არა? (ქალბატონს უღიმის) რა ლამაზი მარაო გაქვთ! ჩემმა ქმარმა... (კაცი სკამით №7 კარიდან ხელახლა გამოჩნდა.) 13 წლის წინ... დაბადების დღეზე... მეც მაჩუქა ასეთი, ახლაც კი მაქვს... (კაცი სკამს უხილავი ქალის მარცხნივ დგამს.)

კაცი მოტანილ სკამზე ჯდება, უჩინარი ქალბატონი მოხუცების მუაში აღმოჩნდება. კაცი უხილავი ქალბატონისკენ სახითაა მიბრუნებული, თავს აქნევს, ხელებს ისრებს და ისეთი სახე აქვს, თითქოს ქალბატონის ლაპარაკს ყურს უგდებს. ქალი იგივეს იმეორებს.

მოხუცი კაცი: ქალბატონო, ცხოვრება ადვილი არასოდეს ყოფილა.

მოხუცი ქალი (ქალბატონს): მართალი ბრძანდებით... (ქალბატონი ლაპარაკობს) მართალს ბრძანებთ. მე მგონი, დროა, ყველაფერი შეიცვალოს. (ტონს იცვლის) ამას, ალბათ ჩემი ქმარი გააკეთებს... თუმცა ყველაფერს თავად მოგიყვებათ.

მოხუცი კაცი (ქალს): გაჩუმდი, გაჩუმდი, სემირამიდა, ჯერ ადრეა ამაზე ლაპარაკი. (ქალბატონს) მაპატიეთ, ქალბატონო, თქვენი ცნობისმოყვარეობა რომ გავაღვიძე. (ქალბატონი რეაგირებს) ძალას ნუ დამატანთ, ჩემო ძვირფასო.

მოხუცები იღიმებიან, იცინიან კიდევ. უხილავი ქალბატონის მიერ მოყოლილი ამბით მეტად კმაყოფილები ჩანან. პაუზა, უხერხული სიჩუმე. სახეებმა გამომეტყველება დაკარგეს.

მოხუცი კაცი (ქალბატონს): დიახ, თქვენ სრულიად მართალი ბრძანდებით.

მოხუცი ქალი: დიახ, დიახ, ო! რატომაც არა²⁰.

მოხუცი კაცი: დიახ, დიახ, დიახ. სრულებითაც არა.

მოხუცი ქალი: დიახ?

მოხუცი კაცი: არა?!

მოხუცი ქალი: ეს თქვენ ბრძანეთ.

მოხუცი კაცი (იცინის): შეუძლებელია.

მოხუცი ქალი (იცინის): ო! (კაცს) რა მომხიბვლელია.

მოხუცი კაცი (ქალს): ქალბატონმა მოგაჯადოვა. (ქალბატონს) გილოცავთ!...

მოხუცი ქალი (ქალბატონს): ახლანდელ ახალგაზრდებს არ გავხართ.

მოხუცი კაცი (გაჭირვებით იხრება, რათა უხილავი საგანი აიღოს, რომელიც ქალბატონს

დაუვარდა) თავი დაანებეთ,... ნუ წუხდებით...
მე ავიღებ.... ო, თქვენ ჩემზე სწრაფი ყოფილ-
ხართ!

კაცი წამოდგება.

მოხუცი ქალი (მოხუცს): ასაკით არ შეგეფ-
ერება!

მოხუცი კაცი (ქალბატონს): სიბერე საკმაოდ
მძიმე ტვირთია. გისურვებთ, არასოდეს დაბერ-
დეთ.

მოხუცი ქალი (მასვე): მერწმუნეთ, გულ-
წრფელად გეუბნებათ. (კაცს) საყვარელო!

რამდენიმე წამი სიჩუმე ჩამო-
ვარდება; მოხუცები, პროფილით
დგანან დარბაზისკენ, ქალბატონს
უცქერენ და თან თავაზიანად
ულიმიან, შემდეგ მაყურებლისკენ
აბრუნებენ თავს, მერე ხელახლა
ქალბატონს უბრუნდებიან; სტუმრის
შეკითხვებს ხან ღიმილით, ხანაც
რეპლიკებით პასუხობენ.

მოხუცი ქალი: რა კარგია, რომ ჩვენს მიმართ
ასეთი ყურადღებიანი ბრძანდებით.

მოხუცი კაცი: ჩვენ განმარტოებით ვცხოვ-
რობთ.

მოხუცი ქალი: მიუხედავად იმისა, რომ ჩემი
ქმარი კაცთმოძულე არ არის, მარტოობა უყ-
ვარს.

მოხუცი კაცი: რადიო გვაქვს, ანკესით თევზს ვიჭერთ ხოლმე და გემებიც დროზე მოდიან.

მოხუცი ქალი: კვირაობით, დილით ორი გემი მოდის, სალამოს ერთი, კერძო ნავეებზე რომ არაფერი ვთქვათ.

მოხუცი კაცი (ქალბატონს): კარგ ამინდში მთვარე ჩანს.

მოხუცი ქალი (მასვე): ჩემი ქმარი შვეიცარიის ფუნქციებს მშვენივრად ასრულებს, მთელი დღე ამითაა დაკავებული. მართალია, მის ასაკში ურიგო არ იქნებოდა დაესვენა.

მოხუცი კაცი (ქალბატონს): საფლავში დასვენებაც მეყოფა.

მოხუცი ქალი (მოხუცს): ამას ნუ ამბობ, საყვარელო... (ქალბატონს) ბოლო ათი წელია, ხანდახან მეგობრები და ოჯახის დანარჩენი წევრებიც შემოგვივლიან ხოლმე.

მოხუცი კაცი (ქალბატონს): ზამთარში სხვა რა უნდა აკეთო, ბატარეასთან, ხელში კარგი წიგნი და წარსულის მოგონებები.

მოხუცი ქალი (მასვე): უბრალო, მაგრამ ნაყოფიერი ცხოვრება.... დღეში ორ საათს თავის სათქმელზე მუშაობს.

მოხუცებს ზარის ხმა ესმით, რასაც რამდენიმე წუთის განმავლობაში ნავის სრიალის ხმაც ემატება²¹.

მოხუცი ქალი (კაცს): ვილაცაა, მიდი, დროზე!

მოხუცი კაცი (ქალბატონს): მომიტევეთ, ქალბატონო! ერთი წუთით! (ქალს) ნადი, ჩქარა, სკამები მოიტანე!

მოხუცი ქალს (ქალბატონს): ახლავე მოვალ,
ძვირფასო.

ისმის ზარის ძლიერი ხმა.

მოხუცი კაცი (გაჭირვებით, მაგრამ სწრაფად მარჯვენა კარისაკენ მიეშურება, ამ დროს ქალი მარცხნივ დამალულ კარისკენ კოჭლობით მიემართება): ძალიან გავლენიანი კაცია. (კაცი ჩქარობს, ალებს №2 კარს, რომლითაც უხილავი პოლკოვნიკი შემოდის; ურიგო არ იქნება, ამ დროს ისმოდეს საყვირის ან სიმღერის, „გაუმარჯოს პოლკოვნიკს,“ ხმა. კარის გაღებისთანავე, უჩინარი პოლკოვნიკის დაწახვაზე კაცი ერთ ადგილზე შეშდება და სამხედრო სალამს აძლევს) ა! პოლკოვნიკო! (მოხუცს მისასალმებლად ხელი შუბლთან მიაქვს) გამარჯობა, პოლკოვნიკო... დიდი პატივია ჩემთვის... მე... მე... არ მოველოდი, თუმცა... მოკლედ, ვამაყობ რომ თქვენისთანა გმირს ჩემს მოკრძალებულ სახლში ვხედავ. (ის ართმევს უხილავ ხელს, რომელსაც უჩინარი პოლკოვნიკი უწვდის და საზეიმოდ იხრება, შემდეგ სწორდება) გულახდილად რომ გითხრათ, თავს ნამდვილად ვთვლი თქვენი სტუმრობის ღირსად. დიახ, ღირსად და არა უღირსად.

ქალი მარჯვნიდან სკამით გამოჩნდა.

მოხუცი ქალი: ო! რა მშვენიერი ფორმაა! რა ჩინ-მედლები! ეს ვინ არის საყვარელო!

მოხუცი კაცი (ქალს): რა, ვერ ხედავ, რომ პოლკოვნიკია?

მობუცი ქალი (იგივეს): ა!

მობუცი კაცი (ქალს): სამხრეებს შეხედე! (პოლკოვნიკს) გაიცანით, ჩემი მეუღლე, სემირამიდა. (ქალს) ახლოს მოდი, რომ პოლკოვნიკს შენი თავი წარუდგინო. (ქალი უახლოვდება, ერთი ხელით სკამს მიათრევს, რევერანსს აკეთებს, სკამს ხელს არ უშვებს. პოლკოვნიკს) ჩემი ცოლი. (ქალს) პოლკოვნიკი.

მობუცი ქალი: მოხიბლული ვარ, პოლკოვნიკო. კეთილი იყოს თქვენი მობრძანება. თქვენ, ჩემი ქმრის ამხანაგი ბრძანდებით. ის მარშალი გახლავთ.

მობუცი კაცი (უკმაყოფილოდ): სერჟანტი... სერჟანტი...

მობუცი ქალი (უხილავი პოლკოვნიკი ქალს ხელზე ეამბორება, რაც ქალის მოქმედებიდან ჩანს. ქალს ხელი თითქოს პოლკოვნიკის ტუჩებთან მიაქვს და გრძნობამორეული სკამს ხელიდან უშვებს): რა თავაზიანია... როგორ ეტყობა, რომ დიდი ვინმეა. (იღებს სკამს; პოლკოვნიკს) ინებეთ თქვენი სკამი...

მობუცი კაცი (უხილავ პოლკოვნიკს): გთხოვთ, გამომყევით... (სცენის წინ მოემართებიან, ქალი სკამს მიათრევს; პოლკოვნიკს) დიახ, ჩვენ სტუმარი გვყავს და სხვებსაც ველოდებით!

ქალი სკამს მარჯვნივ დგამს.

მობუცი ქალი (პოლკოვნიკს): დაბრძანდით, გთხოვთ.

მობუცი კაცი ორ უხილავ პერსონაჟს ერთმანეთს წარუდგენს.

მოხუცი კაცი: ჩვენი მეგობარი, ახალგაზრდა ქალბატონი.

მოხუცი ქალი: კარგი მეგობარი...

მოხუცი კაცი: პოლკოვნიკი... გამოჩენილი სამხედრო პირი.

მოხუცი ქალი (პოლკოვნიკს უჩვენებს სკამს, რომელიც ესესაა შემოიტანა): ამ სკამზე დაბრძანდით.

მოხუციკაცი (ქალს): ვერხედავ, რომ პოლკოვნიკს ქალბატონის გვერდზე უნდა დაჯდომა...

უხილავი პოლკოვნიკი სცენის მარცხნიდან მესამე სკამზე ჯდება, იგულისხმება, რომ უხილავი ქალბატონი მეორე სკამზე ზის. მათ შორის ჩუმი საუბარი იბმება. მოხუცები სტუმრების სკამების უკან დგანან აქეთ-იქეთ, კაცი - ქალბატონის მარცხნივ, ქალი - პოლკოვნიკის მარჯვნივ.

მოხუცი ქალი (სტუმრების საუბარს უსმენს.):
ოჰ! ოჰ! რა მაგარია.

მოხუცი კაცი (იგივეს აკეთებს): შესაძლოა...
(ქალი და კაცი სტუმრების თავს ზემოთ ერთმანეთს რალაცას ანიშნებენ და თან საუბარს უგდებენ ყურს. თანდათან უკმაყოფილო სახეები უხდებათ) დიახ, პოლკოვნიკო, ჯერ არ მოსულან, მაგრამ მოვლენ. ჩემს მაგივრად ორატორი ილაპარაკებს და ჩემი სათქმელის მნიშვნელობას განმარტავს. ფრთხილად, პოლკოვნიკო, ამ

ქალბატონის ქმარი შეიძლება წუთინუთზე მოვიდეს.

მობუცი ქალი (კაცს): ვინ არის ეს ბატონი?

მობუცი კაცი (ქალს): ხომ გითხარი, პოლკოვნიკი ვნიკია.

უჩინრად გაურკვეველი რაღაცეები ხდება.

მობუცი ქალი (კაცს): პო, ვიცი.

მობუცი კაცი: მაშინ, რატომ მკითხე?

მობუცი ქალი: რომ ვიცოდე... პოლკოვნიკო, ნამწვავებს მიწაზე ნუ ყრით.

მობუცი კაცი (პოლკოვნიკს): პოლკოვნიკო, პოლკოვნიკო, სულ დამავინწყდა, ბოლო ომი მოიგეთ, თუ წააგეთ?

მობუცი ქალი (უხილავ ქალბატონს): მისი გავლენის ქვეშ ნუ მოექცევით, ჩემო პატარავ.

მობუცი კაცი: აბა, შემომხედეთ, განა ურიგო ჯარისკაცი ვარ? ერთხელ, პოლკოვნიკო, ერთ ბრძოლაში...

მობუცი ქალი: აზვიადებს! რა საჭიროა? (უხილავ პოლკოვნიკს სახელოზე ქაჩავს) ყური დაუგდეთ, ოღონდ მისი გავლენის ქვეშ ნუ მოექცევით, ჩემო კარგო.

მობუცი კაცი (სასწრაფოდ აგრძელებს): სულ მარტომ, ორას ცხრა მოვკალი. მათ ასე იმიტომ ეძახდნენ, რომ გაქცევის მიზნით, ძალიან მაღლა ხტებოდნენ, თუმცა ბუზებზე ბევრნი კი არ იყვნენ, მაგრამ მაინც არ იყო ადვილი. მტკიცე ხასიათის წყალობით, მე ისინი... ო! არა, გთხოვთ, გთხოვთ...

მოხუცი ქალი (პოლკოვნიკს): ჩემი ქმარი არასოდეს ტყუის, მართალია, ასაკში ვართ, მაგრამ პატივისცემას ნამდვილად ვიმსახურებთ.

მოხუცი კაცი (გაშმაგებით პოლკოვნიკს): გმირი ზრდილობიანიც უნდა იყოს, თუ უნდა, რომ სრულყოფილ გმირად იქცეს.

მოხუცი ქალი (პოლკოვნიკს): მე თქვენ კარგახანია გიცნობთ. თქვენგან ამას არ მოველოდი, (ქალბატონს, როცა ნაგების ხმა ისმის) მისგან ამას არ მოველოდი. ჩვენ, ჩვენი ღირსება, საკუთარი თავმოყვარეობა გაგვაჩნია.

მოხუცი კაცი (აკანკალებული ხმით): იარაღის ხმარება ჯერ კიდევ შემოიძლია. (ზარის ხმა) მომიტევეთ, კარს გავაღებ. (ყალბ მოძრაობას აკეთებს. უხილავი ქალბატონის სკამი ყირავდება) ოჰ! მაპატიეთ!

მოხუცი ქალი (მიიჩქარის): ხომ არაფერი გეტკინათ? (მოხუცები უხილავ ქალბატონს წამოდგომაში ეხმარებიან) როგორ დაისვარეთ, ამ მტვერში.

ქალი ქალბატონს მტვერის დაფერთხვაში ეხმარება. ზარი ხელახლა რეკავს.

მოხუცი კაცი: მომიტევეთ, მომიტევეთ. (ქალს) წადი, სკამები მოიტანე.

მოხუცი ქალი: (ორ უხილავ სტუმარს) ერთი წუთით, უკაცრავად.

სანამ კაცი №3 კარს გააღებს, ქალი №5 კარიდან გადის სკამის მოსატანად და №8 კარიდან ბრუნდება²².

მოხუცი კაცი (კარისკენ მიემართება): ჩემი გაცოფება უნდოდა და თითქმის მოახერხა. (კარს ალებს) ო! მადამ, ეს თქვენ ბრძანდებით, თვალებს არ ვუჯერებ და მართალია უკვე... იმედი გადამენურა... და ეს ჩემთვის... ოჰ! ქალბატონო, ქალბატონო... მაინც ვფიქრობდი თქვენზე, მთელი ცხოვრება, მთელი სიცოცხლე, ქალბატონო, თქვენ ხომ ბელს* გეძახდნენ... თქვენმა ქმარმა მითხრა, რასაკვირველია... სრულებით არ შეცვლილხართ... ოჰ! მაინც, მაინც, ცხვირი დაგვრძელებიათ, გაგბუშტვიათ... უცებ ვერც შევნიშნე, ახლა კი ვამჩნევ. საშინლად დაგვრძელებიათ... ოჰ! რა სამწუხაროა! განგებ ხომ არ გიქნიათ... როგორ მოხდა ეს?²³... თანდათანობით... მაპატიეთ, ბატონო და ძვირფასო მეგობარო. ნება მიბოძეთ, ძვირფასი მეგობარი გინოდოთ, თქვენი ცოლი თქვენზე უწინ გავიცანი!... ადრეც ასეთივე იყო, ოღონდ განსხვავებული ცხვირით... გილოცავთ, ბატონო, ჩანს, რომ ერთმანეთი ძალიან გიყვართ. (ქალი №8 კარიდან სკამით ჩნდება) ორი სტუმარი კიდევ მოვიდა, სემირამიდა, კიდევ ერთი სკამია საჭირო. (ქალი სკამს დანარჩენი ოთხის უკან დგამს, შემდეგ გადის №8 კარიდან და №5 კარით ბრუნდება, კიდევ ერთი სკამით, რომელსაც ადრე შემოტანილი სკამის გვერდით მოათავსებს. ამ დროს კაცი თავის ორ სტუმართან ერთად ქალს მიუახლოვდება) აქეთ მობრძანდით, აქეთ, ჩვენ უკვე სტუმრები გვყავს. ახლავე გაგაც-

*Belle – ქართულად ლამაზმანს ნიშნავს(მთარგმნელის შენიშვნა).

ნობთ... მაშ ასე, ქალბატონო... ოჰ! ბელი, ბელი, ქალბატონი ბელი, ასე არ გეძახდნენ? წელში მოხრილხართ კიდეც. ოჰ! ბატონო, ჯერ კიდეც ლამაზია, ამ სათვალეების უკან ისევ მშვენიერი თვალეები იმალება; თმები გათეთრებია, მაგრამ ჭალარაში, დარწმუნებული ვარ, ნაბლისფერი და ცისფერი ურევია... ახლოს მობრძანდით, ახლოს... რა არის ეს, ბატონო? ჩემი ცოლის საჩუქარი? (ქალს რომელიც ეს-ესაა შემოვიდა და სკამი მოიტანა) სემირამიდა, ბელი, ხომ გახსოვს. (ქალს) ჩემი ბავშვობის მეგობარია, მასზე ხშირად გვისაუბრია... და მისი ქმარი... ქმარი. (ისევ უხილავ პოლკოვნიკსა და პირველ ქალბატონს) და მისი ქმარი...

მოხუცი ქალი (რევერანსით ესალმება მათ): ვფიცავ, კარგად გვაცნობს ერთმანეთს. რა კაცია?! გამარჯობათ, ქალბატონო, გამარჯობათ, ბატონო. (ის ორ ახალმოსულს დანარჩენ ორ უხილავ პერსონაჟს წარუდგენს) მეგობრები, დიახ...

მოხუცი კაცი (ქალს): საჩუქარი მოგართვეს.

ქალი საჩუქარს იღებს.

მოხუცი ქალი: ყვავილია, ბატონო? თუ აკვანი? ქლიავის ხე? თუ ყვავი?

მოხუცი კაცი: (ქალს) მშვენივრად ხედავ, რომ ნახატია!

მოხუცი ქალი: ო! რა ლამაზია! გმადლობთ, ბატონო... (პირველ უხილავ ქალბატონს) თუ გნებავთ, შეგიძლიათ ნახოთ, ჩემო ძვირფასო მეგობარო.

მოხუცი კაცი (უჩინარ პოლკოვნიკს): თუ გინდათ, თქვენც ნახეთ.

მოხუცი ქალი (ბელის ქმარს): ექიმო, ექიმო, გულის რევის გრძნობა მაქვს, მაბოყინებს, გული მერევა, ყველაფერი მტკივა, ფეხებს ველარ ვგრძნობ, თვალებზე მცივა, თითებზე მცივა, ღვიძლი მტანჯავს, ექიმო, ექიმო!...

მოხუცი კაცი (ქალს): ეს ბატონი, ექიმი არ არის, ფოტოხელოვანია.

მოხუცი ქალი (პირველ ქალბატონს): თუ დაამთავრეთ მისი თვალიერება, შეგიძლიათ, ჩამოკიდოთ. (კაცს) არა უშავს, მაინც კარგია, თვალისმომჭრელი. (ფოტოხელოვანს) ქათინაურად არ მიიღოთ.

მოხუცები სკამების უკან დგანან, გვერდიგვერდ, თითქოს ზურგით²⁴ ეხებიან ერთმანეთს. კაცი ბელს ელაპარაკება, ქალი ფოტოხელოვანს; დროდადრო, გაისმის რეპლიკა, თავს ხან ერთი, ხან მეორე სტუმრისკენ აბრუნებენ.

მოხუცი კაცი (ბელს): ძალიან ავლელდი... თქვენა ხართ... მიყვარდით, უკვე ასი წელია... როგორ შეცვლილხართ... თუმცა არა, არ შეცვლილხართ... მიყვარდით და ახლაც მიყვარხართ.

მოხუცი ქალი (ფოტოხელოვანს): ო! ბატონო, ბატონო, ბატონო...

მოხუცი კაცი (პოლკოვნიკს): აი, ამ საკითხში გეთანხმები.

მოხუცი ქალი (ფოტოხელოვანს): ო! მართლაც, ბატონო, მართლაც... (პირველ ქალბატონს) გმადლობთ, რომ დაკიდეთ... ბოდიშს გიხდით, თუ შეგანუხეთ.

მუქი ახლა უფრო ძლიერია. უხილავი სტუმრების მოსვლისას ის ნელ-ნელა იმატებს.

მოხუცი კაცი (თითქმის სლუკუნით, ბელს): სადღაა შარშანდელი თოვლი²⁵?

მოხუცი ქალი (ფოტოხელოვანს): ო! ბატონო, ბატონო, ბატონო... ო! ბატონო...

მოხუცი კაცი (ქალბატონს ბელზე მიუთითებს): ქალბატონი, ჩემი უმცროსი მეგობარი... ძალიან მომხიბვლელია.

მოხუცი ქალი (ფოტოხელოვანს პოლკოვნიკზე მიუთითებს): დიახ, სახელმწიფო კავალერიის პოლკოვნიკი გახლავთ. ჩემი ქმრის ამხანაგია... ხელქვეითი, ჩემი ქმარი მარშალია...

მოხუცი კაცი (ბელს): ყურები ადრე ასეთი წვეტიანი არ გქონდათ!... ლამაზო, გახსოვთ?

მოხუცი ქალი (ფოტოხელოვანს, პრანჭვით, სასაცილოდ; ამ სცენაში ის, რაც შეიძლება, სასაცილო უნდა იყოს. ქალი განგებ აჩენს სქელ წითელ წინდებს, უამრავ ქვედაბოლოს, ანახებს დაფლეთილ ქვედატანს, აშიშვლებს ბებერ მკერდს; თეძოებზე ხელებდანყობილი თავს უკან აგდებს, ეროტიკულ ხმებს გამოსცემს, ფეხებს კი განზე წევს და ძველი კახპას სიცილით იცინის; მისი თამაში სრულიად განსხვავდება წინანდელი და მომდევნო თამაშის-

გან. ამ სიცილმა ქალის ფარული გუნება უნდა გამოაჩინოს. თამაში უცებ წყდება²⁶): ჩემს ასაკს აღარ შეეფერება... თქვენ როგორ ფიქრობთ?

მოხუცი კაცი (ბელს, ძალიან რომანტიკულად): ჩვენს დროს მთვარე ცის ცოცხალი მნათობი იყო. ა! დიახ, დიახ, გამბედაობა რომ მოგვეკრიფა, ისევ ბავშვები გავხდებოდით. გინდათ, დაკარგული დრო დავიბრუნოთ... ნეტავ, კიდევ შეგვიძლია? შეგვიძლია კი? ო! არა, არა, აღარ შეგვიძლია. დრომ მატარებელივით ჩქარა გაიარა და კანზე რელსები დაგვიტოვა. როგორ გგონიათ, პლასტიკურ ქირურგიას სასწაულების მოხდენა შეუძლია? (პოლკოვნიკს) მეც თქვენსავით სამხედრო ვარ. სამხედროები არ ბერდებიან, მარშლები ღმერთებივით არიან... (ბელს) ასეც უნდა იყოს... ვაი, ვაი! რომ ყველაფერი დავკარგეთ, არადა, შეგვეძლო ისეთი ბედნიერები ვყოფილიყავით; კი, ნამდვილად შეგვეძლო, შეგვეძლო. იქნებ, თოვლის ქვეშაც ხარობს ყვავილი!..

მოხუცი ქალი (ფოტოხელოვანს): ფარისეველი! მატყუარა! ა! ა! ასაკთან შედარებით ახალგაზრდა ვარ? ოჰ, რა პატარა ხულიგანი, რა ამღელვებელი ხარ!..

მოხუცი კაცი: გნებავთ, ჩემი იზოლდა იყავით, მე კი, თქვენი ტრისტანი ვიქნები? მშვენიერება გულებში ბუდობს... გესმით? ერთმანეთის სიხარულს გავიზიარებდით, სილამაზეს, მარადისობას... მარადისობას... რატომ, ვერ გავბედეთ? კარგად არ მოვინდომეთ... ყველაფერი დავკარგეთ, დავკარგეთ, დავკარგეთ.

მოხუცი ქალი: ოჰ, არა, ოჰ! არა, ოჰ! აქ, აქ, ჟრუანტელს მგვრით, თქვენც, თქვენც გელ-

იტიინებათ? გილიტიინებენ თუ ულიტიინებთ? ცო-
ტათი მრცხვეინია... (იციინის) მოგნონთ ჩემი
ქვედაკაბა, თუ ეს ქვედაბოლო ფობია?

მოხუცი კაცი: სანყალი ცხოვრება სერყან-
ტისა!

მოხუცი ქალი (თავს პირველი უხილავი
ქალბატონისკენ აბრუნებს): ჩინური ტორტის
მოსამზადებლად? ავილოთ... კამეჩის კვერცხი,
ერთი საათი კარაქი, ოდნავ საკვები შაქარი.
(ფოტოხელოვანს) მოქნილი ხელები გაქვთ, ოჰ!
რას შვე-ე-ბი-ი-თ!.. ოჰ-ოჰ-ოჰ-ოჰ!

მოხუცი კაცი (ბელს): ჩემმა პატივცემულმა
მეუღლემ, სემირამიდამ, დედის მაგივრობა გამ-
ინია. (ბრუნდება. პოლკოვნიკს) პოლკოვნიკო,
ხომ გითხარით, სიმართლეს იქ ვიგებთ, სადაც
ვპოულობთ.

ხელახლა ბელისკენ ბრუნდება.

მოხუცი ქალი (ფოტოხელოვანს): მართლა,
ნუთუ მართლა ფიქრობთ, რომ ბავშვის ყოლა
ნებისმიერ ასაკში შეიძლება? ნებისმიერი ასაკის
ბავშვის?

მოხუცი კაცი (ბელს): სწორედ ამან გადამარ-
ჩინა: შინაგანი ცხოვრება, შინაგანი სიმშვიდე,
სიმკაცრე, ჩემი სამეცნიერო კვლევები, ფილოს-
ოფია, ჩემი სათქმელი...

მოხუცი ქალი (ფოტოხელოვანს): აქამდე ჩე-
მი მეუღლისთვის, ჩემი მარშლისთვის არასოდეს
მილაღატია... ასე ძლიერად არა, ძირს დამ-
აგედებთ... მე მხოლოდ მისი საბრალო დედიკო
ვარ! (ქვითინებს) დედის, დედის, დედის... (ხელს

კრავს) დედა. ეს ჩემი სინდისი მაყვირებს. აკრ-
ძალული ვაშლის ნაყოფი უკვე ვიგემე. თქვენი
გზა სხვაგან ეძიეთ. არ მინდა დავკრიფო ცხოვ-
რების ვარდები²⁷.

მოხუცი კაცი (ბელს): ...უმალლესი დონის
საზრუნავი...

*მოხუცები ბელს და ფოტოხელო-
ვანს უხილავ სტუმრებთან მიიყვანენ
და მათ გვერდით სვამენ.*

მოხუცები: (ფოტოხელოვანს და ბელს) დაბ-
რძანდით, დაბრძანდით.

*მოხუცებისხედან. კაცი მარცხნივ,
ქალი მარჯვნივ. მათ შორის ოთხი
ცარიელი სკამი დგას. გრძელი მდუ-
მარე სცენა. დროდადრო გაისმის:
არა, კი, არა, კი. მოხუცები უხილავი
პერსონაჟების საუბარს უსმენენ.**

მოხუცი ქალი: შვილი გვყავდა, ბიჭი... რა
თქმა უნდა, ცოცხალია... ნავიდა... ჩვეულე-
ბრივი ამბავია... უფრო უცნაური... მშობლები
მიატოვა... ოქროს გული ქონდა... ეს დიდი ხნის
წინ იყო... ისე ძალიან გვიყვარდა... კარი გაი-
ჯახუნა... მე და ჩემი ქმარი შევეცადეთ ძალით
შეგვეჩერებინა... შვიდი წლის იყო, ზუსტად, ვე-
ძახდით: ჩემო ბიჭო, ჩემო შვილო, ჩემო ბიჭო,
ჩემო შვილო... უკან არც მოუხედავს²⁸...

* „კი“, „არა“, „კი“ რიტმულად, ნელა რეჩიტატივით უნდა
წარმოითქვას. თანდათან რიტმი მატულობს, რასაც
მოხუცები თავკატურით პყვებიან.

მოხუცი კაცი: სამწუხაროდ, არა... არა... შვილი არასოდეს გვყოლია²⁹... ძალიან მინდოდა, ბიჭი მყოლოდა... სემირამიდასაც... ყველაფერი გავაკეთეთ... ჩემი საბრალო სემირაშიდა, ისეთი დედაშვილურია... იქნებ, ასე ჯობდეს. მე თვითონ, უმადური შვილი ვიყავი... აჰ! ტკივილი, სინანული, სინდისის ქენჯნა... ესლა არის, ესლა გვრჩება...

მოხუცი ქალი: გვეუბნებოდა: „თქვენ, ჩიტებს კლავთ! ჩიტებს, რატომ კლავთ?“ ჩვენ არ ვკლავთ ჩიტებს... ბუზიც კი არასოდეს აგვიფრენია... თვალები, ცრემლებით ქონდა სავსე, და არ გვანმენდინებდა. არ გვიკარებდა. ამბობდა: „თუ თქვენ, ყველა ჩიტს მოკლავთ, ყველა ჩიტს...“ პატარა მუშტებს გვიღერებდა. „ცრუობთ, მატყუილებთ! ქურები სავსეა მკვდარი ჩიტებით, პატარა ბავშვებით, რომლებიც სულს ლაფავენ.“: ეს, ჩიტების ჭიკჭიკია!.. „- არა, ოხვრავა. ცა ნითელია სისხლით...“ - არა, შვილო, ცისფერია... ისევ გაიძახდა: „მომატყუეთ, გაღმერთებდით, კეთილები მეგონეთ... ქურები მკვდარი ჩიტებითაა სავსე, თქვენ მათ თვალები დასთხარეთ... მამიკო, დედიკო, ბოროტები ხართ!.. აღარ მინდა თქვენთან ყოფნა...“ მუხლებში ჩავუვარდი... მამამისი ტიროდა. ვერ შევაჩერეთ... სულ გვესმოდა მისი ყვირილი: „თქვენზეა მთელი პასუხისმგებლობა...“ რა არის ეს „პასუხისმგებლობა“?

მოხუცი კაცი: მე, მომაკვდავი დედაჩემი, თხრილში მივატოვე³⁰. მეძახდა, ძლივს კენესოდა. „შვილო, ჩემო საყვარელო შვილო, მარტო ნუ დამტოვებ, სასიკვდილოდ... ჩემთან დარჩი,

დიდხანს არ გალოდინებ.“ ამას ნუ იზამ დედიკო, ერთ წუთში დავბრუნდები, ვუთხარი მე. მეჩქარებოდა... მეჯლისზე მივდიოდი საცეკვაოდ. „ახლავე დავბრუნდები“, როცა დავბრუნდი, უკვე მკვდარი იყო, ღრმად ჩამარხული... მიწა ამოვთხარე, ვეძებე... ვერ ვიპოვე... ვიცი, ვიცი, ბიჭები დედებს ყოველთვის ტოვებენ, მამებს კი ზოგჯერ კლავენ... ასეთია ცხოვრება... მე ამით ვიტანჯები, სხვები კი არა.

მოხუცი ქალი: ყვიროდა: „მამიკო, დედიკო, ველარ გიხილავთ...“

მოხუცი კაცი: დიახ, ვიტანჯები, სხვები, არა...

მოხუცი ქალი: ამაზე ჩემს ქმართან ნუ ილაპარაკებთ. მას მშობლები ისე უყვარდა. ერთი წუთითაც არ მიუტოვებია. უვლიდა, ანებივრებდა. მის ხელებში დალიეს სული, თან უთხრეს: „უნაკლო შვილი იყავი, ღმერთი შეგენევა.“

მოხუცი კაცი: დედაჩემს ისევ ვხედავ თხრილში, განოლილს, შროშანით ხელში. მეძახის: „ნუ დამივიწყებ, ნუ დამივიწყებ...“ თვალები ცრემლებით ქონდა სავსე. ბავშვობის ზედმეტსახელს მეძახდა; ამბობდა: „ჩემო ბარტყო, ჩემო ბარტყო, ნუ დამტოვებ მე აქ მარტო!“

მოხუცი ქალი (ფოტოხელოვანს): ნერილიც კი არ მოუწერია. ერთი მეგობარი გვიყვება ხოლმე, რომ ბიჭს ხშირად ხედავს ხან იქ, ხან აქ, რომ კარგად არის, კარგი მეუღლეა...

მოხუცი კაცი (ბელს): როცა დავბრუნდი, დიდი ხნის დამარხული იყო. (პირველ ქალბატონს) ო! დიახ, დიახ, ქალბატონო! სახლში კინოც გვაქვს, რესტორანიც და აბაზანაც...

მობუცი ქალი (პოლკოვნიკს): დიახ, პოლკო-
ვნიკო, კარგია, რადგან ის...

მობუცი კაცი: საბოლოოდ სწორედ ასეა.

უთავბოლო საუბარს გააბამენ.

მობუცი ქალი: ასე იყოს!

მობუცი კაცი: ამგვარად, მე არ... მე მას...

უეჭველად...

მობუცი ქალი: მოკლედ.

მობუცი კაცი: ჩვენებს, მათაც.

მობუცი ქალი: იმაზე.

მობუცი კაცი: მე მას ის.

მობუცი ქალი: ეს თუ ის?

მობუცი კაცი: ისინი.

მობუცი ქალი: ბიგუტები... აბა.

მობუცი კაცი: არ არის.

მობუცი ქალი: რატომ?

მობუცი კაცი: დიახ.

მობუცი ქალი: მე.

მობუცი კაცი: მოკლედ.

მობუცი ქალი: მოკლედ³¹.

მობუცი კაცი (პირველ ქალბატონს): მოგ-
წონთ მაღამ?

რამდენიმე წუთი მოხუცები სკამ-
ზე უძრავად სხედან. შემდეგ ისევ
ზარის ხმა გაისმის.

მობუცი კაცი (მზარდი ნერვიულობით): მო-
დიან, ხალხი, ისევ ხალხი!

მობუცი ქალი: ასეც ვიცოდი, ნავების ხმა
გავიგონე.

მოხუცი კაცი: გავაღებ, წადი, სკამები მოიტანე. ბატონებო, ქალბატონებო, მომიტყვეთ.

კაცი №7 კარისკენ მიდის.

მოხუცი ქალი (*უკვე იქ მყოფ უხილავ პერსონაჟებს*): ერთი წუთით აბრძანდით, გეთაყვა. ორატორი მალე მოვა. კონფერენციისთვის დარბაზი უნდა მოვამზადო. (*ქალი სკამებს ზურგით დარბაზისკენ დგამს*) ხელი შემაშველეთ, გმადლობთ.

მოხუცი კაცი (*№7 კარს აღებს*): გამარჯობათ ქალბატონებო, გამარჯობათ, ბატონებო. გთხოვთ, შემობრძანდეთ.

ახალმოსული სამი თუ ოთხი პერსონაჟი ძალიან მაღალია. ხელის ჩამოსართმევად თითის წვერებზე უნდა დადგე. ქალი, როგორც კი სკამებს დააღაგებს, მოხუცს გაყვება.

მოხუცი კაცი (*აცნობს*): ჩემი ცოლი... ბატონო... ქალბატონო... ჩემი ცოლი... ბატონო... ქალბატონო... ჩემი ცოლი...

მოხუცი ქალი: ვინ არის ეს ხალხი, საყვარელო?

მოხუცი კაცი (*ქალს*): წადი, სკამები მოიტანე, ძვირფასო!

მოხუცი ქალი: ყველაფერს მე ხომ ვერ ვაკეთებ!..

ქალი, №6 კარიდან ბუზღუნით გადის და №7 კარით ბრუნდება. კაცი

სტუმრებთან ერთად ავანსცენისკენ მიდის.

მოხუცი კაცი: კინოკამერა არ გაგივარდეთ... (ისევ წარდგენა) პოლკოვნიკი... ქალბატონი... ქალბატონი... ბელი... ფოტოსხელოვანი... ესენი ჟურნალისტები არიან, ორატორის მოსასმენად მოვიდნენ, ისიც უეჭველად მალე მოვა... მოთმინებას ნუ დაკარგავთ... ერთად არ მოიწყენთ... (ქალი, ორი სკამით, №7 კარიდან შემოდის) დროზე, მოიტანე სკამები... კიდევ ერთი გვჭირდება.

ქალი, კიდევ ერთი სკამის მოსატანად, №3 კარით გადის და №8 კარით შემოდის, თან ბუზღუნებს.

მოხუცი ქალი: არა უშავს, არა უშავს... რაც შემიძლია, ვაკეთებ... რობოტი ხომ არა ვარ. ვინ არის ეს ხალხი?

ქალი გადის.

მოხუცი კაცი: დაბრძანდით, დაბრძანდით, ქალბატონები ქალბატონებთან, ბატონები ბატონებთან, ან პირიქით, თუ გნებავთ... უკეთესი სკამები არ გვაქვს, ჩვენი გაკეთებულია... გვაპატიეთ... შუიდან აიღეთ... კალამი გნებავთ?... დარეკეთ მაიოთი, მონიკას დაელაპარაკებით... კლოდ, ეს პროვიდანსია³²... რადიო არ მაქვს... გაზეთებს კი ვიღებ... ბევრ რამეზეა დამოკიდებული; ბინებს განვაგებ, მაგრამ მომსახურე

პერსონალი არ მყავს... ეკონომიას ვაკეთებ... არავითარი ინტერვიუ, გთხოვთ, ახლა არა... მერე, ვნახოთ... ახლავე დაგსვამთ... ნეტავ, ჩემი ცოლი რას აკეთებს?.. (ქალი სკამით ხელში №8 კარით შემოდის) დაუჩქარე, სემირამიდა.

მოხუცი ქალი: რაც შემიძლია, ყველაფერს ვაკეთებ... ვინ არის ეს ხალხი?

მოხუცი კაცი: მოგვიანებით აგიხსნი.

მოხუცი ქალი: ეს? ეს? ჩემო საყვარელო?

მოხუცი კაცი: ნუ ღელავ... (პოლკოვნიკს)

პოლკოვნიკო, ჟურნალისტის და მეომრის პროფესია ერთმანეთს ძალიან ჰგავს... (ქალს) ცოტა ქალბატონებსაც მიხედე, ძვირფასო... (რეკავენ, კაცი №8 კარისკენ მიიჩქარის) ერთი ნუთით, თუ შეიძლება... (ქალს) სკამები!

მოხუცი ქალი: ბატონებო, ქალბატონებო, მომიტევეთ...

ქალი №3 კარით გადის და №2-ით ბრუნდება. კაცი №9 დამალულ კარს აღებს და იმ დროს გაუჩინარდება, როცა ქალი №3-ით შემოდის.

მოხუცი კაცი: მობრძანდით... მობრძანდით... მობრძანდით... მობრძანდით... (ისევ შემოდის. უკან რამდენიმე უხილავი პერსონაჟი მოყვება. ერთ-ერთი მათგანი პატარა ბავშვია, რომელიც ქალს ხელჩაკიდებული შემოყავს) აბა ვინ დადის პატარა ბავშვებით სამეცნიერო კონფერენციაზე?... საბრალო პატარას მობეზრდება... რა კარგი იქნება ყვირილი რომ მორთოს, ან ქალბატონების კაბებს დააფსას?! (მათ სცენის შუაგულამდე აცილებს. ქალი ორი სკამით შე-

მოდის) გაიცანით, ჩემი ცოლი, სემირამიდა; ეს მათი შვილებია.

მოხუცი ქალი: ბატონებო, ქალბატონებო... ნახეთ, რა საყვარლები არიან!

მოხუცი კაცი: ეს ყველაზე პატარაა.

მოხუცი ქალი: რა სიცოცხლეა, სიცოცხლე... სიცოცხლეა...

მოხუცი კაცი: სკამები არ გვეყოფნის.

მოხუცი ქალი: აჰ! ლა ლა ლა ლა...

ქალი სკამების მოსატანად გადის. გასასვლელად და შემოსასვლელად №2 და №3 მარჯვენა კარებს იყენებს.

მოხუცი კაცი: პატარა კალთაში ჩაისვით... ტყუპები შეიძლება ერთ სკამზე დასხდნენ. ფრთხილად, სკამები გამძლე არ არის... ეს სახლის სკამებია, მის პატრონს ეკუთვნის... დიახ, ბავშვებო, გვეჩხუბება, ბოროტია... უნდა, გვაყიდინოს, მაგრამ არ ღირს. (ქალი სკამით სწრაფად შემოდის) ერთმანეთს ხომ არ იცნობთ... ეს თქვენი პირველი შეხვედრაა... სახელებიც კი არ იცით... (ქალს) სემირამიდა, დამეხმარე, გავაცნოთ ერთმანეთი.

მოხუცი ქალი: ვინ არის ეს ხალხი?... ნება მომეცით, წარმოგიდგინოთ, წარმოგიდგინოთ... მაგრამ ვინ არიან ესენი?

მოხუცი კაცი: ნება მომეცით, წარმოგიდგინოთ, წარმოგიდგინოთ... წარმოგიდგინოთ... ბატონი, ქალბატონი, ქალიშვილი, ბატონი... ქალბატონი... ქალბატონი... ბატონი...

მოხუცი ქალი (კაცს): უაკეტი მოიცვი? (უხილავებს) ბატონი, ქალბატონი, ბატონი...

ზარის ხმა.

მოხუცი კაცი: მოდიან!

ისევ ზარის ხმა.

მოხუცი ქალი: მოდიან!

კვლავ ზარის ხმა. კიდევ და კიდევ. კაცი აფორიაქებულია. ფიცარნაგისკენ პირით და დარბაზისკენ ზურგით შებრუნებული სკამები პარტერის მსგავსად მწყობრ რიგებს ქმნიან³³. აქოშინებული კაცი შუბლს ინმენდს, ხან ერთ კართან მიდის, ხან მეორესთან. სვამს უჩინარ ხალხს, ხოლო ქალი ძლივსძლივობით, რაც შეუძლია ჩქარა, ერთი კარიდან მეორეში, სკამების მოსატანად დადის. სცენაზე უკვე ბევრი უხილავი პერსონაჟია. მოხუცები ფრთხილობენ, ხალხს არ დაეჯახონ. სკამების რიგებში დაძვრებიან. მოძრაობა შემდეგნაირი უნდა იყოს: კაცი მიდის №4 კართან, ქალი გადის №3 კარიდან, ხოლო შემოდის №2 კართით; კაცი ალებს №7 კარს, ქალი გადის №8 კართით, შემოდის №6 კართით სკამებით ხელში და ა.შ. საბოლოოდ მოხუცები

მთელ სცენას შემოირბენენ ყველა
კარის გამოყენებით.

მოხუცი ქალი: ბოდიში... ბოდიში... რა...
კარ... ბოდიში... ბოდიში...

მოხუცი კაცი: ბატონებო მობრძანდით...
ქალბატონებო... შემობრძანდით... ეს ქალბატო-
ნი... ნება მიბოძეთ... დიახ...

მოხუცი ქალი (სკამებით): იქ... იქ... ბევრნი
არიან... მართლაც ბევრია, ბევრია... ძალიან, ძა-
ლიან ბევრი... ა! ლა ლა ლა ლა...

გარედან სულ უფრო ძლიერად
და სულ უფრო ახლოდან ნავების
წყალზე სრიალის ხმა მოისმის. ხმაუ-
რი მხოლოდ კულისებიდან ისმის.
მოხუცები მოძრაობენ ისე, როგორც
ზემოთაა მითითებული; ალებენ
კარებს, შემოაქვთ სკამები. ზარის
ხმა არ წყდება.

მოხუცი კაცი: მაგიდა ხელს გვიშლის. (კაცი
ისეთ მოძრაობას აკეთებს, თითქოს მაგიდა
გადააქვს, თან არ ჩერდება. ქალიც ეხმარება)
ადგილი აღარ არის, მაპატიეთ...

**მოხუცი ქალი (ისე იქცევა, თითქოს მაგიდას
ათავისუფლებს. მოხუცს):** მოიცვი ჟაკეტი?

ზარის ხმა.

მოხუცი კაცი: ხალხი! სკამები! ხალხი! სკამე-
ბი! მობრძანდით, მობრძანდით, ქალბატონებო,

ბატონებო... სემირამიდა, დაუჩქარე... დაგეხ-
მარებით...

მოხუცი ქალი: ბოდიში... ბოდიში... გამარ-
ჯობათ ქალბატონო... ქალბატონო... ბატონო...
ბატონო... დიახ, დიახ, სკამები...

მოხუცი კაცი (ზარი სულ უფრო ხშირად და
ძლიერად ირეკება. ნავეების სანაპიროზე მიდგო-
მის ხმა უფრო ახლოდან და უფრო ხშირად
მოისმის, კაცი სკამებში იხლართება. ზარი ისე
ხშირად ირეკება, დრო არ ყოფნის, ერთი კარი-
დან მეორემდე მივიდეს) დიახ, დიახ, უაკეტი
მოიცვი? დიახ, დიახ... ახლავე, მოთმინება...
დიახ, დიახ... მოთმინება...

მოხუცი ქალი: შენი უაკეტი? ჩემი უაკეტი?..
ბოდიში... ბოდიში...

მოხუცი კაცი: აქეთ, ბატონებო, ქალბა-
ტონებო, გთხოვთ... მო... ბოდიში, ... მომიტყვევთ,
მობრძანდით, მობრძანდით... მიგაცილებთ...
იქ, ადგილებზე... ძვირფასო მეგობარო, აქედან
არა... ფრთხილად... ეს თქვენა ხართ, ჩემო
მეგობარო?..

შემდეგ, დიდხანი აღარ ლაპარა-
კობენ. ისმის ტალღების, ნავეების და
განუწყვეტელი ზარის ხმა. მოძრაობა
კულმინაციას აღწევს³⁴. ყველა კარი,
თითქმის თავისით, სწრაფად და
შეუჩერებლად იღება და იხურება.
ცენტრალური დიდი კარი დაკე-
ტილია. მოხუცები, უსიტყვოდ ერთი
კარიდან მეორემდე ისე დადიან,
თითქოს ბორბლებზე დასრიალებენ.

კაცი იღებს სტუმრებს, შემოჰყავს, აცილებს მათ, მაგრამ ძალიან შორს არ მიდის. მათთან ერთად რამდენიმე ნაბიჯს გადადგამს და მხოლოდ ადგილს მიუთითებს, დრო არა აქვს. ქალს სკამები შემოაქვს. მოხუცები ერთი-ორჯერ ერთმანეთს შეხვდნენ და დაეჯახნენ, მაგრამ მოძრაობას არ ნყვეტენ. შემდეგ შუაგულ სცენის სიღრმეში გაჩერებული კაცი კარებისკენ ტრიალდება მარცხნიდან მარჯვნივ, მარჯვნიდან მარცხნივ და ა.შ. ადგილებს მხოლოდ ხელის სწრაფი მოძრაობით მიუთითებს. ქალი, სკამით ხელში, ჩერდება, დებს მას, მერე იღებს, დებს, იღებს, თითქოს მასაც სურს წავიდეს ერთი კარიდან მეორესკენ, მარჯვნიდან მარცხნივ, მარცხნიდან მარჯვნივ, თან თავს და კისერს ძალიან ჩქარა ამოძრავებს. ტემპი არ უნდა დავარდეს. მოხუცები ადგილზე დგომით გამუდმებული მოძრაობის შთაბეჭდილებას უნდა იძლეოდნენ. მათი ხელები, ტანი, თავი, თვალები წრიულად მოძრაობს. ბოლოს, მოძრაობას თანდათან ანელებენ, ზარი სუსტდება და იშვიათად ირეკება. კარები უფრო და უფრო ნელა იღება; ტემპი თანდათან კლებულობს. როცა კარების გაღება-დახურვა და ზარის რეკვა შეწყდება, უნდა შეიქმნას ისეთი

შთაბეჭდილება, თითქოს სცენა ხალხითაა გადაჭედული*.

მოხუცი კაცი: დაგსვამთ, დაგსვამთ... მოთმინება... სემირამიდა, ეშმაკმა დალახვროს...

მოხუცი ქალი (ხელებს შლის): სკამები აღარ არის, კარგო. (მოულოდნელად სავსე დარბაზში და დახურულ კარებთან შორიახლოს უხილავი პროგრამების გაყიდვას დაიწყებს) პროგრამა, მოითხოვეთ პროგრამა, სალამოს პროგრამა, იყიდეთ პროგრამა!

*სცენაზე მოტანილი სკამების რაოდენობა, რაც შეიძლება, დიდი უნდა იყოს: სულ მცირე ორმოცი მაინც, თუ შესაძლებელია, მეტიც. სკამები სულ უფრო და უფრო სწრაფად შემოაქვთ. სცენა გადახერგილია სკამებით, ამ არარსებული ბრბოთი. ამის (რიტმის, ტემპის) გამო უმჯობესი იქნება, თუ მოხუცი ქალის როლს ახალგაზრდა მსახიობი შეასრულებს, რომელიც ყველაფერ ამას ნებსრიგში მოიყვანს. ასეთები იყვნენ პარიზში (ცილა შელტონი), ლონდონსა და ნიუ-იორკში (ჯოან პლოურაითი) წარმოდგენილი სპექტაკლების მსახიობები. ეს ყველაფერი ცოტათი ცირკის სანახაობას უნდა წააგავდეს. ამ გამოსვლის ბოლოს სკამები დეკორაციის სიღრმეში უნდა განთავსდეს თანმიმდევრობით. განათების საშუალებით მოხუცების პატარა ოთახი ტაძრის ინტერიერის მსგავსად, მეტი ხივრცის შთაბეჭდილებას უნდა იძლეოდეს, რაც მშვენივრად იყო შესრულებული ჟაკ მოკლერის (1956) სპექტაკლში ჟაკ ნოელის მიერ შექმნილი დეკორაციების წყალობით.

მოხუცი ქალის რეპლიკები, როცა იგი თავის ქმრის ბოლო სიტყვებს იმეორებს, ხან გაძლიერებული ექოსავით, ხან კი რეჩიტატივით და რიტმული წუნუნის ტონში გაჟმის.

რალაც მომენტის შემდეგ სკამები განსაზღვრულ პერსონაჟებს (ქალბატონი, პოლკოვნიკი, ბელი, ფოტოზელეფანი და ა.შ.) კი არა, ბრბოს წარმოადგენს. სკამები მარტო ასრულებს თავიანთ როლს.

მოხუცი კაცი: დანყნარდით ბატონებო და ქალბატონებო, ახლავე მოგხედავთ... რიგრიგობით, როგორც მობრძანდით... ადგილი გექნებათ. მოგათავსებთ.

მოხუცი ქალი: მოითხოვეთ პროგრამა! ცოცხალი მოიცადეთ, მაღამ, ყველას ერთად ვერ მოგემსახურებით, ასი ხელი არ მაქვს, ძროხა კი არა ვარ... ბატონო, ინებეთ, გთხოვთ, თუ არ შენუხდებით, თქვენს მეზობელს პროგრამა გადააწოდეთ. გმადლობთ... ჩემი ხურდა... ჩემი ხურდა...

სწორედ ამიტომ, დაფინებით ხაზს ვუსვამ იმ ფაქტს, რომ სასურველი იქნება, თუ რეჟისორის მოთხოვნით, მოხუცი ქალი სკამების ბოლო რიგის შემოღანისას განრისხებულ სახეს მიიღებს და ერთი წუთის განმავლობაში კრინტს არ დაძრავს. ამ ხნის მანძილზე და იმ დროს, როცა ზარის რეკვის ხმა განუნყვეტლივ გაისმის, მოხუც კაცს შეუძლია ავანსცენაზე სტუმრების მისალმებისას ჯამბაზივით აქნოს თავი სწრაფად ხან მარჯვნივ, ხან მარცხნივ, ხანაც პირდაპირ.

ჩვენ ასევე შესაძლებლად მიგვაჩნია სპექტაკლში „მეორე მოხუცი ქალის“ გამოყენება, რომელსაც სემირამიდას მსგავსი აღნაგობა ექნება, ეს უკანასკნელი სკამების დახროვების მომენტში სცენაზე ზურგით შემოვა და ზურგითვე გავა, იმ დროს, როცა სემირამიდა მოპირდაპირე მხრიდან დატოვებს სცენას. ეს ყოველივე მოგვცემს იმის შთაბეჭდილებას, თითქოს სემირამიდა და ისი სკამები ყველა მხრიდან ერთდროულად ჩნდებიან. „მეორე მოხუცი ქალი“ ამ მოქმედების შესრულებას ორჯერ ან სამჯერ თუ შეძლებს. ამგვარად, ერთდროულობის ეფექტი შემდეგნაირად შეიძლება გადმოიცეს: თითქოს მოხუცი ქალი სცენის ერთი მხრიდან გადის და მაშინვე მეორე მხრიდან შემოდის და პირიქით.

მოხუცი კაცი: ხომ გითხარით, ყველას დაგვამთ-მეთქი. ნუ ნერვიულობთ! აქედან, აქედან, იქ, ფრთხილად... ო! ძვირფასო მეგობარო... ძვირფასო მეგობარო.

მოხუცი ქალი: ... პროგრამა ... თხოვეთ გრამა.....გრამა

მოხუცი კაცი: ძვირფასო, იქ არის, დაბლა, პროგრამებს ყიდის... ურიგო საქმე არაა... ის არის, ხედავთ?.. თქვენი ადგილი მეორე რიგშია... მარჯვნივ... არა, მარცხნივ... დიახ, იქ!

მოხუცი ქალი: ...გრამა, ...გრამა, ...პროგრამა ...მოითხოვეთ პროგრამა.

მოხუცი კაცი: რა ვქნა? რაც შემოძლია, ყველაფერს ვაკეთებ! (სკამზე მსხდომ უხილავ პერსონაჟებს) ცოტათი ჩაინიეთ, გეთაყვა... აი, კიდევ ერთი ადგილი, თქვენთვის, მადამ... მობრძანდით. (ბრბოსგან შევიწროებული ფიცარნაგ ზე ადის) ქალბატონებო, ბატონებო, ბოდიშს გიხდით, დასაჯდომი ადგილი აღარ არის...

მოხუცი ქალი (კაცის სანინააღმდეგო მხარეს №3 კარსა და ფანჯარას შორის იმყოფება): მოითხოვეთ პროგრამა... ვის უნდა პროგრამა? შოკოლადი, კარამელი... შაქარყინული... (ბრბომ ქალი კუთხეში მოიმწყვდია. განძრევა არ შეუძლია. პროგრამებსა და კანფეტებს ალაღბებელზე უხილავი თავების ზემოთ ყრის) აი, აი.

მოხუცი კაცი (აღელვებული ესტრადაზე დგას. ხელს კრავენ, ესტრადიდან ჩამოდის, ისევ ადის, ჩამოდის, ვილაცას პირისპირ ეჯახება, მუჯღუგუნს უთავაზებენ, ამბობს): უკაცრავად... ათასი ბოდიში... ფრთხილად...

კაცს ეჯახებიან, ბარბაცებს, წონასწორობის შესანარჩუნებლად ვილაციის მხრებს ჩაეჭიდება.

მოხუცი ქალი: რა არის ეს, ამდენი ხალხი? პროგრამები, აბა, მოითხოვეთ პროგრამები, შოკოლადი...

მოხუცი კაცი: ქალბატონებო, ბატონებო, ერთი წუთით... გემუდარებით... სიჩუმე!... ძალიან მნიშვნელოვანია... ვისაც დასაჯდომი ადგილი არ აქვს, გთხოვთ, კეთილი ინებეთ და გასასვლელი გაათავისუფლეთ... ესეც ასე... სკამებს შორის ნუ დადგებით.

მოხუცი ქალი (კაცს, თითქმის ყვირილით): ვინ არის ეს ხალხი, ჩემო კარგო, აქ რა უნდა?

მოხუცი კაცი: გაათავისუფლეთ, ბატონებო, ქალბატონებო. ვისაც დასაჯდომი ადგილი არ აქვს, ყველასთვის მოსახერხებელი რომ იყოს, კედლის გასწვრივ, მარჯვნივ და მარცხნივ ფეხზე დადექით... ყველაფერს გაიგონებთ, ყველაფერს დაინახავთ, ნუ გეშინიათ, ყველა ადგილი კარგია!..

მოხუცი კაცი ფაციფუცობს. ბრბო უბიძგებს და ინერციით თითქმის მთელ სცენას წრეს დაარტყამს, ბოლოს მარჯვენა ფანჯრის ტაბურეტთან აღმოჩნდება. ქალიც იმავეს იმეორებს, ოღონდ საპირისპირო მხარეს და მარცხენა ფანჯრის ტაბურეტთან ამოყოფს თავს.

მოხუცი კაცი (აღნიშნულ მოძრაობას აკეთებს): ნუ აწვებით, ნუ აწვებით.

მოხუცი ქალი (იგივე თამაში): ნუ აწვებით, ნუ აწვებით.

მოხუცი კაცი (იგივე): მანვებით, ნუ მანვებით!

მოხუცი ქალი (იგივე): ბატონებო, მანვებით, ნუ მანვებით.

მოხუცი კაცი (იგივე): სიმშვიდე... წყნარად, ... მშვიდად... რა ხდება?..

მოხუცი ქალი (იგივე): ველურები ხომ არა ხართ?

ბოლოს და ბოლოს მათთვის განკუთვნილ ადგილებზე მივიდნენ, თავთავიანთ ფანჯრებთან: კაცი მარცხენა ფანჯარასთან ფიცარნაგის გვერდით, ქალი მარჯვნივ. სცენის ბოლომდე არცერთი არ გაინძრევა.

მოხუცი ქალი (თავის მოხუცს ეძახის): საყვარელო... ველარ გხედავ... სადა ხარ? ვინ არიან ისინი? რა უნდა ამ ხალხს? ვინ არის ეს?

მოხუცი კაცი: სადა ხარ? სადა ხარ, სემირამიდა?

მოხუცი ქალი: საყვარელო, სად ხარ?

მოხუცი კაცი: აქ, ფანჯარასთან... ჩემი გესმის?

მოხუცი ქალი: დიას, შენი ხმა მესმის!.. მართალია, ხმაურია, მაგრამ მაინც ვარჩევ.

მოხუცი კაცი: შენ, შენ სად ხარ?

მოხუცი ქალი: მეც ფანჯარასთან ვარ!.. ძვირფასო, მეშინია, ბევრი ხალხია... ერთმანეთისგან ძალიან შორს ვართ... ჩვენს ასაკში ფრთხილად უნდა ვიყოთ... ერთმანეთი არ დავკარგოთ... ახლოს უნდა ვიყოთ, ვინ იცის, რა ხდება, საყვარელო, საყვარელო...

მოხუცი კაცი: ა!... დაგინახე... ო! ერთმანეთს ისევ ვნახავთ, ნურაფრის გეშინია... მე მეგობრებთან ვარ. (მეგობრებს): რა ბედნიერი ვარ, ხელს რომ გართმევთ... დიახ, პროგრესის მჯერა, უწყვეტი პროგრესის, უწყვეტის... თუმცა... თუმცა...

მოხუცი ქალი: კარგად, კარგად, გმადლობთ... რა ცუდი ამინდია! რა კარგი ამინდია! (თავისთვის): მაინც მეშინია... აქ რას ვაკეთებ?... (ყვირის) საყვარელო! საყვარელო!..

მოხუცები სტუმრებს ესაუბრებიან.

მოხუცი კაცი: ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლუატაციას ხელი რომ შევუშალოთ, გვჭირდება ფული, ფული და კვლავ ფული!

მოხუცი ქალი: საყვარელო! (მეგობრებმა ქალი ხელში მოიმწყვდიეს) დიახ, ჩემი ქმარი აქ არის, ყველაფერი მან მოაწყო... იქ, ქვემოთ... ო! იქ ვერ მიაღწევთ... ბრბოში უნდა გაიაროთ... მეგობრებთანაა...

მოხუცი კაცი: რა თქმა უნდა, არა... სულ ამას ვამბობ, წმინდა ლოგიკა არ არსებობს... მიბაძვაა მხოლოდ...

მოხუცი ქალი: ბედნიერი ხალხიც არსებობს.

დილით თვითმფრინავში წაიხემსებენ, თორმეტ საათზე მატარებელში ისაუბრებენ, ნაშუადღევს თბომავალზე ისადილებენ, ღამეს დიდ მანქანაში გაატარებენ და მიდიან, მიდიან, მიდიან.

მოხუცი კაცი: ადამიანთა ღირსებაზე ლაპარაკობთ? სახე მაინც შევუნარჩუნოთ, ღირსება ზურგია და სხვა არაფერი.

მოხუცი ქალი: არ წაიქცეთ ამ სიბნელეში.

ქალი საუბრისას გადაიხარხარებს.

მოხუცი კაცი: ამას, თქვენი თანამემამულეები მთხოვენ.

მოხუცი ქალი: რა თქმა უნდა... ყველაფერი მომიყევით.

მოხუცი კაცი: იმიტომ მოგიწვიეთ... რომ აგიხსნათ... ინდივიდი და პიროვნება, ეს ერთი და იგივე ადამიანია.

მოხუცი ქალი: კიდევ სესხება უნდა, ისედაც ჩვენი იმდენი მართებს.

მოხუცი კაცი: მე, მე არა ვარ. მე სხვა ვარ. მე ვარ ერთი სხვაში.

მოხუცი ქალი: ერთმანეთს ნუ ენდობით, შვილებო³⁵.

მოხუცი კაცი: ზოგჯერ, სრულ სიჩუმეში ვიძიებ. ეს სფეროა, არაფერი აკლია. მაგრამ სიფრთხილეს თავი არ სტკივა. უეცრად შეიძლება ფორმა დაკარგოს, ნახვრეტები აქვს, საიდანაც ის იპარება, იცლება.

მოხუცი ქალი: მიცვალებულები, წარმოიდგინეთ, მოჩვენებები, არარსებანი... ჩემი ქმარი მნიშვნელოვან, დიდ რაღაცეებს იკვლევს.

მოხუცი კაცი: მომიტევეთ... ეს ჩემი აზრი სულაც არ გახლავთ!.. ჩემს მოსაზრებას, ამის შესახებ, თავის დროზე მოგახსენებთ... ახლა არაფერს ვიტყვი!.. სწორედ ორატორი გვეტყვის ყველაფერს, რაც გულში გვაქვს... ჩემს მაგივრადც ის ილაპარაკებს... ახლა მას ველოდებით... ყველაფერს აგიხსნით... როდის?.. როცა დრო მოვა... ეს წუთიც მალე დადგება.

მოხუცი ქალი (მეგობრებს): რაც უფრო ადრე იქნება, მით უკეთესი... რა საკვირველია... (თავისთვის) აღარ მოგვასვენებენ. ნეტავ აქედან წავიდნენ!.. ჩემი საბრალო, სად არის; ველარ ვხედავ...

მოხუცი კაცი (იგივე): მოთმინება იქონიეთ. ჩემს სათქმელს სულ მალე მოისმენთ, სულ მალე.

მოხუცი ქალი (თავისთვის): ა!.. მისი ხმა მესმის!.. (მეგობრებს) იცით, ჩემი მეუღლის არავის არასოდეს ესმოდა. როგორც იქნა, მისი დროც დადგა.

მოხუცი კაცი: მომისმინეთ, უდიდესი გამოცდილება მაქვს, ყველა სფეროში, ცხოვრებაში, აზროვნებაში... არც ეგოისტი ვარ, კაცობრიობამ, ჩემგან, სარგებელი უნდა ნახოს.

მოხუცი ქალი: ვაი, ფეხებზე გადამიარეთ... ისედაც მოყინული მაქვს!

მოხუცი კაცი: სისტემა შევიმუშავე. (თავისთვის) ორატორი უკვე აქ უნდა იყოს! (ხმამალა) ძალიან დავიტანჯე.

მოხუცი ქალი: ბევრი ვიტანჯეთ. (თავისთვის) ორატორი აქ უნდა იყოს! უკვე დროა.

მოხუცი კაცი: ბევრი ვიტანჯეთ, ბევრი გავიგეთ.

მოხუცი ქალი (ექოსავით): ბევრი ვიტანჯეთ, ბევრი გავიგეთ.

მოხუცი კაცი: აი, ნახავთ, ჩემი სისტემა სრულყოფილია.

მოხუცი ქალი (ექოსავით): აი, ნახავთ, მისი სისტემა სრულყოფილია³⁶.

მოხუცი კაცი: ჩემს დარიგებებს თუ დაუჯერებენ.

მოხუცი ქალი (ექოსავით): მის დარიგებებს თუ დაუჯერებენ.

მოხუცი კაცი: სამყაროს გადავარჩინთ!..

მოხუცი ქალი (ექოსავით): სამყაროს გადარჩინით მისი სული გადაარჩინე³⁷!

მოხუცი კაცი: ერთადერთი ჭეშმარიტება ყველასათვის!

მოხუცი ქალი (ექოსავით): ერთადერთი ჭეშმარიტება ყველასათვის!

მოხუცი კაცი: დამიჯერეთ!

მოხუცი ქალი (ექოსავით): დაუჯერეთ!..

მოხუცი კაცი: რადგან სრულიად დარწმუნებული ვარ!..

მოხუცი ქალი (ექოსავით): სრულიად დარწმუნებულია!

მოხუცი კაცი: არასოდეს...

მოხუცი ქალი (ექოსავით): არასოდეს, არა...

უეცრად კულისებიდან ხმაური და საყვირის ხმა ისმის.

მოხუცი ქალი: რა ხდება?

ხმაური ძლიერდება, ცენტრალური კარი ხმაურით ფართოდ იღუ-

ბა; სიცარიელე ჩანს; კარებიდან და ფანჯრებიდან სცენას ძლიერი შუქი მოეფინება, თითქოს უხილავი იმპერატორის შემოსვლას ანათებს³⁸.

მოხუცი კაცი: არ ვიცოდი... არ მეგონა... ნუთუ ეს შესაძლებელია... თურმე, კი... კი... დაუფერებელია... და მაინც... დიახ... დაიხ... იმპერატორი მობრძანდა! მისი უდიდებულესობა, იმპერატორი³⁹!

ღია კარიდან და ფანჯრებიდან ცივი და ცარიელი შუქი მაქსიმალურად ძლიერად ანათებს. ხმაური უცებ წყდება.

მოხუცი ქალი: საყვარელო... საყვარელო... ვინ არის?

მოხუცი კაცი: ყველანი ფეხზე... მისი უდიდებულესობა იმპერატორი! იმპერატორი ჩემთან, ჩვენთან... სემირამიდა... გესმის, რა ხდება?

მოხუცი ქალი (ვერაფერს იგებს): იმპერატორი... იმპერატორი? საყვარელო! (უცებ მიხვდება) აა! დიახ, იმპერატორი! მისი უდიდებულესობა! უდიდებულესობა! (დაბნეულად, უამრავ სასაცილო რევერანსს აკეთებს) ჩვენთან! ჩვენთან!

მოხუცი კაცი (გრძნობამორეული ტირის): მისი უდიდებულესობა!.. ო! ჩემი უდიდებულესობა!.. ჩემი პატარა, ჩემი დიდი უდიდებულესობა!.. ოჰ! რამხელა პატივია... საოცარი სიზმარი...

მოხუცი ქალი (ექოსავით): საოცარი სიზმარი... ზმარი.

მოხუცი კაცი (უხილავ ბრბოს): ქალბატონებო და ბატონებო, აბრძანდით, ჩვენი სათაყვანებელი მეუფე, იმპერატორი, ჩვენთანაა! ვაშა! ვაშა!

კაცი ტაბურეტზე ადის. იმპერატორის დასანახად თითის წვერებზე დგება. ქალიც იგივეს იმეორებს.

მოხუცი ქალი: ვაშა! ვაშა!

ფეხების ბაკუნი.

მოხუცი კაცი: თქვენო უდიდებულესობავ!.. აქა ვარ!.. თქვენო უდიდებულესობავ! გესმით ჩემი? მხედავთ? მოახსენეთ, მის უდიდებულესობას, რომ აქა ვარ! თქვენო უდიდებულესობავ! თქვენო უდიდებულესობავ! აქა ვარ, თქვენი, უერთგულესი მსახური!..

მოხუცი ქალი (ისევ ექოსავით): უერთგულესი მსახური, უდიდებულესობავ!

მოხუცი კაცი: თქვენი მსახური, თქვენი მონა, თქვენი ფინია, ავ, ავ! თქვენი ფინია, უდიდებულესობავ...

მოხუცი ქალი (ხმამაღლა ძალღივით ყეფს): ავ!.. ავ!.. ავ!..

მოხუცი კაცი (ხელებს იგრებს): შემომხედეთ, მიპასუხეთ, ბატონო!.. ა!.. გხედავთ, დავინახე, თქვენი უდიდებულესობის ღვთაებრივი სახე... ღვთაებრივი შუბლი... დიახ, დავინახე, კარისკაცთა გარემოცვის მიუხედავად...

მოხუცი ქალი: გარემოცვის მიუხედავად... ჩვენ აქა ვართ, უდიდებულესობავ!

მოხუცი კაცი: თქვენო უდიდებულესობავ! თქვენო უდიდებულესობავ! დასვით, ქალბატონებო და ბატონებო, მისი უდიდებულესობა ფეხზეა... ხედავთ, ჩემო უდიდებულესობავ, მხოლოდ მე, მე ვზრუნავ თქვენზე, თქვენს ჯანმრთელობაზე, ქვეშევრდომთ შორის უერთგულესი მე ვარ მხოლოდ.

მოხუცი ქალი (ექოსავით): ქვეშევრდომთ შორის უერთგულესი მსახურნი ჩვენ ვართ მხოლოდ!

მოხუცი კაცი: ბოლოს და ბოლოს, გამატარეთ, ქალბატონებო და ბატონებო... ამ ზედახორაში, გზა როგორ გავიკვლიო... მის უდიდებულესობა იმპერატორს ჩემი მოკრძალებული სალამი უნდა ვუძღვნა... გამატარეთ...

მოხუცი ქალი (ექოსავით): გაატარეთ... გაატარეთ... ატარეთ... ატარეთ...

მოხუცი კაცი: გამატარეთ, ბოლოს და ბოლოს, გამატარეთ. (უიმედოდ) ა! მივალ კი ოდესმე მასთან?

მოხუცი ქალი (ექოსავით): მასთან... მასთან...

მოხუცი კაცი: თუმცა, მთელი გულით და სულით მის ფეხთქვეშა ვარ... მლიქვნელთა ბრბო ახვევია. ა! ა! ხელის შეშლა უნდათ, რომ ვერ მივალწიო... ყველას ეჭვი აქვს, რომ... ო! მესმის, მესმის... კარგად ვიცი კარის ინტრიგები... უნდათ, რომ მის უდიდებულესობას ჩამომაცილონ!..

მოხუცი ქალი: დანყნარდი, საყვარელო... მისი უდიდებულესობა გხედავს, გიყურებს...

მისმა უდიდებულესობამ თვალი ჩამიკრა... მისი უდიდებულესობა ჩვენთანაა!..

მოხუცი კაცი: იმპერატორს საუკეთესო ადგილი რომ შევთავაზოთ... ფიცარნაგის ახლოს... ორატორის ხმა, კარგად რომ გაიგოს.

მოხუცი ქალი (უკეთ რომ დაინახოს, ტაბურეტზე თითის წვერებზე დგება და ნიკაპს, რაც შეუძლია მაღლა სწევს): როგორც იქნა, იმპერატორს ყურადღება მივაქციეთ.

მოხუცი კაცი: კურთხეულ იყოს. (იმპერატორს) მეფეო... შეგვინდეთ მეფეო... თქვენს გვერდით, ჩემი მეგობარი, ჩემი წარმომადგენელია. (ტაბურეტზე ცერებზე დგას) ბატონებო, ქალბატონებო, პატარებო, გევედრებით...

მოხუცი ქალი (ექოსავით): ...ებით ...ებით.

მოხუცი კაცი: ...მსურდა, თვალი მომეკრა... გაინიეთ... დამენახა... ციური მზერა, კეთილშობილი სახე, გვირგვინი, მისი უდიდებულესობის შარავანდედი... მეფეო, პატივი დამდეთ, და თქვენი სახელოვანი სახე ჩემსკენ მოაბრუნეთ, თქვენი საბრალო მსახურისკენ... ასეთი საბრალო... ო! ახლა, კარგად ვხედავ... ვხედავ...

მოხუცი ქალი (ექოსავით): ახლა ხედავს... ხედავს... დავს... ავს...

მოხუცი კაცი: სიხარულით, მეცხრე ცაზე ვარ... სიტყვები არ მყოფნის უდიდესი მადლიერების გამოსახატავად... ჩემს ღარიბულ ბინაში... ო! თქვენი უდიდებულესობა! ო! მზე!.. აქ... აქ... ბინაში, სადაც მე ვარ. მართალია, მე მარშალი ვარ... მაგრამ, თქვენი არმიის იერარქიაში, მე ერთი უბრალო სერჟანტი ვარ...

მოხუცი ქალი (ექოსავით): სერჟანტი...

მოხუცი კაცი: და ამით ვამაყობ... ერთ-
დროულად, ამაყი ვარ და მოკრძალებული...
ასეც უნდა იყოს... ვაგლახ! მართალია, მარშალი
ვარ... შემეძლო იმპერატორის კარზე ვყოფილი-
ყავი, აქ კი სახლის კარს ვადევნებ თვალს...
უდიდებულესობავ... მე... უდიდებულესობავ,
კარგად ვერ გიხსნით... შემეძლო... ბევრი რამ
მქონოდა, სიმდიდრე, მაგალითად, რომ მცოდ-
ნოდა, რომ მდომებოდა, რომ მე... რომ ჩვენ...
თქვენო უდიდებულესობავ, მომიტევეთ, ძალიან
ვღელავ...

მოხუცი ქალი: მესამე პირში!

მოხუცი კაცი (სლუკუნით): მომიტევეს
თქვენმა უდიდებულესობამ! თქვენ მაინც
მოხვედით... აღარ გელოდით... შესაძლოა, აქ არ
დაგხვედროდით... ოჰ!.. მხსნელო, მთელი სიც-
ოცხლე დამცირებული ვიყავი.

მოხუცი ქალი (ექოსავით; ქვითინით): ...მცი-
რებული, ...მცირებული.

მოხუცი კაცი: მთელი სიცოცხლე ვიტანჯე-
ბოდი... თქვენი უდიდებულესობის მხარდაჭე-
ერა, რომ მქონოდა, მეც რაღაც ვიქნებოდი...
დასაყრდენი არ მქონდა... რომ არ მობრძანე-
ბულიყავით, ყველაფერი დაგვიანდებოდა...
თქვენ, მეფეო, ჩემი უკანასკნელი თავშესაფარი
ბრძანდებით...

მოხუცი ქალი (ექოსავით): უკანასკნელი თავ-
შესაფარი... მეფეო... თავი... საფარი... ფარი...

მოხუცი კაცი: ყველა ჩემს მეგობარს უბე-
დურება მოვუტანე, ყველას, ვინც დამეხმარა...
ჩემსკენ გამონვდილ ხელს მეხი ატყდებოდა...

მოხუცი ქალი (ექოსავით): ...გამონვდილ ხელს ...გამონვდილს ...წვდილს ...ვილს.

მოხუცი კაცი: ჩემი სიძულვილის მიზეზი ყოველთვის ქონდათ, აი, სიყვარულის კი ნაკლებად.

მოხუცი ქალი: ტყუილია, საყვარელო, ტყუილი, მე შენ მიყვარხარ, მე ხომ შენი დედიკო ვარ.

მოხუცი კაცი: ყველა ჩემს მტერს სამაგიერო მიეზღო, მეგობრებმა კი მილალატეს.

მოხუცი ქალი (ექოსავით): მეგობრები... ლალატი... ლალატი...

მოხუცი კაცი: ცუდს მიკეთებდნენ, მდეუნიდნენ, დავიჩივლებდი... მათ ამართლებდნენ... ერთი-ორჯერ, შურისძიებაც ვცაადე... ვერ შევძელი, შურისძიება ვერ შევძელი... მებრალეობდნენ... არ მინდოდა, მტერი მიწაზე დამენარცხებინა, მე ხომ, ყოველთვის ძალიან კეთილი ვიყავი.

მოხუცი ქალი (ექოსავით): კეთილი იყო, კეთილი, კეთილი, კეთილი, კეთილი...

მოხუცი კაცი: ჩემმა სიკეთემ დამლუპა...

მოხუცი ქალი (ექოსავით): ჩემმა სიკეთემ, სიკეთემ... სიკეთემ...

მოხუცი კაცი: მაგრამ ისინიც არ მინდობდნენ. ნემსს ვუჩხვლევდით, კეტს მთავაზობდნენ, დანით მჭრიდნენ, კომბალს მირტყამდნენ, ძვალ-რბილს მიერთიანებდნენ...

მოხუცი ქალი (ექოსავით): ძვალ-რბილი... ძვალ-რბილი... ძვალ-რბილი...

მოხუცი კაცი: ჩემს ადგილს იკავებდნენ, მპარავდნენ, მკლავდნენ... ვიყავი უბედურებების შემგროვებელი, კატასტროფათა მეხსამრიდი...

მოხუცი ქალი (ექოსავით): მეხსამრიდი...
კატასტროფა... მეხსამრიდი...

მოხუცი კაცი: ყველაფრის დასავიწყებლად,
სპორტს მოვკიდე ხელი... ალპინიზმს... ჩემი
ჩამოგდება უნდოდათ და ფეხზე დამქაჩეს...
კიბეზე ასვლა ვისურვე, საფეხურები გამომ-
ცალეს... ძირს დავენარცხე... მოგზაურობა მოვ-
ინდომე, პასპორტი არ მომცეს... მდინარეს გა-
დავლახავთქო, ვიფიქრე... ხიდი გადამიჭრეს...

მოხუცი ქალი (ექოსავით): ხიდეები გადაუ-
ჭრეს...

მოხუცი კაცი: პირენეების გადალახვა მინ-
დოდა და სადღა იყო პირენეები?

მოხუცი ქალი (ექოსავით): სადღა იყო პირ-
ენეები?... სხვებივით... თქვენო უდიდებულე-
სობავ... მასაც შეეძლო, ყოფილიყო მთავარი
რედაქტორი, მთავარი ექიმი, უდიდებულესობავ,
მთავარი მეფე...

მოხუცი კაცი: სხვამხრივ სათვალავშიაც არ
მაგლებდნენ... მოსაწვევ ბარათებს არასოდეს
მიგზავნიდნენ... და მაინც, ყური დაუგდეთ,
რასაც გეტყვით, მხოლოდ მე შემეძლო კაცო-
ბრიობის გადარჩენა, კაცობრიობისა, რომელიც
ასე მძიმედაა ავად. თქვენი უდიდებულესობა
მხედველობაში მიიღებს იმას, რომ მე... საშუ-
ალება რომ მქონოდა, ჩემი სათქმელი კაცო-
ბრიობისათვის მეუწყებინა, სულ მცირე, შემე-
ძლო მისთვის ის უბედურებები ამეცილებინა,
რომლითაც ბოლო ოცდახუთი წელია იტანჯება.
მისი გადარჩენის იმედი ჯერ არ დამიკარგავს,
დრო კიდევ არის, ერთი გეგმა მაქვს... სამწუხ-
აროდ, ახსნა მიძნელდება.

მოხუცი ქალი (უხილავი თავების მიღმა):
ორატორი ხომ აქ იქნება, შენს მაგივრად ილა-
პარაკებს. მისი უდიდებულესობა აქ არის,... ე.ი.
მოუსმენენ, დარდი ნუ გაქვს, ყველა კოზირი
შენს ხელშია, ყველაფერი შეიცვალა, ყველაფერი
შეიცვალა...

მოხუცი კაცი: მომიტევეს თქვენმა უდიდე-
ბულესობამ... ამის გარდა ბევრი სხვა საზრუ-
ნავიც აქვს... დამცირებული ვიყავი... ქალ-
ბატონებო და ბატონებო, ცოტათი გაინიეთ,
მეფარებით, მისი უდიდებულესობის ცხვირს
სულ ვეღარ ვხედავ, სამეფო გვირგვინზე დაბ-
ნეული ბრილიანტების ბრწყინვალეობა მინდოდა
მენახა... მისმა უდიდებულესობამ კეთილინება
და ჩემს ღარიბულ ჭერქვეშ შემოდგა ფეხი, რაც
იმას ნიშნავს, რომ მე, საბრალოსაც მოწყალების
თვალთ შემხედა. რა უცნაური საზღაურია. რომ
დაგინახოთ, თითისწვერებზე ვდგევარ ახლა, ეს
სიამაყე სულაც არ არის... სინამდვილეში, მორ-
ალურად თქვენს ფერხთ ვარ გართხმული...

მოხუცი ქალი (ქვითინით): თქვენს ფერხთ,
მეფეო, თქვენს ფერხთა ვართ გართხმული,
თქვენს ფერხთ, თქვენს ფერხთ...

მოხუცი კაცი: მუნი მქონდა. პატრონმა გა-
რეთ გამომავდო, მის პატარას და ცხენს თავი
რომ არ დავუკარი. უკანალზე პანლურიც მი-
თავაზეს, მაგრამ ყოველივე ამას, სირ, ახლა
არავითარი მნიშვნელობა არა აქვს... რადგან...
მეფეო... უდიდებულესობავ... შემომხედეთ... აქ
ვარ... აქ...

მოხუცი ქალი (ექოსავით): აქ... აქ... აქ... აქ...
აქ... აქ...

მოხუცი კაცი: რადგან თქვენი უდიდებულესობა აქ არის... რადგან მისი უდიდებულესობა ჩემს სათქმელს მოისმენს... თუმცა ორატორი უკვე აქ უნდა იყოს... მის უდიდებულესობას როგორ ალოდინებს?!

მოხუცი ქალი: თქვენო უდიდებულესობავ, მიუტევეთ. მოვიდა. ახლავე აქ იქნება. დაგვირეკეს.

მოხუცი კაცი: მისი უდიდებულესობა ძალიან კეთილია. მისი უდიდებულესობა ისე არ წავა, თუ ყველაფერს არ მოუსმენს, არ გაიგებს.

მოხუცი ქალი (ექოსავით): მოსმენა... გაგება... გაგონება...

მოხუცი კაცი: ჩემი სახელით ილაპარაკებს... მე, მე არ შემიძლია... ამის ნიჭი არ მაქვს... მას ყველა ქალაღი, ყველა საბუთი ხელში უჭირავს.

მოხუცი ქალი: ცოტაც მოითმინეთ, მეფეო, გევედრებით... უნდა მოვიდეს... ამ წუთში მოვა.

მოხუცი კაცი (იმპერატორმა რომ არ მოიწყინოს): თქვენო უდიდებულესობავ, მომისმინეთ, გამოცხადება მქონდა, დიდი ხნის უკან, 40 წლის ვიყავი... თქვენც გიყვებით, ბატონებო და ქალბატონებო... ერთ სალამოს, ვახშმის შემდეგ, როგორც ყოველთვის, დანოლის წინ, მამაჩემს კალთაში ჩავუჯექი⁴⁰... მე მასზე ხშირი და აპრეხილი უღვაშები მქონდა... მუცელიც უფრო ბანჯგვლიანი... ჩემი თმები გაჭალარავებული იყო, მისი კი ჯერ კიდევ ყავისფერი... სტუმრები გვყავდა, გამოჩენილი ადამიანები, მაგიდას უსხდნენ, ბევრი იცინეს, იცინეს, იცინეს, იცინეს...

მოხუცი ქალი (ექოსავით): იცინეს... იცინეს...

მოხუცი კაცი: „არ ვხუმრობ, ვუთხარი. მა-
მაჩემი მიყვარს ძალიან.“ მათ კი მომიგეს:
„შუალამეა, ბავშვები ამ დროს ლოგინში არ-
იან. წადით, ნანა ქენით, თორემ ბიჭუნა აღარ
იქნებით. არ დავუჯერებდი, მაგრამ თქვენობით
მომმართეს, თქვენობით...

მოხუცი ქალი (ექოსავით): თქვენობით.

მოხუცი კაცი: უნდა ეთქვათ შენ...

მოხუცი ქალი (ექოსავით): შენ...

მოხუცი კაცი: „თანაც ვფიქრობდი, ცოლი არა
მყავს, ე.ი. ჯერ კიდევ ბავშვი ვარ.“ საპირისპ-
იროს დასამტკიცებლად, დამაქორწინეს... კიდევ
კარგი, რომ ჩემმა მეუღლემ დედ-მამის ადგილი
დაიკავა...

მოხუცი ქალი: ორატორი უნდა მოვიდეს...
თქვენო უდიდებულესობავ!

მოხუცი კაცი: ორატორი მოვა.

მოხუცი ქალი: მოვა.

მოხუცი კაცი: მოვა.

მოხუცი ქალი: მოვა.

მოხუცი კაცი: მოვა.

მოხუცი ქალი: მოვა.

მოხუცი კაცი: მოვა, მოვა.

მოხუცი ქალი: მოვა, მოვა.

მოხუცი კაცი: მოვა.

მოხუცი ქალი: მოდის.

მოხუცი კაცი: მოდის.

მოხუცი ქალი: მოდის, ის აქ არის.

მოხუცი კაცი: მოდის, ის აქ არის.

მოხუცი ქალი: მოდის, ის აქ არის.

მოხუცები: ის აქ არის...

მოხუცი ქალი: აი, ისიც!... (პაუზა. ყოველგვარი მოძრაობა წყდება. გაქვავებული მოხუცები მზერას №5 კარს მიაშტერებენ. პაუზა საკმაოდ დიდხანს, დაახლოებით, ნახევარი წუთი გრძელდება. კარი ძალიან ნელა და უხმაუროდ, ფართოდ იღება. შემდეგ ორატორი ჩნდება. ის რეალური პერსონაჟია. ის არის გასული საუკუნის მხატვრის ან პოეტის ტიპის ადამიანი. აცვია ფართეფრთებიანი მაუდის ქუდი, დიდზე გაბანტული ჰალსტუხი, ფართე, გაშვებული პერანგი, ატარებს ულვაშებს და ესპანურ წვერს, აქვს თავდაჯერებული ადამიანის და მოხეტიალე კომედიანტის იერი. უხილავ პერსონაჟებს გაცილებით მეტი რეალობა უნდა ახასიათებდეს, ვიდრე ორატორს, რომელმაც არარეალური სახე უნდა შექმნას. ორატორი მარჯვენა კედელს ჩუმად, თითქმის სრიალით გაყვება სიღრმეში დიდ კარამდე, თავს არ აბრუნებს არც მარცხნივ, არც მარჯვნივ, ქალს გვერდით ისე ჩაუვლის, თითქოს ვერ შეამჩნია, მიუხედავად იმისა, რომ ეს უკანასკნელი ორატორს ხელით ეხება, რათა მის არსებობაში დარწმუნდეს. ის ამბობს) აი, ისიც!

მოხუცი კაცი: აი ისიც!

მოხუცი ქალი (თვალს აყოლებს): ნამდვილად ისაა, ის არსებობს. აი, პირადად ის⁴².

მოხუცი კაცი (თვალს აყოლებს): არსებობს, ნამდვილად ისაა. არა, სიზმარი არაა!

მოხუცი ქალი: ხომ გეუბნებოდი, რომ სიზმარი არ არის-მეთქი!

კაცი ხელებს გადააჯვარედინებს,
მზერას ცისკენ ალაპყრობს და ჩუმად

ხარობს. ცენტრში მისული ორატორი უსიტყვოდ თავს ხრის და უხილავ ომპერატორს, ოდნავ ხელოვნურად, მუშკეტერივით ესაღმება. ამ დროს:

მოხუცი კაცი: თქვენო უდიდებულესობავ...
წარმოგიდგენთ ორატორს...

მოხუცი ქალი: ისაა!

ორატორი ქუდს იხურავს, ფიცარნავზე ადის, სცენაზე მყოფ უხილავ მაყურებელს, სკამებს ზემოდან გადმოხედავს და საზეიმო პოზაში შეშდება.

მოხუცი კაცი (უხილავ მაყურებელს): შეგიძლიათ ავტოგრაფი სთხოვოთ. (მექანიკურად, ჩუმად ორატორი ხელს აწერს და უამრავ ავტოგრაფს არიგებს. მოხუცი, ამ დროს, ისევ ხელებგადაჭდობილი თვალებს ზეცისკენ აღაპყრობს და გახარებული ამბობს) ამაზე ცხოვრებაში ვერავინ იოცნებებდა...

მოხუცი ქალი (ექოსავით): ამაზე ვერავინ იოცნებებდა.

მოხუცი კაცი (უხილავ ბრბოს): ახლა კი მისი უდიდებულესობის ნებართვით, ყველას მოგმართავთ, ქალბატონებო, ბატონებო, ბავშვებო, ძვირფასო თანამემამულენო, თანამოძმენო, ბატონო პრეზიდენტო, ძვირფასო ჯარის მეგობრებო...

მოხუცი ქალი (ექოსავით): ბავშვებო... ებო... ებო...

მოხუცი კაცი: ყველას მოგმართავთ, განურჩევლად ასაკისა, სქესისა, სამოქალაქო მდგომარეობისა, სოციალური რანგისა, თუ საქმიანობისა, მინდა, მთელი გულით მადლობა გადაგიხადოთ.

მოხუცი ქალი (ექოსავით): მადლობა გადაგიხადოთ.

მოხუცი კაცი: ამდენი რომ მობრძანდით... ასევე ორატორს... მხურვალედ. სიჩუმე, ბატონებო!...

მოხუცი ქალი (ექოსავით): ...სიჩუმე, ბატონებო...

მოხუცი კაცი: აგრეთვე, მადლობას მოვასხენებ ყველას, ვინც დღევანდელი თავყრილობა შესაძლებელი გახადა, ორგანიზატორებს...

მოხუცი ქალი: ბრავო!

*მთელი ამ ხნის განმავლობაში,
ორატორი უძრავად, საზეიმო იერით
დგას ფიცარნაგზე და ავტოგრაფებს
მექანიკურად იძლევა.*

მოხუცი კაცი: მადლობა, ამ ბინის მფლობელებს, არქიტექტორებს, კალატოზებს, რომლებმაც ეს კედლები აღმართეს!..

მოხუცი ქალი (ექოსავით): ...კედლები...

მოხუცი კაცი: ყველას, ვინც საძირკველი ჩაუყარა... სიჩუმე, ბატონებო, ქალბატონებო...

მოხუცი ქალი (ექოსავით): ...ბატონებო, ქალბატონებო...

მოხუცი კაცი: არა, არ დამვიწყებია და მხურვალე მადლობას მოვასხენებ დურგლებს, რომელ-

თაც ეს სკამები შექმნეს, სკამები, რომლებზეც თქვენ სხედხართ, მარჯვე ოსტატს...

მოხუცი ქალი (ექოსავით): ... მარჯვე...

მოხუცი კაცი: ...რომელმაც გააკეთა სავარძელი, სადაც ასე ნებიერად, მაგრამ მტკიცედ და ძლიერი გონებით მოისვენებს მისი უდიდებულესობა... დიდი მადლობა აგრეთვე ყველა ტექნიკოსს, მემანქანეს და ელექტრიკოსს...

მოხუცი ქალი (ექოსავით): ...კოსს, ...კოსს...

მოხუცი კაცი: ...მექალაქეებს და გამომცემლებს, კორექტორებს, რედაქტორებს, სწორედ მათ უნდა ვუმაღლოდეთ ასე ლამაზად გაფორმებულ პროგრამებს, ხალხთა მსოფლიო სოლიდარობას, მადლობა, მადლობა, ჩვენს სამშობლოს, სახელმწიფოს (იმპერატორისკენ ბრუნდება), რომელსაც მისი უდიდებულესობა ისევე უძღვება, როგორც ნამდვილი პილოტი თავის ხომალდს... მადლობა ბილეთების გამყიდველ ქალებს...

მოხუცი ქალი (ექოსავით): ...გამყიდველი ...მყიდველი.

მოხუცი კაცი (ქალზე თითით მიანიშნებს): გამყიდველებს შოკოლადის და პროგრამის..

მოხუცი ქალი (ექოსავით): ...გრამის...

მოხუცი კაცი:...ჩემს მეუღლეს, ჩემს თანამგზავრს... სემირამიდას!...

მოხუცი ქალი (ექოსავით): ...უღლეს... მგზავრს... დიახ... (თავისთვის) რა სიცოცხლეა, ჩემი ხსენება არასოდეს ავინწყდება.

მოხუცი კაცი: მადლობა ყველას, ვინც ასე ძვირფასი და საჭირო ფინანსური დახმარება გამიწია, რამაც ჩვენი დღესასწაულის სრული წარმატება განაპირობა... კიდევ ერთხელ, დიდი

მადლობა, განსაკუთრებით, ჩვენს საყვარელ მეუფეს, მის უდიდებულესობა იმპერატორს...

მოხუცი ქალი (ექოსავით): ...დებულესობა იმპერატორს...

მოხუცი კაცი (სრულ სიჩუმეში): ...სიჩუმე...
თქვენო უდიდებულესობავ...

მოხუცი ქალი (ექოსავით): უდიდებულესობავ... ესობავ...

მოხუცი კაცი: თქვენო უდიდებულესობავ, მე და ჩემს მეუღლეს, ამ ქვეყნად, სანატრებელი აღარაფერი დაგვრჩა. შეიძლება ჩვენი ცხოვრება ამ აპოთეოზით დამთავრდეს... მადლობა ზეცას, რომელმაც ამდენი გრძელი და მშვიდი წელი გვაჩუქა... ცხოვრება საკმაოდ შინაარსიანად გავატარე. ჩემი მისია შესრულებულია⁴². ამაოდ არ მიცხოვრია, რადგან ჩემს სათქმელს ახლა მთელი ქვეყანა შეიტყობს (ორატორზე მიუთითებს, რომელიც მას ვერ ამჩნევს. ძალიან ღირსეულად, მტკიცედ იგერიებს ავტოგრაფის მთხოვნელებს) შეიტყობს მთელი ქვეყანა, უფრო ზუსტად, შეიტყობს ის, რაც ამ ქვეყნისგან დარჩა! (უხილავი ბრბოსკენ ფართოდ იხრება) შეიტყობთ თქვენ, ბატონებო და ქალბატონებო, და ძვირფასო ამხანაგებო, რომლებიც საზოგადოების წარჩინებს წარმოადგენთ, მაგრამ ამ წარჩინისგანაც შეიძლება გემრიელი წვნიანის მომზადება... ორატორო, მეგობარო... (ორატორი სხვაგან იყურება) მართალია, დიდი ხნის მანძილზე ჩემი თანამედროვეები არ მაფასებდნენ, არ მალიარებდნენ, მაგრამ ალბათ, ასე იყო საჭირო. (მოხუცი ქვითინებს) თუმცა ახლა ამას მნიშვნელობა არა აქვს, ჩემო ძვირფასო ორატორო და მეგობარო, შთამომავ-

ლობის განათლებაზე ზრუნვა შენთვის მომინდვია: (ორატორი უარს ამბობს კიდევ ერთ ავტოგრაფზე და გულგრილი სახით აქეთ-იქეთ იყურება)... გააცანი სამყაროს ჩემი ფილოსოფია, ჩემი პირადი ცხოვრების წვრილმანებიც არ დაგავინწყდეს, არ გამოტოვო ხან სახუმარო, ხან კი მძიმე, ამაღელვებელი დეტალებიც კი, გემოვნებასაც, ჩემს სასაცილო მსუნაგობასაც ხაზი გაუსვი... ყველაფერი თქვი... ჩემი ცხოვრების თანამგზავრზეც ილაპარაკე... (ტირილს აორკეცებს) მოყევი, როგორ ამზადებდა თურქულ ღვეზელებს და ნორმანდიულად ჩაშუშულ კურდღელს... ბერიზე ილაპარაკე, ჩემი მშობლიური მხარე, ბერიც ახსენე... შენი იმედი მაქვს, დიდო მოძღვარო და ორატორო, ...მე და ჩემი ერთგული მეუღლე კაცობრიობის განვითარების საკითხზე დიდხანს და მძიმედ ვმუშაობდით, მაშინ მართალი საქმის მკეთებელი ჯარისკაცები ვიყავით, მას შემდეგ ერთი რამ დაგვრჩა, განზე გავდგეთ და დიდებული მსხვერპლი გავიღოთ; ამას არავინ გვთხოვს, მაგრამ მაინც აღვასრულებთ⁴³...

მოხუცი ქალი (ქვითინით): დაიხ, დიახ, დიდების მწვერვალზე დავლევთ სულს... სულს დავლევთ, რომ ლეგენდად ვიქცეთ... სულ მცირე, ჩვენი ქუჩა გვექნება...

მოხუცი კაცი (ქალს): ო! შენ, ჩემო ერთგულო მეუღლე! ო, შენ, რომელსაც ჩემი ყოველთვის გჯეროდა, ო, რომელსაც მთელი საუკუნის მანძილზე არ მიგიტოვებია, არასოდეს... არასოდეს... ვაი, რომ დღეს, ამ დიდებულ წუთებში, ბრბომ შეუბრალებლად დაგვაცილა ერთმანეთს...

და მე მაინც
ისე მინდა
მოვაქციო ჩვენი ძვლები
იმავე ტყავში
და სამარხში
რათა კვებოთ
ხორციით ჩვენით
ბინადარნი მიწისანი
ვიხრწნათ ერთად...

მოხუცი ქალი: ...ერთად ვიხრწნათ, ერთად...

მოხუცი კაცი: აფსუს!... აფსუს!...

მოხუცი ქალი: აფსუს!... აფსუს!...

მოხუცი კაცი: ...ჩვენს გვამებს ერთმანეთის-
გან შორს დაასაფლავებენ, წყლის სიმარტოვეში
გავიხრწნებით... ბევრს ნუ ვინუნუნებთ.

მოხუცი ქალი: რაც გასაკეთებელია, უნდა
გაკეთდეს!...

მოხუცი კაცი: არ დაგვივინყებენ. მარადიულ
იმპერატორს ყოველთვის ვეხსომებით.

მოხუცი ქალი (ექოსავით): ყოველთვის.

მოხუცი კაცი: ჩვენ კვალს დავტოვებთ⁴⁴, ად-
ამიანები ვართ, ქალაქები ხომ არა.

მოხუცები (ერთად): საკუთარი ქუჩა გვექ-
ნება!

მოხუცი კაცი: თუ სივრცეში ერთად ყოფნა
არ გვეღირსება, დაე, ერთნი ვიყოთ დროსა და
უსასრულობაში, როგორც ერთნი ვიყავით უბე-
დურებაში: ერთდროულად ამოგვხდეს სული...
(*უძრავ ორატორს*) უკანასკნელად... გეუბნები...
შენი იმედი მაქვს... ყველაფერს იტყვი... გადას-

ცემ სათქმელს... (იმპერატორს) მომიტევოს, თქვენმა უდიდებულესობამ... ყველას გემშვიდობებით, მშვიდობით, სემირამიდა.

მოხუცი ქალი: ყველას გემშვიდობებით!... მშვიდობით, საყვარელო!

მოხუცი კაცი: გაუმარჯოს იმპერატორს!

კაცი უხილავი იმპერატორის მხარეს კონფეტის და სერპანტინს ისვრის. ისმის ბუკის ხმა. თითქოს ფეიერვერკის ცოცხალი შუქი ანათებს სცენას.

მოხუცი ქალი: გაუმარჯოს იმპერატორს!

ქალი კვლავ კონფეტის და სერპანტინებს ისვრის ჯერ იმპერატორისკენ, შემდეგ კი გულგრილი და უძრავი ორატორისა და ცარიელი სკამების მიმართულებით.

მოხუცი კაცი (იგივეს აკეთებს): იმპერატორს გაუმარჯოს!

მოხუცი ქალი (იგივეს იმეორებს): იმპერატორს გაუმარჯოს!

ამ დროს მოხუცები „იმპერატორს გაუმარჯოს“ ძახილით თავიანთი ფანჯრიდან ხტებიან. უეცრად სიჩუმე ჩამოვარდება, აღარც ფეიერვერკია სადმე. სცენის ორივე მხარეს

ისმის შედახილი: „აჰ“ და სხეულის
წყალში ჩავარდნის ხმა. ფანჯრები-
დან და მთავარი კარიდან შემომ-
ვალი შუქი ქრება: სცენაზე მხოლოდ
მკრთალი შუქი რჩება; ღია ფანჯრებ-
ში სიბნელეა; ქარი ფარდებს არხევს.

ორატორი (ორმაგი თვითმკვლევლობის სცე-
ნის დროს გულგრილად და გაუნძრევლად დგას.
ერთხანს ხმის ამოღებას გადაწყვეტს; ცარიელი
სკამებისკენ სახით მიბრუნებული ცდილობს,
უხილავ ბრბოს გააგებინოს, რომ ყრუ-მუნჯია;
ყრუ-მუნჯის ნიშნებს აკეთებს: უიმედოდ ირ-
ჯება; შემდეგ ხროტინებს, ოხრავს და ყრუ
ბგერებს წარმოთქვამს) – ჰე, მმე, მმ, მმ⁴⁵.

ჟუ, გუ, ჰუ, ჰუ.

ჰე, ჰე, გუ, გუ, გე.

ძალამიხდილი ხელებს ჩამოუშ-
ვებს; უცებ, სახე გაუნათდება, რაღ-
აც მოაფიქრდა; ჰაკი დაფისკენ ტრი-
ალდება და დიდი ასოებით წერს:

ანგელოზური ⁴⁶

შემდეგ:

ნნაა, ნნმ, ნნნნნნ.

ხელახლა, სცენაზე მყოფი უხი-
ლავი მაყურებლისკენ ბრუნდება და
თითოთ უჩვენებს იმას, რაც შავ და-
ფაზე დანერა.

ორატორი: მმმ, მმმ, გუუ, გუ, გუ, მმმ, მმმ,
მმმ, მმმმ.

უკმაყოფილო, უცებ დაფას
წმენდს, ცარციით რალაცეებს წერს,
სადაც დიდი ასოებით ამოიკითხავთ:

მშვიდლობით მშვიდლობიით იიი

ორატორი კვლავ დარბაზისკენ
ბრუნდება; სახეზე ღიმილი, ეჭვი და
იმედი ეხატება, თითქოს კითხვას
სვამს, თითქოს გაუგეს, თითქოს რა-
ღაც თქვა; ცარიელ სკამებზე მიუ-
თითებს; საკმაოდ კმაყოფილი და
ოდნავ საზეიმო იერით, რამდენიმე
წამი უძრავად იცდის, სიცარიელიდან
რეაქციას ელოდება, ნელ-ნელა ღი-
მილი უქრება, სახე ეღუშება; ცოტა
ხანს კიდევ იცდის; უცებ აღელვე-
ბული სალამს იძლევა, ფიცარნაგი-
დან მოულოდნელად ჩამოდის და
საზეიმო სვლით მთავარი კარისკენ
მიემართება. სანამ კარიდან გავა,
ცარიელი სკამების რიგებს და იმ-
პერატორს ისევ საზეიმოდ ესალმე-

ბა. ცარიელ სცენაზე რჩება სკამები, ფიცარნაგი, იატაკზე დაყრილი კონფეტი და სერპანტინი. ღია კარი სიბნელეში ფართოდ არის გაღებული.

პირველად გაისმის უხილავი ბრბოს ხმა: სიცილი, ბუტბუტი, „ჩუ“, დროდადრო ირონიული ხველა; ხმაური ჯერ ძლიერდება, მერე მინუნარდება. ყოველივე ეს დიდხანს უნდა გაგრძელდეს იმისთვის, რომ მაყურებელს, ნამდვილს და ხილულს, დასასრული გონებაში კარგად ალებეჭდოს. ფარდა ძალიან ნელა ეშვება.

ფარდა

აპრილი-ივნისი 1951.



შენიშვნები

მელოტი მომღერალი ქალი

1. „მელოტი მომღერალი ქალის“ პირველი ვერსია იონესკომ 1941-43 წლებში რუმინეთში დაწერა. ერთმოქმედებიან კომედიას, რომელიც უფრო მცირე მოცულობის იყო, „ინგლისური მასწავლებლის გარეშე“ ერქვა და გაცილებით მეტი აგრესიულობით გამოირჩეოდა. პირველი სცენის ბოლოს ქალბატონი სმითი კორსეტიდან დანას იღებდა. ამ დანას, უკვე როგორც დანაშაულის იარაღს, ისევ შევხვდებით პიესებში „გაკვეთილი“, „მოვალეობის მსხვერპლი“ და „უჯამაგირო მკვლელი“. პირველ ვერსიაში VII, IX, X სცენები, მეხანძრის პერსონაჟი და მერის ლექსი საერთოდ არ არსებობდა.

2. XX საუკუნის 50-იან წლებში სენის მარცხენა სანაპიროს თეატრების დრამატურგები უამრავ ახალ ტერმინს იყენებდნენ თავიანთ თეატრზე საუბრისას: ანტითეატრი, აბსურდის თეატრი, ავანგარდული თეატრი.... იონესკოს აზრით, მისი თეატრი დაცივნის თეატრია, ოლონდ, ის საზოგადოების რომელიმე კონკრეტულ ნაწილს კი არა, ზოგადად ადამიანს დასცინის.

3. პიესაში ინგლისური წარმოშობის უამრავ სიტყვას ვხვდებით. პერსონაჟთა სახელებს თან ტოპონიმები და მთლიანი რეპლიკები ერთვის: პროტაგონისტები საუბრობენ ბობ უატსონზე, მისტერ პარკერზე, ედუარდზე, ნენსიზე, უილიამზე, ჯოუნსებზე, ექიმ მაკკენზი-კინგზე, ბენჟამენ ფრანკლინზე და ბრიტანულ ფლოტზე. XI სცენაში სამი რეპლიკა ინგლისურია: Monday, tuesday, wednesday, thursday, friday, saturday,

sunday; Edward is a clerk, his sister Nancy is a typist, and his brother William is a chop assistant; Charity begins at home.

4. სმითების წყვილის საქმიანობა ინგლისური ენის შესასწავლი ცნობილი მეთოდის „Assimil“-ის გაკვეთილებითაა შთაგონებული: „Assimil“-ში ბატონი სმითი მშვიდ სალამოებს ცოლ-შვილის გარემოცვაში ატარებს, სახლში ყოველდღე მოაქვს სალამოს გაზეთი, ქალბატონი სმითი თავისუფალ დროს თავისი ქმრის წინდებს აკერებს და ასე შემდეგ.

5. პიესის რუმინული ვარიანტის „პოპოშევ როზენფელდს“ ფრანგულ ვერსიაში „პოპესკო როზენფელდი“ ჩაენაცვლა. თუკი „პოპოშევ როზენფელდი“ რუსულ და ებრაულ სახელებს აერთიანებდა, „პოპესკო“-ში — „ესკო“ სუფიქსი რუმინულ წარმოშობას უსვამს ხაზს. ეს რუმინელი ბაყალი (გალიმარის 1954 წლის გამოცემაში ის ბულგარელი იყო) კონსტანტინოპოლიდანაა ჩამოსული, ქალაქიდან, სადაც საცხოვრებლად წასვლას აპირებდა საფრანგეთში მცხოვრები იონესკო. ხელნაწერის ბოლო გვერდზე მოჩანს წარწერა „Istambul“.

6. მიშელ გიგოსა და მარი-ფრანს სავენის აზრით, ამ ექიმის სახელს იონესკო დაესესხა კანადელ სახელმწიფო მოღვაწეს, უილიამ მაკ-კენზი კინგს, რომელსაც 1921-30 და 1935-48 წლებში პრემიერ მინისტრის პოსტი ეკავა.

7. „Assimil“-ი იონესკოს პიესას მარტო სმითების წყვილით კი არა, ენის სახელმძღვანელოებისათვის დამახასიათებელი ტექნიკითაც ამარაგებს: პერსონაჟები ყოველ ახალ ფრაზაში ახალ სიტყვებს იყენებენ ერთი რომელიმე კონკრეტული თემის გარშემო. იონესკო სიამოვნებით თამაშობს სიტყვებზე და ლოგიკაზე: რუმინული ფოლკლორული იოგურტი პირდაპირ მისწრებაა კუჭის, თირკმელების, აპენდიციტისა და აპოტეოზისათვის, ამ უცნაურ სამყაროში ექიმი მაკ-კენზი კინგი ჯერ თვითონ იკეთებს ოპ-

ერაციას და შემდეგ მკურნალობს თავის ავადმყოფს, ბობი უატსონის ოჯახში ყველა თაობას სქესის მიუხედავად ბობი უატსონი ჰქვია.

8. კონან დოილის შერლოკ ჰოლმსს პიესის არაერთი მონაკვეთი გვახსენებს. პირველ სცენაში სმითების წყვილი საუბრობს ვინმე პარკერის სიკვდილზე და ექიმზე, რომელმაც ის სიკვდილს ვერ გადაარჩინა, იქვე ბატონი სმითი მეუღლეს ბობი უატსონის სიკვდილს ატყობინებს. V სცენაში ვგებულობთ, რომ მერი შერლოკ ჰოლმსი ყოფილა. ეს დამთხვევები შემთხვევითი რომ არ არის, ამას თვითონ იონესკოც აღიარებს, თუმცა იმასაც უსვამს ხაზს, რომ ამ ქარაგმებს რამე განსაკუთრებული მიზანი არა აქვთ.

9. ავტორი ქარაგმულად მიანიშნებს ოლივიე გოლდსმიტის „the Vicar of Wakefield“-ზე (1766), რომელშიც ეპისკოპოსის ქალიშვილი ჯერ შეაცდინეს, შემდეგ მიატოვეს და სახლიც დაუნვეს.

10. ნიკოლა ბატაის აზრით, პიესაში ამდენი იგავი საჭირო არ იყო. „იონესკოს ვთხოვეთ, შეეთხზა ახალი იგავი, იმიტომ რომ მელას იგავი ნაკლებად სასაცილო იყო. ახალი იგავის მოლოდინში რეპეტიციების დროს მსახიობი ამ იგავს რეპლიკებიდან ტოვებდა. ერთ მშვენიერ დღეს, ჩვენს გასაცინებლად პირი გაალო და შესტიკულირება დაიწყო, თითქოს იგავს გვიამბობდა. ამის შემდეგ გადავწყვიტეთ, ყველაფერი ასე დაგვეტოვებინა და კიდევ ერთი ინციდენტი შეგვექმნა ახლა უკვე არარსებული სიტყვებით“.

11. ეს აბსურდული ლექსი ერთმანეთის საპირისპირო სიტყვების ალოგიკური კომბინაციებითაა აგებული: კომპი და ქვა, კაცები და ქალები, ჩიტები და თევზები, ჰაერი და წყალი... ამასთანავე ზემოჩამოთვლილი საგნებიდან უმრავლესობა არ იწვის.

12. ეს ნეოლოგიზმი იონესკომ ბერძნული pulus-ისა (ბევრი, უამრავი) და ლათინური candere-ს შერწყმით შექმნა.

13. არსებობდა პიესის სათაურის უამრავი ვარიანტი. ბოლოს, ერთ-ერთი რეპეტიციის დროს, ერთ-ერთმა მსახიობმა შეცდომით „ქერა მასწავლებელს“ „მელოტი მომღერალი ქალი“ ჩაუნაცვლა და სათაურიც აღმოჩენილ იქნა. ეს ორი რეპლიკა ტექსტს სათაურის გასამართლებლად დაემატა.

14. ამ ფრაზას საფუძვლად რუმინული გამოთქმა „zgirie-brinza“ (სიტყვა-სიტყვით „ყველიფხაჭნია“) ანუ „ძუნწი“ უდევს.

15. Charity begins at home – ეს ინგლისური ანდაზაც ინგლისურის სახელმძღვანელოდანაა ამოღებული.

16. პიესის ბოლოს მეტყველება მაქსიმალურად დანაწევრებულია. კრიტიკას ხშირად ავიწყდება, რომ იონესკოს ასეთი დამოკიდებულება მეტყველებისადმი ტრისტან ცარასა და დადაისტური თეატრის ტრადიციას აგრძელებს. მთლიანი ანდაზები და სათითაო ბგერები, დარღვეული სინტაქსი, ფრაზების ნაგლეჯები და სულელური სიმღერები პირველადი მასალა იყო დადაისტი პოეტებისათვის.

17. სკარამუში – იტალიური თეატრის ერთ-ერთი ძველი მკვებარა და ჭკუამხიარული პერსონაჟი.

18. წმინდა ნიტუში (sainte Nitouche) — ფრანგები ამ გამოთქმას უკარება და მიამიტ ადამიანებზე საუბრისას იყენებენ.

19. ეს არის სული პროდომის ერთ-ერთი ლექსის ბურლესკური ციტატა. „დამსხვრეული ლარნაკი“, რომელიც გატეხილ გულს დამსხვრეულ ლარნაკს ადარებს, ასე მთავრდება: „დამსხვრეულია, არ შეეხოთ“.

20. ფრანსუა კოპე (1842–1908) დღეს ნაკლებად ცნობილი პოეტი, რომელიც 1884 წელს საფრანგეთის აკადემიის წევრად აირჩიეს.

21. კრიშნამურტი – ინდოელი ფილოსოფოსი.

22. ბაზენი (1811-1888) ფრანგი მარშალი, რომელმაც თავი გამოიჩინა ყირიმის ომში. 1870 წელს მეცის ალყის დროს ის წინააგმდეგობის გარეშე დანებდა პრუსიელებს, რისთვისაც სიკვდილი მიუსაჯეს. ციხიდან გაქცეული ბაზენი ესპანეთში გადაიხვეწა. მისი სახელი თანამედროვეთათვის ლალატის სიმბოლოდ იყო ქცეული.

გაკვეთილი

1. „თანამედროვე კრიტიკული აზროვნებისთვის, არც ძალიან სერიოზული უნდა იყო და არც ძალიან მსუბუქი. („შენიშვნები და კონტრშენიშვნები“.)

2. უნდა აღინიშნოს, რომ იონესკომ პიესის გმირებად აირჩია ერთგვარი სტერეოტიპები: მასწავლებელი, მოსწავლე, მოსამსახურე. პირველი ორი მათგანი უსახელოა, მოსამსახურეს კი მეტად ბანალური და ევროპულ დრამატურგიაში მეტად გავრცელებული სახელი – მარი უწოდა. მოგვიანებით პიესაში „პელოტი მომღერალ ქალი“ ინგლისელ მსამსახურესაც მერი ჰქვია (მარის ინგლისური ვერსია). იონესკო თავის პიესებში ხშირად მიმართავს კლიშეებს. თუმცა ამავდროულად დასცინის და აკრიტიკებს მათ.

3. მოსწავლე და მასწავლებელი ერთმანეთს პირ-მოთენობაში ეჯიბრებიან. ეს კი თამაშის ერთგვარი ხერხია. ამ პირმოთენობის მეშვეობით გამოვლინდება მოსწავლესა და მასწავლებელს შორის იერარქიული დამოკიდებლება, მასწავლებლის გადაჭარბებული თავაზიანობა და სიმორცხვე. დასაწყისში მასწავლებელი გამუდმებით ბოდიშს უხდეს მოსწავლეს: „არ ვიცი როგორ მოგიბოდიშოთ, რომ ამდენ ხანს გალოდინეთ...“, „ბოდიში მომიტხოვია...“, „მომიტყვეთ...“ „ათასი ბოდიში...“ და ასე შემდეგ.

პიესაში მრავლადაა ზრდილობის გამომხატვეი სიტყვები. განსაკუთრებით დასაწყისში. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ მიმართვა „ბატონო“, დასაწყისში შედარებით იშვიათად გვხვდება ვიდრე „მადმუაზელ“. ეს განსხვავება კიდევ უფრო ხაზს უსვამს მასწავლებლის გადაჭარბებულ თავაზიანობას. ნელნელა, პიესის მსვლელობისას პერსონაჟებს შორის დამოკიდებულება მნიშვნელოვნად იცვლება და უპირატესობა მასწავლებლის ხელში გადადის. შესაბამისად სულ უფრო მეტად მეორდება სიტყვა „ბატონო“ და შედარებით ნაკლებად „მადმუაზელ“.

ამ მიმართვების უწყვეტი გამეორებით მსახიობ-თა საუბარი რიტმული ხდება, როგორც ამას თეატრალური ხელოვნება მოითხოვს. მაგალითისთვის მოვიყვანოთ მოსწავლის ორი რეპლიკა: „დიახ ბატონო, გამარჯობა ბატონო“, „საჭირო არ არის ბატონო, არაფერი დაშავებულა ბატონო“.

4. რეპლიკა აღებულია ადამიანთა ყოველდღიური, ბანალური საუბრებიდან.

5. ადრე საფრანგეთში სკოლის მასწავლებლები მოითხოვდნენ, რომ მოსწავლეებს ზეპირად ესწავლათ საფრანგეთის ყველა დეპარტამენტის დასახელება და მათი დედაქალაქები.

6. ამ ეპიზოდის კომიზმი ნაწილობრივ მდგომარეობს იმაში, რომ იონესკოს თანამედროვე საფრანგეთში მოდაში შემოვიდა გამოცდები და კონკურსები (საშუალო სკოლის პედაგოგის დიპლომის მოსაპოვებლად, ერთიანი ეროვნული გამოცდა ლიცეუმსა და უმაღლეს სასწავლებელში სწავლების უფლების მოსაპოვებლად, გამოცდები უმაღლეს სასწავლებელში შესვლისთვის, კონკურსი ადმინისტრაციაში კადრების აყვანისთვის და ასე შემდეგ). ამგვარ გამოცდა-კონკურსებს რუმინელი იონესკო მიჩვეული არ იყო. რუმინეთში დოქტორის ხარისხი პირს ენიჭებოდა სადოქტორო თემის დაცვის შემდეგ და საჭირო არ იყო სპეციალური გამოცდის ჩაბარება.

7. ტერმინები: მატერიალური მეცნიერებები, ზოგადი ფილოსოფია, აბსოლუტური დოქტორატურა, ნაწილობრივი დოქტორატურა არ არსებობს. ისინი გასიიგონა პატაფიზიკის გამომგონებლმა ალფრედ უარიმ.

8. მოსწავლის ამ რეპლიკას მასწავლებელი გარკვეული ქვეტექსტით იგებს, თუმცა მოსწავლე ამას ვერ ხვდება. იგივე მეორდება მოსწავლის გულუბრყვილო რეპლიკაზე „დიახ, რა თქმა უნდა ბატონო, პირიქით“.

მიშელ ბიგო და მარი-ფრანს სავიანი მოკრძალებით აღნიშნავენ, რომ შესაძლოა ეს პიესა მარსელ პანიოლის პიესის „ტოპაზის“ (1928 წელი) გავლენას განიცდიდეს. ამ პიესაშიც მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის მსგავსი დიალოგი იმართება.

9. იონესკო ხშირად მიმართავს სიტყვათა თამაშს და ასევე ხშირად იგონებს ახალ სიტყვებს. „არიოთმეტიკას“ ჯერ „მეცნიერებას“ უწოდებს, შემდეგ „მეთოდს“, ბოლოს კი აქამდე გაუგონარ ტერმინს „თერაპევტიკას“. ამ სიტყვას ორმაგი დატვირთვა აქვს: სიტყვა „თერაპევტიკა“ ერთმება „მათემატიკას“, და მეორე, ის კიდევ უფრო გაუგებარს ხდის მასწავლებლის მონოლოგს.

10. დიალოგი მოსწავლესა და მასწავლებელს შორის წარიმართება სწრაფ ტემპში, რასაც ხელს უწყობს მოკლე კითხვა-პასუხის მონაცვლეობა. ციფრები რვა ბის, რვა ტერ, რვა კატერ არ არსებობს.

11. იონესკოს შემოქმედება ახლოს დგას აბსურდის თეატრთან. ასევე საინტერესო პარალელების გავლება შეიძლება „გაკვეთილსა“ და ლუის კაროლის რომანს „ალისა საოცრებათა ქვეყანაში“ შორის, რაც შესაძლოა შემთხვევითი სულაც არ იყოს. სარკის მიღმა ალისას მოსწავლის მსგავსად მრავალი გამოცდის ჩაბარება უწევს, მათ შორის არითმეტიკასა და უცხო ენაში.

12. იონესკოს უყვარს ეფექტის მოხდენა კონტრასტების მეშვეობით. იგი ხშირად ერთად იყენებს ისეთ სიტყვებსა და ტერმინებს, რომლებსაც საერთო არაფერი აქვთ (სიდიდე, გროვა, ქლიავეები, ვაგონები, ბატები, მარცვლეული) და ხშირად ურთიერთგამომრიცხავ ცნებებს გამოხატავს. ამით აიხსენება მასწავლებლის მიერ მათემატიკური კანონების ასეთი აბდაუბდა და გაუგებარი განმარტება.

13. იონესკოს უყვარს მაყურებლის გაოცება. მის პიესებში ხშირია შემთხვევები, როცა პერსონაჟები ან საგნები უხილავია. მაგალითად „სკამებში“ და „მელოტ მომღერალ ქალში“.

14. ამ რეპლიკის შემდეგ მასწავლებლის აგრესია სულ უფრო და უფრო შესამჩნევი ხდება. თავდაპირველად სიტყვიერად, რასაც ფიზიკური ძალადობაც მალე მოყვება. თანდათან თავს იჩენს მასწავლებელში „ჩასახლებული ურჩხული“. „[...] საერთო ჯამში, თეატრი არის იმ საშინელების, ან საშინელი მდგომარეობის, უსახურობის, ან საშინელი სახეების გამომჟღავნება, რომელთაც ყოველი ჩვენგანი თავის თავში ატარებს.“ („შენიშვნები და კონტრშენიშვნები“).

15. მაგალითის მოშველიებით მასწავლებელი კვლავ სიტყვიერად ცდილობს მოსწავლისათვის ზიანის მიყენებას.

16. ძახილის ნიშნების მატებასთან ერთად თანდათან ხმასაც უმატებენ.

17. 19 390 002 844 219 164 508

18. მასწავლებელი მალაღმარებლად ლაპარაკობს. ინდუქცია და დედუქცია არის მსჯელობის ორი ურთიერთსაინანაღმდეგო ფორმა.

19. მოსწავლე ისევ ვერ ხვდება მასწავლებლის უხამს მინიშნებას. მაგრამ მოსამსახურე მაშინვე ყველაფერს იგებს და სასწრაფოდ ერევა საუბარში. უნდა აღინიშნოს, რომ პიესაში უხვადაა ამგვარი მინიშნებები, რომლებიც მხოლოდ მოგვიანებით ხდება გასაგები. მათი მიზანია დაიძაბოს სიტუაცია, აჩქარდეს პიესის რიტმი და ნელნელა შეამზადოს მაყურებელი და მკითხველი მომავალი ტრაგედიისთვის.

20. სინამდვილეში რომანული ენები (ფრანგული, იტალიური, ესპანური, პორტუგალიური, სარდინიუ-

ლი, რუმინული) წარმოიშვა ლათინური ენიდან. ნეო-ესპანური და შემდგომში ნახსენები ნეო-ავსტრიული ენები არ არსებობს. „სარდანაპალური“ უცნაური სინთეზია სიტყვებისა „სარდინიული“ და „სარდანაპალი“ (სარდანაპალი იყო ასირიის მითიური მეფე, რომელიც სახელგანთქმული იყო სიმდიდრითა და ფუფუნებით).

21. ესპერანტო (ნიშნავს „იმედის მქონეს“) არის ხელოვნურად შექმნილი საერთაშორისო ენა, რომელიც 1887 წელს შექმნა პოლონელმა ექიმმა და ლინგვისტმა ზამენჰოფმა, რასაც საფუძვლად დაუდო ყველაზე გავრცელებული ევროპული ენები.

22. ეს ფრაზა 34 მეორდება. შევნიშნავთ რომ „ბატონო“ და „მადმუაზელ“ მთელი პიესის მანძილზე მეორდება.

23. ლაბიალური თანხმოვნები: ბგერები, რომლებიც წარმოითქმება ბაგეების მეშვეობით: ბ, პ, მ. დენტალური თანხმოვნები: ბგერები, რომლებიც წარმოითქმება ენისა და კბილების მეშვეობით: დ, ტ. მსკდომი ბგერები: კ, ტ, კ, ზ, დ, გ. პალატალური (მაგარი სასისმიერი): ი, ე და ასე შემდეგ

24. გადასვლა „ფილიპიდან“ ჟერარ დე ნერვალზე მიზნად ისახავს ასოციაციურად მოგვაგონოს ცნობილი ფრანგი მსახიობი ჟერარ ფილიპი.

25. ეს გადაჭარბება განკუთვნილია სიცილის გამოსაწვევად და მას რაიმე სიმბოლური დატვირთვა არ აქვს.

26. სვასტიკა: ინდიელების საკულტო ჯვარი, რომელიც შემდეგ ფაშისტების სიმბოლო გახდა.

სკამები

1. იონესკო უარყოფდა უანრსა და სტილს შორის არსებულ ტრადიციულ სხვაობას, რის გამოც მან თავის პიესას „გაკვეთილს“ „კომიკური დრამა“ უწოდა, ხოლო „სკამები“ მონათლა, როგორც „ფარსი“, „რომელიც სურდა ყოფილიყო დრამატული, თუმცა მაინც ფარსი“.

2. მოხუცი კაცი: იონესკო უარს ამბობდა პერსონაჟების პიროვნების დაზუსტებაზე მათთვის უფრო ზოგადი მნიშვნელობის მინიჭების მიზნით. თუ მან თავის გმირებს სახელები არ დაარქვა, ეს იმიტომ, რომ როგორც თვითონ ამბობდა, მას არ უყვარს „რეალიზმი“ და რომ „ისეთი გმირები, როგორებიც არიან მოხუცი ქალი, მოხუცი კაცი, მასწავლებელი, ადამიანების გარკვეულ ტიპს წარმოადგენენ“ და „მათ დახასიათებას ბიუროკრატია არ სჭირდება“ (1979 წლის 10 სექტემბერს მარი-კლოდ უბერის წარმოთქმული სიტყვა „ენა და წარმოსახვითი სხეული ორმოცდაათიანი წლების თეატრში“). მიუხედავად ამისა, მოხუც ქალს მაინც აქვს სახელი: იხილეთ ქვევით.

3. იონესკო პროტესტს უცხადებდა რეჟისორებს, კერძოდ კი გერმანელ რეჟისორებს, რომლებიც რეალობის შენარჩუნების მიზნით, სცენაზე სკამებს აწყობდნენ იმის მიხედვით, თუ რა რაოდენობის სკამი სჭირდებოდათ მოხუცებთან მისულ სტუმრებს. ამგვარად, იონესკო ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ „ამ პიესაში მნიშვნელოვანია ბრბოს ეფექტის შექმნა. ვთქვათ, არის ორმოცდაათი სკამი, ისეთი შთაბეჭდილება უნდა მოვახდინოთ, რომ სინამდვილეში უფრო ბევრია, რომ სცენაზე უზარმაზარი და უხილავი ბრბოა თავმოყრილი. თუ მხოლოდ თორმეტი

სკამით ვითამაშებთ, მაშინ მივიღებთ ორი ბებრუსხანას დრამას, რომლებსაც ჰგონიათ ან ჩვენ გვარწმუნებენ, რომ ჰგონიათ, თითქოს რამდენიმე მეგობარს ლებულობენ სტუმრად“ (კლოდ ბონეფუა, „საუბრები ეჟენ იონესკოსთან“).

4. მოძრავი კედლები აძლიერებს „მარტოობის“ და „ჩაკეტილობის“ შეგრძნებას, რასაც იონესკო განიცდიდა („შენიშვნები და კონტრშენიშვნები“), რაც კარგად აისახა მის დრამატურგიაში, „სკამებში“ და ბევრ სხვა პიესაში; აქ, ყველგან, „დომინირებს მოძრაობის იდეა“ (პოლ ვერნუა, „ეჟენ იონესკოს თეატრის დინამიკა“). საერთოდ კედელი, „ვაების კედელი, განშორების კედელი“ („დაქუცმაცებული დღიური“), ერთ-ერთი ის კომპარია, რომელიც ეჟენ იონესკოს გამუდმებით თან სდევს.

5. წყალი, იონესკოს წარმოდგენაში, დამლუპველი და მომაკვდინებელი სტიქიის, „შიშის გამოხატულებას“ წარმოადგენს, რომელიც „გახრწნის“ იდეასთან ასოცირდება („დაქუცმაცებული დღიური“).

6. ფრანსუა I-ის ცხოვრებაში მსგავს ეპიზოდს ვერ იპოვით. შეიძლება ეს იყოს მადრიდის ალკაზარის კომპი მეფის დატყვევების ამბავი ან ფანტაზიორის გადაკრული სიტყვა ლუი II ბავარიელზე, რომელიც 1886 წელს ტბაში დაიხრჩო. სწორედ მას მიუძღვნა აპოლინერმა ერთი სტროფი ლექსისა „გარიყულის სიმღერა“.

7. დედობრივი სიყვარულის ნოსტალგია ეჟენ იონესკოსთან ხშირად ცოლქმრულ სიყვარულთან ასოცირდება.

8. სემირამიდა: ბაბილონის ლეგენდარული დედოფლის ამ პრესტიჟული სახელის შერჩევით ავტორი მოხუცი ქალის მდაბიობას ირონიულად უპირისპირებს იმ წოდების ფამილიარულობას, რომელიც ამ უკანასკნელს მოსდევს. „ამ სახელს დიდხანს ვეძებდი,“ აცხადებდა იონესკო, „რათა უფრო

კომიკური სახე მიმეცა იმ კონტრასტისთვის, რომელსაც მოხუცი ქალისა და კაცის მდგომარეობა იძლევა. (...) მსურდა, რომ ეს სახელი ყოფილიყო პედანტური და უცვეთელი" (მარი-კლოდ უბერი, „იონესკო“).

9. სევდა ერთ-ერთი ის გრძნობათაგანია, რომელიც გამუდმებით სდევს მწერალს. „ხშირად ვსევდიანობ“. იტყვის „განდეგილის“ გმირი „თავბრუ მეხვევა და სევდის მეშინია“ („განდეგილი“). მოწყენილობა სიცოცხლის ბოლომდე გატანჯავს იონესკოს: „სიბერეზე, საკუთარ ტანჯვა-ნამებაზე მეტად ეს სევდა მიღევს გულს (...) სევდა ტალღასავით, სევდის ტალღასავით მოვარდება. სევდა უფრო მაყვირებს, ვიდრე ტკივილი...“ („ფიგარო“. 1 ოქტომბერი 1993).

10. „დალიე ჩაი“: მარი-კლოდ უბერი ამის თაობაზე ამბობდა, რომ ეს არის აღმოსავლური და თითქმის საყოველთაოდ ცნობილი ფრაზის თარგმანი, ამასთანავე, „ეს არის პოეტური საშუალება, მოხუცი კაცის მხრიდან მოხუც ქალს სთხოვოს. არ ჩაერიოს იმაში, რაც მას არ ეხება“ (მარი-კლოდ უბერი, „იონესკო“). „ნწყვეტილ ძიებაში“ იონესკო ამ გამოთქმას ცოტათი განსხვავებულ მნიშვნელობას აძლევს: „როდესაც ფილოსოფოსს ძენს მეტაფიზიკურ ან მეტად ვრცელ კითხვას უსვამდნენ, ასე პასუხებდა: „ახლა ჩაის ვსვამ“.

11. სტენ ლორელი (1890-1965) – ამერიკელი კომიკოსი. მისი ხსენება ხაზს უსვამს პიესისა და პერსონაჟის ჯამბაზისეულ და მასხარულ ხასიათს. მოხუცი კაცის ეს უესტი, რა თქმა უნდა, არაფრით უკავშირდება მის მიერ განსახიერებულ წელიწადის დროს.

12. როგორც ჟან-ერვე დონარი ამტკიცებს, საუბარია ედემის ბაღზე („იონესკო დრამატურგი“) ან ყოველ შემთხვევაში, იმ მოგონებაზე, რომელიც წარუმატებელ ძიებას და დაკეტილ სამოთხეს უკავშირდება.

13. სოფლის ეკლესია: იონესკო წერდა: „სკამების“ პერსონაჟებს შემორჩათ მოგონება ეკლესიაზე, რომელიც ერთ განათებულ სოფელში იდგა; როცა შუქი ჩაქრება, პიესა წყვილია დში ჩაინთქება“ („ანტიდოტები“). დაკარგული ბედნიერების გამო სინანული, ეყენ იონესკოს მოგონებაში, დაკავშირებულია მეიენში გატარებულ ბავშვობის წლებთან (იხ. „პოლკოვნიკის ფოტოსურათი“, „1939 წლის გაზაფხული“): „ეს ადგილი ყოველთვის დაკარგულ სამოთხეს მომაგონებს“ (კლოდ ბონეფუა, „საუბრები“).

14. „მოხუცი კაცის ბოღვითი აბდაუბდა ამხელს ათასწლეულის ფსიქოზს, მრავალმხრივი კატასტროფის მოახლოების შეგრძნებას“, რომელიც ატომურმა პერიოდმა უფრო გაამწვავა (ყაკ გიშარნო, „კონტროლოდან გამოსული სამყარო“).

15. სიმღერა მორის შევალიეს (1888-1972) რეპერტუარიდან, რომელიც პოპულარული იყო XX საუკუნის 30-იან წლებში.

16. ეყენ იონესკოს „ნუხილის“ ერთ-ერთი მიზეზი „დედასთან უნუგეშო განშორება“ იყო („დაქუცმაცებული დღიური“).

17. იონესკო საკუთარ ქორწინებას ხშირად აღიქვამდა როგორც „რიტუალს“, დედის „უფლებების გადაცემას“ ცოლზე: „დედაჩემმა ჩემი თავი მიანდო ჩემს ცოლს, ამ უკანასკნელმა მზრუნველობა გამინია და აქედან გამომდინარე, გახდა ჩემი ერთადერთი მშობელი, იმაზე მეტი, ვიდრე დედაჩემი იყო“ („დაქუცმაცებული დღიური“).

18. „სათქმელი მაქვს“: იონესკო ყოველთვის უნდობლობით ეკიდებოდა ამგვარ „სათქმელს“ და როგორც ყოველგვარი იდეოლოგიის მტერი, თვლიდა, რომ მისი, როგორც დრამატურგის ფუნქცია ზემოაღნიშნული „სათქმელის“ განხილვაში სულაც არ მდგომარეობდა: „მიდრეკილება არ მაქვს მესიობისკენ“, აცხადებდა ის, „არ მჯერა, რომ მსახიობის თუ დრამა-

ტურგის მონოდება მესიობისკენ უნდა იყოს მიმართული. (...) ხალხისათვის სათქმელის გადაცემა, მსოფლიოს კურსის მართვის ან მისი გადარჩენის სურვილი რელიგიის შემქმნელების, მორალისტების ან პოლიტიკოსების საქმეა, რომლებიც, სხვათა შორის, ამ საქმესგან ძნელად დაიძვრენენ თავს“ („შენიშვნები და კონტრშენიშვნები“). მწერალი კვლავაც ამტკიცებს: „ჩემს პიესებს სამყაროს გადარჩენაზე პრეტენზია არ აქვთ“.

19. სერჟ დუბროვსკი („უენ იონესკოს იუმორი“, „ახალი ფრანგული ჟურნალი“, №86, 1 თებერვალი 1960 წ.) მოხუცი ქალის ამ სიტყვებს შემდეგნაირ კომენტარს უკეთებს: „კლოდელის მსგავსად, მასაც სჯერა, რომ მეტყველება არსების და ადამიანის ქორწინებას ახდენს, რომ იგი წარმოადგენს ხსნას, საშუალებას, შეავსოს სიცარიელე, სიმარტოვე, მოკლედ რომ ვთქვათ, მეტყველება ღმერთის სიტყვას გამოგვცემს. ბოლოს საამქარაოზე გამოდის ორპირობა, მეტყველება კი ყველა დონეზე მარცხდება.“

20. ეს ურთიერთგამომრიცხავი და წინააღმდეგობრივი ფრაზები უაზრო საუბრის ნაწილს წარმოადგენს, რაც უკვე კარიკატურული სახით წარმოდგენილია პიესებში „მელოტი მომღერალი ქალი“ და „უაკი ანუ მორჩილება“. ყოველივე ეს, იონესკოს აზრით, აზროვნების უფარვისობას ამხელს.

21. ნავის სრიალის, ზარის ძლიერი რეკვის ხმები: მსახიობებისა და პერსონაჟების მიერ გამოცემული რეალური ბგერები, რომელიც შემოყვანილი პიროვნებების უჩინარობასთან კონტრასტს ქმნის, რეალურისა და არარეალურის აღრევის შთაბეჭდილებას იძლევა. პიესის მიზანი მართლაც მოხუცების შეშლილობის ან ჰალუცინაციების ჩვენება კი არ არის, არამედ ცნობიერების მეხსიერების ცვალებადობა და სამყაროს არამდგრადობა: „ეს არის მედიტაცია ალქმის ფენომენოლოგიაზე“ (მარი-კლოდ უბერი, „იონესკო“).

22. ზუსტად დაიცავით დადგმაში წარმოდგენილი ავტორის ჩანაფიქრი და „გორგლის“ მსგავსი რეგულარული მოძრაობები, სადაც შეგვიძლია გავარჩიოთ „ფუჭი ოცნებების გორგლის ფორმა, რომელსაც ფსიქიატრები ქსელს უწოდებენ“ (პოლ ვერნუა).

23. ეუენ იონესკოს წინასწარი ჩივილი ასაკით გამოწვეულ დეგრადაციებზე. იხილეთ. მის სიკვდილამდე რამდენიმე თვით ადრე დაწერილი სტატიები „სიბერის სასტიკ რეალობაზე“ („ფიგარო“, 1 იქტომბერი 1993) და სევდიანი სპექტაკლი მოხუცებულობაზე: „რა საჭიროა დაბერება? უყურეთ, სხვები როგორ ბერდებიან“ („ფიგარო“, 18 თებერვალი 1994).

24. „ერთმანეთთან ზურგით შეხება“: მარი-კლოდ უბერმა ხაზი გაუსვა ამ პოზის მნიშვნელობას, „რაც სიმბოლურად გამოხატავს მოხუცებს შორის არსებულ ტრაგიკულ აზრთა სხვაობას“.

25. ვიონი, „ბალადა გარდასულ დროთა ქალბატონებზე“.

26. ამ „მეტამორფოზების“ თაობაზე მარი-კლოდ უბერი წერდა: „სწორედ წინააღმდეგობაში აისახება პერსონაჟების ნამდვილი სახე;“ იონესკოს პიესების – „სკამები“, „გაკვეთილი“, „მოვალეობის მსხვერპლი“ – გმირები თავიანთი ორპირობით თავგზისამბნევი პერსონაჟები არიან. მოხუცი ქალი პიესის დასაწყისში ერთგულ და მოსიყვარულე მეუღლედ წარმოგვიდგება, ცოტა ხანში მისი ნამდვილი ისტერიული ხასიათი გამოვლინდება“ („ენა და წარმოსახვითი სხეული ორმოცდაათიანი წლების თეატრში“).

27. მაღალფარდოვანი და სასაცილო მინიშნებების სერია ევას ვაშლზე და რონსარის ცნობილ ლექსზე „საყვარელო, მოდი ვნახოთ, ვარდი თუ...“

28. „უძადური შვილის“ სინდისის ქენჯნა. ეს გრძნობა იონესკოს მოსვენებას არ აძლევდა. მანაც, მამამისთან მწვავე დაპირისპირებების შემდეგ,

„ქარები გამოიჯახუნა“ და „ნავიდა“ (იხ. „ანმყო წარსული, წარსული ანმყო“ და „მოვალეობის მსხვერპლი“, „მამა, ჩვენ ერთმანეთს ვერასოდეს ვუგებდით...“).

29. მოხუცი კაცის და მოხუცი ქალის საუბარს შორის არსებული წინააღმდეგობა ნათლად გვიჩვენებს, რომ პიესის პერსონაჟები მოხუცდნენ და რეალობის სრულად აღქმის უნარი დაკარგეს. ეს წინააღმდეგობა ამკარად მეტყველებს ავტორის მხრიდან რეალიზმის და ლოგიკის უარყოფაზე.

30. დედის სიკვდილის და მისი მიტოვების გამო გამოწვეული განცდა ეუენ იონესკოს სიზმრებშიც კი არ ასვენებდა.

31. დაუსრულებელი წინადადებების ეს აბნეული სიტყვები ერთ-ერთი იმ მეთოდთაგანია, რომელსაც იონესკო იყენებს პიესებში „სკამები“, „მელოტი მომღერალი ქალი“ და „უაკი ანუ მორჩილება“. მწერალი აიამოვნებას განიცდის, როცა ამხელს ყოველდღიური საუბრის უვარგისობას და ადამიანთა შორის კომუნიკაციის მარცხს.

32. მაიო არის პარიზის ყოფილი სატელეფონო ცოდინი. პროვიდანსი შეიძლება ირონიული მინიშნება იყოს პროვანსზე, რომელიც პარიზის სატელეფონო ქსელის სექტორის სხვა კოდს შეესაბამება.

33. სკამების განლაგება მაყურებლების სავარძლების მსგავსად იძლევა სარკის ეფექტს, რომელიც დამახასიათებელია თეატრისათვის თეატრში.

34. პერსონაჟების და საგნების აჩქარებული მოძრაობა აე მთლიანად ენაცვლება დიალოგს და განაკუთრებულ დატვირთვას იძენს, კერძოდ, ხალხის მოზღვაების შთაგონების საშუალებას იძლევა.

35. პაროდია სახარებისეულ მოწოდებაზე: „შვილებო, გიყვარდეთ ერთმანეთი,“ ყოველივე ეს არის

მწარე პესიმიზმის და ადამიანის ბუნების მიმართ უნდობლობის გამოხატულება.

36. იხ. „ანმყო წარსული წარსული ანმყო“: „ყველა სისტემა ყალბია (...). სისტემა რაც უფრო სრულყოფილია, მტკიცე, მისაღები, სარწმუნო, ლოგიკური, დალაგებული, მით უფრო არარეალური და ხელოვნურია იგი.“

37. იონესკო ხშირად საჯაროდ უცხადებდა თავის უნდობლობასა და მტრობას „იმათ, ვისაც მგზნებარედ სურს კაცობრიობის ბედნიერება და მისი გადარჩენა“; საერთოდ ტირანული და დამლუპველი იდეოლოგიის სახელით, „კაცობრიობის მხსნელებმა შექმნეს ინკვიზიცია, გამოიგონეს საკონცენტრაციო ბანაკები, ააშენეს საკრემაციო ლუმელები, დაამყარეს ტირანია“ („შენიშვნები და კონტრშენიშვნები“).

38. ღვთის გამოცხადება ის სათუთი და მისტიკური გამოცდილებაა, რომელიც იონესკომ ბავშვობაში შეიძინა, რასაც ხშირად იხსენებდა თავის საუბრებში (კლოდ ბონეფუა, საუბრები), პირად ჩანანერებში („დაქუცმაცებული დღიური“), დრამატურგიაში („ნებით მკვლელი“), ასევე რომანში „განდეგილი“

39. ნუთუ იმპერატორი ღმერთის სახეს წარმოადგენს? როგორც იონესკო ამტკიცებს, „სკამებში“ ღმერთის საკითხი ისე აშკარად დგას, რომ ამას ვერავინ ამჩნევს“ („ანტიდოტები“). პიესაში წარმოგვიდგება ბეკეტის გოდოს მსგავსი უხილავი და უტყვი ღმერთი, რომელსაც მოხუცები ამაოდ სცემენ თაყვანს და ევედრებიან.

40. „მამაჩემს კალთაში ჩავუჯექი“, ეს წინადადება, აშკარად გულისხმობს მამასთან „შერიგებაზე ოცნებას“ („დაქუცმაცებული დღიური“). მონიფულობის ასაკში მყოფი შვილის შევერცხლილი უღვაშები და თმები ბავშვობის ნოსტალგიაზე მეტყველებს.

41. პერსონაჟებისა და მაყურებლების წინაშე ორატორის გამოჩენა და მისი რეალური არსებობა ავტორისათვის პრობლემას არ წარმოადგენდა; იგი ცდილობდა ეს საკითხი გადაეჭრა თეატრალური წარმოდგენის თვითნებური და პირობითი ხასიათის დაჟინებითი მოთხოვნით: „რატომ ვხედავთ ორატორს და რატომ ვერ ვხედავთ დანარჩენ სხვა პერსონაჟს, რომელსაც სცენაზე მოუყრია თავი? ნუთუ ორატორი მართლა არსებობს, ნუთუ ის რეალურია? პასუხი ასეთია: იგი არ არსებობს იმაზე მეტად და იმაზე ნაკლებად, ვიდრე სხვა პერსონაჟები. ისიც დანარჩენებზე უჩინარია, არც მეტი და არც ნაკლები, რეალურიცაა და არარეალურიც“ („შენიშვნები და კონტრშენიშვნები“).

ამას გარდა, ორატორის გარეგნობიდან და ქცევიდან გამომდინარე, მის მიერ გადმოსაცემი „შეტყობინება“ ერთბაშად სასასცილო და არასანდო ხდება.

42. „ჩემი მისია შესრულებულია“: კმაყოფილების შეგრძნების ეს პაროდია აღსრულებული მისიის შეგრძნებას უკავშირდება. თავის დროზე თვითონ იონესკოსაც გაუჩნდება ეს გრძნობა: „შეიძლება ჩვენ აქ რალაციისთვის ვართ მოსული, რალაც მისია გვაკისრია... შესაძლოა მე ის აღვასრულე? შესაძლოა, კი, მე გავაკეთე ის, რაც უნდა გამეკეთებინა, შესაძლოა, შესაძლოა. იმის გაფიქრებაც არ მინდა, რომ აქ არაფრისთვის ვარ მოვლენილი“ („წყვეტილი ძიება“).

43. „დიდებული მსხვერპლი“: ემანუელ ჟაკარი ცდილობდა იონესკოსთვის დაენახვებინა ამ „მსხვერპლის“ უსაფუძვლობა, რაზეც დრამატურგი პასუხობდა: „არ ვიცი, თუ როგორი იქნება პიესის დასასრული“; მას განზრახული ჰქონდა, პიესის „მთავარი როლის შემსრულებლები თავიდან მოეშორებინა თვითმკვლელობით, რომელიც არსებობის ამაოებას დაამტკიცებდა“.